PRIME Time

N35 (336) ორშაბათი, 7 სექტემბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

„ყოფილი პრეზიდენტი ცრუ ბრალდებებს მიმართავს“

exclusive

„ეს პოლიტიკური სპეკულაციები და ინტრიგებია“

საკაშვილმა უკრაინაში დიდი სკანდალი ააგორა

SCANDAL

დიპლომატიურ კორპუსში დიდი ნმენდა იწყება

„სკანდალური ექსკლუზივი

„რესპუბლიკელები“ VS ირმა ინაშვილი

ვინ მოიგებს საგარეჯოს?

exclusive

შსს სანაპირო დაცვას აძლიერებს

ინტერვიუ სასაზღვრო პოლიციის უფროსთან

ზურაბ გამეზარდაშვილი: „ბათუმში გახსნილი სტრატეგიული ობიექტი მიზნად ისახავს ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას“

exclusive

დაპირისპირება მატროსოვის ციხეში

რატომ „დაბრაკა“ გიგი უგულავამ საკუთარი ადვოკატი და რა საქმეები დევს პროკურატურაში მის წინააღმდეგ

„რა სისულელეა, ეს ჭორიც კი არ არის“

exclusive

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ახალი ამბულატორიული ცენტრი ახლა უკვე შარტავას ქუჩაზე!
7 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე მიიღეთ მომსახურებები უფასოდ

ქუჩის მათხოვრების შემზარავი ისტორიები

„ჩემმა მეორე ქმარმა ჩემი 3 წლის შვილი გააუპატიურა“

exclusive

„ჩემი შვილი, რომ დამემარხა, 18 თვის პენსია გამოვიტანე“

PRIME Time რეპორტაჟი ღამის თბილისიდან

ახალი სკანდალი სოფლის მეურნეობის exclusive სამინისტროში

„ახლა, როცა ვნახეთ, პროგრამულ ხარვეზს აქვს ადგილი“

თაღლითური სქემა ლტოლვილების სამინისტროში

exclusive

სოზარ სუბარის მოადგილე სკანდალში ეხვევა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაპირისპირება მატროსოვის ციხეში

რატომ „დაბრაკა“ გიგი უგულავამ საკუთარი ადვოკატი

ირაკლი მამალაძე

15-თვიანი პატიმრობის შემდეგ ქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა ისევ წინასწარ პატიმრობაშია, მატროსოვის ციხიდან კი მის გამოყვანას ადვოკატები ამ დრომდე ვერ ახერხებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებულმა მერმა უკვე ექვსი ადვოკატი გამოცვალა. ბოლო სასამართლო პროცესზე არც უგულავა და არც მის მიერ დაქირავებული ადვოკატები არ გამოჩენილან. ამის გამო, შესაძლოა, ყოფილი მერის საქმე სახაზინო ადვოკატის ხელში აღმოჩნდეს. საუბარია ტელევიზია „იმედისა“ და რიყის გასხვისების ეპიზოდზე. რა ახალი სტრატეგია აირჩია ქალაქის მერმა პატიმრობიდან თავის დასაღწევად?

ვრცელდება ვერსია, რომლის მიხედვითაც უგულავა დაცვას მიზანმიმართულად ცვლის და ამ გზით ცდილობს, პროცესი გააჭიანუროს, რითაც პოზიციებს გაიმყარებს საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც ქალაქის ყოფილი მერი წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით დაობს და თავისი პატიმრობის ანტიკონსტიტუციურ ქმედებად აღიარებას ითხოვს. პროკურატურა უკვე ღიად საუბრობს უგულავას ადვოკატების მხრიდან პროცესის მიზანმიმართულ გაჭიანურებაზე და პროცესში სახაზინო ადვოკატს რთავს. ბრალდების მხარის ამ ქმედებით, წინასწარგანზრახული სქემა, რომელიც უგულავას სასარგებლოდ იმუშავებდა, შესაძლოა, ჩავარდეს.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომელიც არაოფიციალურად გიგი უგულავასთან დაახლოებულმა პირმა მოაწოდა „პრაიმტაიმს“. ამ ვერსიის თანახმად, ქალაქის მერი დაქირავებული ადვოკატების მუშაობით უკმაყოფილოა. მეტიც, მან ზოგიერთი ადვოკატის კეთილსინდისიერებაშიც კი შეიტანა ეჭვი. ქალაქის მერთან დაახლოებული პიროვნება არაოფიციალურ საუბარში ყვება, რომ მატროსოვის ციხეზე უგულავამ ადვოკატებს საქმე გაურჩია. დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ ბრალდებულს ადვოკატი ბექა ბასილია პროკურატურასთან გარიგებაში დაუდანაშაულებია და საქმიდან მისი ჩამოცილება მოუთხოვია. საუბარია ტელევიზია „იმედისა“ და რიყის გასხვისების ეპიზოდზე, სადაც ბასილია ქალაქის მერის ინტერესებს იცავდა. ამავე ინფორმაციის თანახმად, ბასილიას ამ საქმეში ადვოკატი გიორგი კონდახაშვილი შეცვლის. ზემოაღნიშნული ვერსიები იურისტ ბექა ბასილიასთან გადავამოწმეთ.

ბექა ბასილია, ადვოკატი:

– მე ვრჩები გიგის ადვოკატად საკონსტიტუციო სასამართლოში. რაც შეეხება „იმედისა“ და რიყის ეპიზოდს, მე იმის გამო ჩამოვცილდი ამ საქმეს, რომ მქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და იყო დროში თანხვედრა. ამის გამო მოვითხოვე აცილება გიგის საქმეზე და ჩაერთო სხვა ადვოკატი.

– ჩვენი ინფორმაციით, თქვენ გიორგი კონდახაშვილმა შეგცვალათ...

– დიახ, გიორგი კონდახაშვილმა გადაიბარა ეს საქმე.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელოვნურად და მიზანმიმართულად ხდება ადვოკატების გამოცვლა საქმის გაჭიანურების მიზნით, რაც შესაძლოა, ახალი სტრატეგიის ნაწილია და უგულავას საკონსტიტუციო სასამართლოში გამოადგეს საქმის ხელოვნურად გაჭიანურება?

– ვერ დაგეთანხმებით, ხელოვნურად გიგი უგულავას მიმართ საქმის გაჭიანურებას პროკურატურა ახდენდა და ახდენს დღემდე. გახსოვთ, ალბათ, როცა პროკურატურამ სასამართლოში საქმე წაიღო დაპატიმრებიდან 6 თვის შემდეგ და გაიყვანა 9-თვიანი ვადა. აპრილიდან მოყოლებული გიგი უგულავა უკანონო პატიმრობაში იმყოფება და როგორ შეიძლება ამის შემდეგ საუბარი იყოს დაცვის მხრიდან დროის გაჭიანურებაზე. შეუძლებელია, ეს შედიოდეს დაცვის მხარის ინტერესებში. წელიწადი და რვა თვე ჰქონდა პროკურატურას მტკიცებულებების გამოსაკვლევად და ახლა ორ კვირით ადრე თუ გვიან ჩატარდება პროცესი. ამასთან დაკავშირებით დაცვის მხარისთვის წაყენებული პრეტენზია არის აბსოლუტურად თითიდან გამოწოვილი და ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს – საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში.

– არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ გიგი უგულავა უკმაყოფილო იყო დაცვის მხარის მომსახურებით. მეტიც, ის ადვოკატებს პროკურატურასთან გარიგებაში ადანაშაულებდა. მათ შორის თქვენც და ეს გახდა საქმიდან თქვენი ჩამოცილების მიზეზი?

– რა პრეტენზია უნდა ჰქონოდა? რა სისულელეა. ეს ჭორიც კი არ არის, სრული იდიოტიზმია. რას ნიშნავს, გიგის ადვოკატი იყო პროკურატურასთან გარიგებული? გიმეორებთ, მე ვრჩები გიგის ადვოკატად საკონსტიტუციო სასამართლოში

რა საქმეები დევს პროკურატურაში მის წინააღმდეგ და რა ბრალდებებს უყენებენ ბექა ბასილიას

„რა პრეტენზია უნდა ჰქონოდა? რა სისულელეა, ეს ჭორიც კი არ არის“

და სხვა საქმეებში რა ურთიერთობაში უნდა შევემჩნიე პროკურატურასთან...

– კარგით, მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას: თუ ლოგიკას ვერ ხედავთ, ეს არაფერს ცვლის, ჩვენ ამ ინფორმაციის უგულავასთან დაახლოებული წყარო გვაწვდის... გვაინტერესებს, დაიკითხეთ თუ არა პროკურატურის მიერ რომელიმე საქმეზე?

– არა, არც ერთ საქმეზე არ ვარ პროკურატურის მიერ დაკითხული.

– არადა თქვენ ძალიან საინტერესო პერიოდში მუშაობდით ადეიშვილის უწყებაში და არაერთ ზეწოლასა თუ მძიმე დანაშაულში გამხელდნენ?

– პროკურატურაში იმავე დროს ასობით ადამიანი მუშაობდა, რომელიც დღესაც აგრძელებს მუშაობას. რას ნიშნავს, საინტერესო დროს ვმუშაობდი?

– საინტერესო ბრჭყალებში, რა თქმა უნდა. თქვენს წინააღმდეგ ბრალდებები იგივე „კავკასიის“ ეთერში გაისმა, რასაც ინციდენტი და ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

– კი, ეს იყო სპექტაკლი და ნახა ყველამ, თორემ ჩემს წინააღმდეგ რომ სერიოზული საქმე ჰქონდეთ, როგორ ფიქრობთ, ამას არ გამოიყენებდნენ.

– სწორედ ესაა საქმე, რომ არ იყენებენ ამ საქმეებს თქვენს წინააღმდეგ და შესაძლოა, ის ვერსია, რომ პროკურატურასთან გარიგებაში ხართ, აქედან წარმოიშვა?

– არა, კი არ იყენებენ, არ არსებობს შოშიაშვილის საქმეზე სამართლებრივი საფუძველი, თორემ ნამდვილად მოეკავებოდათ ხელები ჩემზეც.

არსებობს თუ არა პროკურატურაში კონკრეტული საქმეები, სადაც ბექა ბასილიას, როგორც ყოფილი პროკურორის, გადაცდომები იკვეთება? ცხადია, ეს ინფორმაცია ბასილიას ყოფილ სამსახურში ყველაზე კარგად იციან, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ ის სასტიკი მეთოდები, რომელსაც ის პროკურორობის პერიოდში დაკავებულთა წინააღმდეგ იყენებდა. ამ ადამიანებს დღემდე სტრესულ მდგომარეობაში აგდებთ ბასილიას ტელეეკრანზე გამოჩენა. ახლა შეგნებულად არ ვასახელებთ ერთ-ერთი გოგონას ვინაობას, რომელსაც ბექა ბასილია სამი დღის განმავლობაში სძალავდა ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. როგორც ამბობენ, ბასილიას წინააღმდეგ, ამ საქმის მსგავსად, არაერთი საქმე არსებობს პროკურატურაში, თუმცა ბადაშვილის უწყება მას ხელს არ ჰკიდებს და ბექა ბასილიას საშუალებას აძლევს, საადვოკატო საქმიანობა უპრობლემოდ განახორციელოს. როცა არსებობს პრეცედენტები სხვა ადვოკატების წინააღმდეგ, დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნით, მაგალითად, ადვოკატები გიორგი ონიანი და რომეო საჯაიაც ხომ ბასილიას მსგავსად ადეიშვილისა და მერაბიშვილის უწყებაში მუშაობდნენ. მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა პროკურატურამ დაიწყო და ამ ადამიანების საადვოკატო საქმიანობა ინდულგენცია არ გამხდარა. უკავშირდება თუ არა ბასილიას ხელშეუხებლობა პროკურატურასთან გარიგებაში ყოფნას? როგორც ჩვენი წყარო ამტკიცებს, ეს მალე გაირკვევა და ამ ინფორმაციას „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ ამოწმებენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბექა ბასილიამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წაიგო ჟვანიას საქმეზე.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მატროსოვის ციხეში მომხდარი დაპირისპირების დროს ბასილიამ პირობაც კი მისცა გიგი უგულავას და დაჰპირდა, შენს ეჭვებს საკონსტიტუციო სასამართლოს მოგებით გავფანტავო. ვნახოთ, როგორ დასრულდება ქალაქის ყოფილ მერსა და ადვოკატებს შორის არსებული დაპირისპირება, რომლის დეტალებიც არაოფიციალურად ვრცელდება. რაც შეეხება უგულავას სასამართლო პროცესს, სადაც ადვოკატები გაჭიანურებას ცდილობენ გიორგი კონდახაშვილის მეშვეობით, უკვე ცნობილი გახდა, რომ კონდახაშვილის ნაცვლად ქალაქის მერს, პროკურატურის მოთხოვნით, სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილმა უკრაინაში დიდი სკანდალი ააგორა

გუბერნატორი პრემიერის წინააღმდეგ

ქეთი ხატიაშვილი

ახალგაზრდა ლამაზმანების შემდეგ რუსული მედია ახლა სააკაშვილის პოლიტიკური ბრალდებების გამო ახმაურდა. ოდესის გუბერნატორი ამბობს, რომ ის უკრაინის პრემიერობას არ აპირებს, მაგრამ უკრაინულ მედიას, როგორც ჩანს, უკვე ეჭვი ეპარება და სააკაშვილის ფიცის არ სწამს. მიზეზი მხოლოდ გუბერნატორის პრემიერთან დაპირისპირება არ არის და სააკაშვილმა საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა იაცენიუკი. საქმე ის გახლავთ, რომ ინტერნეტში პეტიცია გავრცელდა, სადაც სააკაშვილის პრემიერად დანიშვნის მოთხოვნით ხელმოწერები გროვდება.

მედიის მიხედვით, უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს საიტზე ერთდროულად რამდენიმე პეტიცია გამოჩნდა. ერთ-ერთის თანახმად, უკრაინის მოსახლეობა პრეზიდენტს ქვეყნის პრემიერ-მინისტრად ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის დანიშვნას სთხოვს.

„უკრაინაში ადამიანმა რეფორმები უნდა გაატაროს. კორუფციისა და რეფორმების გატარების გაჭიანურება კმარა“, – ნათქვამია პეტიციაში, რომელსაც ხელს მოქალაქე ვიტალი ბიგუნი აწერს.

უკრაინული საინფორმაციო პორტალის ინფორმაციით, ამ პეტიციას უკვე 497 ადამიანმა მოაწერა ხელი.

გარდა პრემიერმინისტრობისა, უკრაინის მოქალაქეები, ოდესის გუბერნატორის პრეზიდენტად დანიშვნასაც ითხოვენ.

უკრაინის პრეზიდენტისადმი გაგზავნილ პეტიციებს შორის, სახალისოებიც არის. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მოქალაქე უკრაინის პრეზიდენტად მიკი-მაუსის დანიშვნას ითხოვს. კიდევ ერთი პეტიციის ავტორი, პეტრე პოროშენკოს „წვერის მოშვებას სთავაზობს, რომ ის ხალხს უფრო დაუახლოვდეს“. მარიხუანის მწეველები კი „კიევის გარშემო ბალახის დათესვის“ ინიციატივით გამოდიან.

მოქალაქეებისთვის ელექტრონული მიმართვების სერვისი უკრაინაში 28 აგვისტოს გაიხსნა. პრეზიდენტი პეტიციას იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ ის 3 თვის განმავლობაში მინიმუმ 25 ათას ხელმოწერას დააგროვებს.

რუსეთში არ გამორიცხავენ, რომ პეტიცია, რომელიც პოროშენკოს საიტზე დაიდო, თავად უკრაინის პრეზიდენტის ინიცირებულია. ასეთი აზრი ფრაქცია ერთიანი რუსეთის ნევრმა ფრანც კლინჩევიცმა დააფიქსირა. მისი აზრით, პეტიციით პოროშენკოს მხოლოდ იმის ჩვენება სურს, რომ იაცენიუკის მოწინააღმდეგე თავად კი არ არის, არამედ საზოგადოება. მისივე აზრით, სააკაშვილის პრემიერად დანიშვნით პოროშენკო ორ კურდღელს კლავს: თავიდან იშორებს კონკურენტს იაცენიუკის სახით და მეორე, რუსეთთან ურთიერთობებს კიდევ უფრო ძაბავს, რაც მას ახლა ხელს აძლევს.

თუმცა, თავად სააკაშვილმა გამოქვეყნებულ პეტიციას „პოლიტიკური სპეკულაციები და ინტრიგები“ უწოდა. ექსპრეზიდენტის განმარტებით, უკრაინის „პრემიერობას არ ვგეგმავ“. თუმცა, მედიაში დიდი აჟიოტაჟია უკვე ატეხილი.

იაცენიუკს სააკაშვილმა ბრალი ოლიგარქების მფარველობაში დასდო. ოდესის გუბერნატორის განმარტებით, პრემიერი კოლომოისკისა და ახმატოვს ლობირებს.

ეს განცხადება მან მას შემდეგ გააკეთა, რაც იაცენიუკმა უარი თქვა, განეხილა დოკუმენტი, სადაც საუბარი იყო ავიაბილეთების ფასებსა და სახელმწიფო ავიაციაში შექმნილ სიტუაციაზე. საუბარი ეხებოდა დენის ანტონიუკს, რომელთანაც სააკაშვილს ურთიერთობები ჯერ ძალიან დაეძაბა, შემდეგ კი მათ მწვავე შელაპარაკება ჰქონდათ ერთმანეთთან. სააკაშვილმა თითქოს მის მოხსნასაც მიაღწია, თუმცა, ანტონიუკი თავის სამუშაო ოთახს მაინც დაუბრუნდა.

პრემიერის წინააღმდეგ ბრალდებებიც სწორედ ამის შემდეგ გაისმა: რა ინტერესებიდან გამოდის იაცენიუკი – კოლომოისკის თუ ათობით მილიონი მგზავრის? – იკითხა სააკაშვილმა.

„მესმის ემოციურობა, მესმის, როგორი რთულია სააკაშვილისთვის. ყველასთვის რთულია. ყველანი ერთნი ვართ, ამიტომ ემოციები და დაუსაბუთებელი ბრალდებები მხოლოდ იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც რეფორმებს ეწინააღმდეგება, ვისაც არ სურს, რომ უკრაინაში რეალური ცვლილებები განხორციელდეს. მით უმეტეს, უხერხულია, რომ ყოფილი პრეზიდენტი ცრუ ბრალდებებს მიმართავს. მაგრამ მე მისი პირველი მოკავშირე ვარ“, – ეს უკვე იაცენიუკის პასუხია.

„იაცენიუკს მხარს უკვე არა მარტო ამომრჩევლები, არამედ სააკაშვილიც აღარ უჭერს, რომელმაც მას ეკონომიკისთვის მიყენებულ ზარალში დასდო ბრალი. აი, ეს არის პრემიერი...“

და მოგვიანებით არც პასუხის პასუხმა დააყოვნა. სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის მზად არის, „ფაქტების ენით“ ისაუბროს:

„პრემიერ-მინისტრის მმართველობის ბოლო წლის განმავლობაში დანაკარგმა, უკრაინული სახელმწიფო საწარმოების გამო, 100 მილიარდ გრივნას გადააჭარბა, რაც 4.5 მილიარდი დოლარია. ამ საწარმოებს ნამდვილად აქვს სარგებელი, მაგრამ ისინი სარგებელს ოლიგარქებს აძლევენ, რაც უკრაინელ ხალხს აკლდება. გამოდის, მოსახლეობა აფინანსებს მათ თავისი პენსიებითა და ხელფასებით“...

„იაცენიუკს მხარს უკვე არა მარტო ამომრჩევლები, არამედ სააკაშვილიც აღარ უჭერს, რომელმაც მას ეკონომიკისთვის მიყენებულ ზარალში დასდო ბრალი. აი, ეს არის პრემიერი...“, – დაწერა პუშკოვმა Twitter-ის საკუთარ გვერდზე.

უკრაინაში სერიოზული სკანდალი აგორდა. ვის სააკაშვილის პრემიერობა აინტერესებს, ვის – იაცენიუკის ბედი და ვინ უკრაინის ვერტიკალში არსებული სერიოზული და მწვავე დაპირისპირების დემონსტრირებით ირთობს თავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCL

ქუჩის მათხოვრების შემზარავი ისტორიები



გიორგი ურუშაძე

ადამიანები, რომლებიც სოციალური სიდუხჭირის გამო, ჩვენი მეზობლები ხდებიან, ოღონდ ქუჩაში, ქართული მწარე რეალობის ნაწილნი არიან. ჩვენ მათ ვეჩვევით, სახეები ნაცნობი ხდება, მათ დანახვაზე ნელ-ნელა მგრძნობელობას ვკარგავთ და სულ ბოლოს, კარგად გაკრეჭილ გაზონს ემსგავსენიან. ისინი ქუჩის ატრიბუტები ხდებიან და ზოგჯერ მათდამი გამოჩენილი სიკეთე, ნაგვის ურნაში ჩაგდებულ ნარჩენს ჰგავს. თუმცა, ეს რეალობის ცივი და გაყინული სახეა. სინამდვილეში, ამ ყველაფრის მიღმა მგრძნობიარე ადამიანები დგანან, ან სულაც, საქმე კრიმინალთან გვაქვს.

სოციალური ექსპერიმენტი „სადგურის მოედნიდან“ დავიწყეთ. პირველი რესპონდენტი, მეტროს მეორე ხაზზე შევამჩნიეთ. თუმცა, ინტერვიუმ არც ისე წარმატებულად ჩაიარა. ზრდილობიან კითხვებზე პასუხი, საკმაოდ უკმეხად მივიღეთ.

მანანა: „ჟურნალისტი არა ის, დაახვიე აქედან. წადი რა, გაიარე. არ შეიძლება გასაუბრება. ნუ მეაფერისტები, გაეთრიე აქედან. თქვენ თვითონა ხართ, წებოს რომ ასხავთ. ძმაკაცი ხარ მოგზავნილი იმ გენის და ვითომ ჟურნალისტია. ასე ანყობენ საქმეს“.

რა მექნა, რესპონდენტს თავი აღარ შევაწყინე. მეტროს მგზავრები უკვე ჩვენ გარშემო იწყებდნენ შეგროვებას.

შემდეგმა რესპონდენტმა თავი გელა გელაშვილად წარმიდგინდა. საუბარი არ მორიდებია. როგორც აღმოჩნდა, 10 წელზე მეტია მეტროში დგას და პურის ფულს ასე შოულობს.

გელა გელაშვილი: „ქუჩაში ვცხოვრობ, სახლი არ მაქვს. სოციალური დახმარება მაქვს. საკმაოდ დიდი ხანია აქ ვდგავარ. აქ ყოფნა ძალიან მიჭირს. თუმცა, ხალხი მეხმარება და ეს კარგია. დაახლოებით 10 წელია ამ ვითარებაში ვარ. სულ ამ ადგილას ვდგავარ“.

სადგურის მოედნიდან პეკინისკენ გადავინაცვლეთ. იქ, პენსიონერი ქალბატონი შევნიშნეთ, რომელიც აირწინაღით სახეს იფარავდა და მინიმარკეტის წინ, ჩამომჯდარიყო. ინტერვიუზე არცთუ ისე ხალისიანად დაგვთანხმდა. გაგვიმხილა, რომ ჟურნალისტების არ სჯერა და ინტერვიუებიც არ უყვარს. რამდენჯერაც ისტორია მოუყოლია, იმდენჯერ უშედეგოდ. დღემდე არავინ დახმარებია.

მაია ბებო: „მარტო ვცხოვრობ შვილო, არავინ არ მყავს. სხვა რა გზა დამრჩენია. ისევ კეთილი ხალხის იმედზე ვარ. პენსიას კი ვიღებ, მაგრამ ბინის ქირას ძლივს ვიხდი. სოციალური დახმარებაც შემიჩერეს 2 თვეა და არ ვიცი, რა გზას დავადგე“.

თავისუფლების მოედანზე შეხვედრილმა მოხუცმა კი კორექტურად მოგვიშორა და საკუთარ გზას მშვიდობიანად გაუყვა.

„70 წლის პენსიონერი ვარ. სოციალურ დახმარებას არ ვიღებთ. წნევა მაქვს შვილო, ნადი, მეტი საქმე არ გაქვს, მე რომ არ მდიო“?

შემდეგი რესპონდენტი კი, უფრო საშიში აღმოჩნდა. დაგვაშინდა და ჩვენი მოშორებისთვის საინტერესო ხერხსაც მიმართა. თავიდან პასუხს არ გვცემდა, თუმცა, აი შემდეგ:

უსახლკარო: „აუ, მომაშორე რა, მომაშორე. გადი აქედან, მე თუ არა სხვა მოგხედავს. დაგსჯიან“.

კითხვების დასმა, მაინც რომ გავაგრძე, უცბად ყვირილი დაიწყო: „მემუქრება, მიშველეთო“. რა უნდა მექნა, გავაგრძელე გზა.

რუსთაველის მეტროსთან საინტერესო ადამიანი შევნიშნე. მუსიკოსი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ინსტრუმენტზე ურკავს. ხელოვანთან საუბარი სიანტერესო აღმოჩნდა. თბილისის კოლორიტი, საკუთარი ცხოვრების დეტალებს გვიმხელს.

ბეჟან ბაზერაშვილი: „წლოვანება არ მახსოვს. წლები არ არსებობს, რადგან ვერ ვხედავ. ბავშვობიდან ვუკრავ, ეს ჩემი პროფესია და ცხოვრებაა. ეს ჩემი სულის დამაწყნარებელი ხელოვნებაა. ამით გამოვხატავ ნუხილს,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...აჭი ღამის თბილისიდან

- **მარინე: „ჩემი შვილი რომ დამემარხა, 18 თვის პენსია გამოვიტანე“**
- **ვერა: „ჩემმა მეორე ქმარმა ჩემი 3 წლის შვილი გააუპატიურა“**
- **უსახლკარო: „გადი აქედან, მე თუ არა სხვა მოგხედავს. დაგსჯიან!“**
- **მარინე: „ღამეს 3 ან 5 ლარიან თავშესაფრებში ვათენებთ“**
- **ვერა: „ეგრე მითხრეს, დედობის უფლება უნდა ჩამოგართვათ და გავაშვილოთო“**
- **მარინე: „ჩემი შვილიშვილი მაია ასათიანის გადარჩენილია“**

სიხარულს და ასე შემდეგ. აქ არის ისტორია. ძალიან ბევრ ინსტრუმენტზე ვუკრავ ერთდროულად და ეს ბევრს უცნაურად ეჩვენება. ზოგი მათგანი ჩემი აწყობილია. თუ მოინდომებ, ყველაფერს აამღერებ. ჩემი შემოსავლის მთავარ წყაროდაც ეს ითვლება. რადგან მგონი, სხვაგვარად ცხოვრება შეუძლებელია“.

ექსპერიმენტი, მელიქიშვილის გამზირზე გავაგრძელეთ, სადაც, ალბათ, ყველაზე საინტერესო და სევდიან ისტორიას წავაწყდით. ოჯახის სამი წევრი, ბებია, შვილი და შვილიშვილი ერთად მუშაობენ. ხალხის მიერ გაცემული შემწეობა ოჯახის ერთადერთი შემოსავალია. 50-მეტრიანი დაშორება, რომელიც მათ სამუშაო ადგილებს შორისაა, ყოველ საღამოს 3 ლარად ნაქირავებ ფართში იკარგება.

პირველად, ბებიას, ქალბატონ მარინეს გავესაუბრეთ. მისი თქმით, ის და მისი 13 წლის შვილიშვილი ერთად მუშაობენ. რადგან გოგონას მარტო ვერ დატოვებს და მუდმივად ყურადღების ცენტრში უნდა, რომ ჰყავდეს. მისი ქალიშვილი, რომელიც გოგონას მამიდაა, იქვე 50 მეტრის დაშორებით ზის.

მარინე: „ჯერ პატარა შვილიშვილი დამელუპა, ჩემი ბიჭი ამის მერე ლოგინად ჩავარდა. 11 წელი ვმკურნალობდი. ვარკეთილში 4 ოთახიანი ბინა გავყიდე და ასე ნელ-ნელა ქუჩაში აღვმოვჩნდით. ახლა ჩემს ბიჭს 13 წლის გოგონა დარჩა, რომელსაც მე ვზრდი. სოციალური დახმარებაც არა აქვს, რადგან ჩემი ბიჭი ქორწინებაში არ იყო და დაბადების მოწმობაში, მამის გვარის ნაცვლად, დედის წერია. ამის გამო, გვედავებიან და დახმარებას არ გვაძლევენ. არადა, ეს 100 ლარი ძალიან გამომადგებოდა. მე ისე არ ვჩერდები, ყარაჯალაა სოფელი და იქ დავდივარ, თოხვნა იყო, ბარვა იყო... ახლა უკვე მოსავალი მოვიდა და ვის რაში ვჭირდები. დახმარება წყალდიდობის მერე შემიჩერეს. თუმცა, დილას იყვნენ მოსულები შემოწმებაზე და აიღებო მითხრეს. მაგრამ ეს თვის ბოლოს ან მეორე თვეს იქნება.

ღამეს 3 ან 5 ლარიან თავშესაფრებში ვათენებთ. გააჩნია, როგორ ვიმოვით. ერთი და იგივე ადგილზე ვჩერდებოდით, ბავშვი სკოლაში რომ მეტარებინა, ხომ ცოდო არის. ძალიან კარგად სწავლობს, შარშან ორი 9-იანი გამოყვა. 13 წლისაა და რომ არ ისწავლოს, ცოდოა. მაგრამ, რაც მამა გარდაეცვალა, იმის მერე ისე ვეღარ ახერხებდა სწავლას. მასწავლებელს ვთხოვე, გამითავისუფლე-მეთქი, რადგან ძალიან გაგვიჭირდა იმ პერიოდში. მითხრა, მოემზადოს და გამოცდები ჩააბაროსო. არ ჩარჩეს კლასშიო. რაც მამა დაეღუპა, იმის მერე საერთოდ სკოლისკენ გახედვა არ უნდა. ახლა, ბოლოს ან მეორე თვეს იქნება.

რომ დამინახავენ თანატოლები დამცინებენო. მე ვუთხარი, ბებო, მაშინ გადაგიყვან სხვა სკოლაში, ოღონდ შენ ისწავლე-მეთქი. იმ სხვა სკოლაში, რომელ სკოლაშიც ამას უნდა, ფასიანია. რომ მივედი და ვიკითხე, წელიწადში გადასახდელი 2000 ლარიაო. საიდან მოვიტანო ის 2000 ლარი. ჩემი შვილი რომ დამემარხა, 18 თვის პენსია გამოვიტანე და ახლა რა შემოსავალი მე მაქვს. ანჟელას 9 დღიდან ვზრდი და ახლა, ვიღაცამ რაღაც რომ უთხრას, სხვანაირად რომ დაუწყოს, არ ვიცი რას ვიზამ. ახლა ისე მეშინია, ბავშვმა ფულის გემო გაიგო და კი აღარ უნდა სკოლაში“.

ქალბატონი მარინეს თქმით, ერთადერთი ვინც მას დახმარება აღუთქვა, მაია ასათიანია. წამყვანი 13 წლის გოგონასაც დაეხმარა და გადაცემაში მიყვანასაც დამპირდა.

მარინე: „დღეს, „რუსთავი 2“-ში ვიყავი, მაია ასათიანს შევხვდი. იქნებ პენსია მაინც დამინიშნოს-მეთქი, ის 100 ლარი, რაც ბავშვს ეკუთვნის. 10-ში დამიბარეს. ჩემი შვილიშვილი მაია ასათიანის გადარჩენილია. ძალიან მძიმედ მყავდა, არ უკეთებდნენ კომპიუტერს და გამოვედი, ვუთხარით. მაიამ მიმაყვანინა, კომპიუტერი გადაიღებინა, წამლებიც თვითონ უყიდა. მაშინ მეწვინა მთელი 6 თვე იაშვილის კლინიკაში. ანჯელას ტყუპისცალიც ჰყავდა, რომელიც ბავშვობაში დაიღუპა. ბავშვის დღის ცენტრებში მიყვანაც მინდოდა, ყველგან ვიყავით, მაგრამ იქ ისეთი პირობები დამხვდა, ნამდვილად ვერ მივიყვანდი“.

ბებიამ შვილიშვილთან გასაუბრების უფლება არ მოგვცა. 13 წლის გოგონა, იქვე ბებიის თვალთახედვის არეში მუშაობს. ძნელია ის პატარა გოგონად აღიქვა, რადგან მისი ჩაცმულობა ცდომილებაში შეგიყვანთ.

ბოლოს, ქალბატონი მარინეს ქალიშვილთან, ვერასთან გადავინაცვლეთ. 26 წლის გოგონა „პრაიმტაიმთან“ საშინელ დეტალებზე ალაპარაკდა. მისი თქმით, მისი 3 წლის გოგონა, მისმა მეორე ქმარმა გააუპატიურა და ახლა ამის გამო სასჯელსაც იხდის. თუმცა, ფსიქიკური აშლილობის დანესებულებაში.

ვერა, 26 წლის: „დიდი ხანია აქ ვმუშაობ. ჩემი შვილის ამბავი იცით? პირველი ქმარი დაღუპული მყავდა. მეორედ რომ გავთხოვდი, 2 წლისა იყო ჩემი შვილი. თავიდან კარგად მექცეოდა ქმარი. შემდეგ რა დაემართა არ ვიცი, ჩემი შვილი გააუპატიურა. მაშინ 3 წლის იყო. ამ ფაქტზე დაიჭირეს, მერე კი, საგიჟეთში გადაგზავნეს. თავიდან ვერაფერს ვამჩნევდი ქმარს, კარგად იქცეოდა. მერე რა დაემართა, არ ვიცი. როგორც მერე დაადგინეს, ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდაო და იმიტომ მოიქცა ასე. სწორედ ამიტომ გადავგზავნეთ საგიჟეთშიო. მე კარგად მექცეოდა, მაგრამ ამ ფაქტის გამო პოლიციას რომ დავურეკე, გამამწარა. ახლა ჩემი შვილი სოციალურ აგენტს ჰყავს და მისი ნახვის უფლებასაც არ მაძლევენ. ვიბრძვი, რომ ბავშვი როგორმე დავიბრუნო. რაღა სხვამ წაიყვანოს, ჩემი შვილი, ჩემთან უნდა იყოს. ეგრე მითხრეს, დედობის უფლება უნდა ჩამოგართვათ და გავაშვილოთო. მე ვუთხარი, ბოზი ვარ თუ რა, მიზეზი რა გაქვთ-მეთქი. მითხრეს, შენს ქმარს ხელი დააფარეო.

იმ შემთხვევის დროს ბავშვი დედამთილს ჰყავდა ჩაბარებული და ქმარი იყო სახლში. დედამთილმა ხელი შეუწყო თუ არა, არ ვიცი. ამ შემთხვევამდე მე ქუჩაში არ ვიდექი. ახლა ბავშვის დაბრუნებაზე ვჩალიჩობ. არავინ მეხმარება. მხოლოდ მაია ასათიანმა მითხრა დაგეხმარებიო და დავიბრუნოთო“.

ამბავი ასეთია. ქუჩაში გამოძერწილი ადამიანის პროფაილები სოციალურ სიდუხჭირეზე გვიამბობენ. ეს ჩვენი რეალობაა. გაჭირვება, უსახლკარობა, უამრავი ყოფითი პრობლემა, შემწეობას უკან შენიღბული კლანები და დაშინებული ადამიანები ამ სინამდვილის ნაწილები არიან. ჩვენი მიზანი მათი აღმოჩენა და თქვენთვის გაცნობა იყო. „კეთილი იყოს შენი ფეხი“, ასეთ რეალობაში...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დოკუმენტურად დადასტუ
სკანდალი სოფლის მეურნეობ

მარიამ ნადირაძე

ერთ-ერთი ეფექტური გზა, რითაც სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლების კონტროლს ახერხებს, თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური დეკლარაციებია. ჰოდა, ამიტომაც არის, რომ პრესაში ინტენსიურად ხდება ამ დეკლარაციების გასაჯაროება. ერთ-ერთი ასეთი „კონტროლის“ დროს „პრაიმტაიმი“ ერთ-ერთი ჩინოვნიკის დეკლარაციაში მეტად უცნაურ გრაფას წააწყდა. წინასწარვე გვინდა გითხრათ, რომ დეკლარაციის არასწორად შევსება სისხლის სამართლის დანაშაულია. შესაბამისად, თუ მსგავსი რამ იქნება აღმოჩენილი, კონკრეტული უწყება, რომელსაც ეს ჩინოვნიკი წარმოადგენს, იწყებს საუბარს ტექნიკურ, ან მექანიკურ შეცდომებზე, თუმცა სამართალდამცველები ვალდებულები ხდებიან, შეისწავლონ, რასთან გვაქვს საქმე. ასე მაგალითად, „კორუფციის მამად“ მონათლულ ლევან მამალაძეს საბოლოოდ სახელმწიფო მხოლოდ დეკლარაციის დარღვევაში ედავება. რა ხდება „ახალი ჩინოვნიკების“ შემთხვევაში?

მაშ ასე, საქმე სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის, ზაზა დოლიძის დეკლარაციას შეეხება. კონკრეტულ თემამდე მკითხველს მცირე ინფორმაციასაც მივაწვდით მის შესახებ: ის პროფესიით ექიმია. თუმცა პროფესიით მცირე ხნით მუშაობდა. ისიც უფრო მენეჯერულ ამპლუაში. თავის დროზე ჩვენთან ინტერვიუში ის ამ ფაქტის შესახებ ასე ყვებოდა: „PSP“-ში სადაზღვევოს უფროსი ვიყავი. ჩემი დაზღვეულია რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. ამ ქარხანას კი ჰყავდა საფეხბურთო კლუბი. როცა იქ დირექტორის ვაკანსია გამოცხადდა, ჩემი კანდიდატურა შევთავაზე. ასე გავხდი ამ კლუბის დირექტორი... როცა ხელფასზე მიდიოდა საუბარი, შემომთავაზეს, ბარემ რუსთავის მეტალურგიული საავადმყოფოს დირექტორიც იყავიო. მითხრეს, ამ თანამდებობასაც მიგვიხედეო... მე ეს სამსახური (სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსობა. – მ.ნ.) შემომთავაზა ბატონმა ოთარ დანელიამ... ჩვენ ვაზღვევდით იმ კომპანიას, რომლის დირექტორიც იყო ბატონი ოთარ დანელია... მოგვიანებით კი ნაყოფიერი სამუშაო გავწიეთ ერთად, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიმუშავე. როდესაც ის მინისტრი გახდა, რაკი სურსათის უვნებლობა ყველაზე ახლოს არის ჯანდაცვასთან, თანაც ჩემში, ალბათ, მენეჯერული თვისებები დაინახა, ალბათ, მიხვდა, რომ აქ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებდით“...

კულუარებში კი საუბრობენ, რომ ამ სააგენტოში გადმოყვანამდე, დოლიძე ჯერ სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს, იმისთვის, რომ მოემზადებინათ ამ თანამდებობის დასაკავებლად. მაშინ სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის სავარძელს ჯერ კიდევ კირვალიძის კადრი იკავებდა.

თვალსაჩინოებისთვის, ფოტოების სახით, მკითხველს წარმოვუდგენთ დოკუმენტურ მასალას იმისთვის, რომ უფრო ცხადად დავინახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები:

ოთარ დანელია მინისტრად 2014 წლის 22 ივლისს დაინიშნა (იხილეთ სურათი #1. – მ.ნ.)... ერთ თვეში კი ზაზა დოლიძე სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოში გადაჰყავთ. დანელიას დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსად კი ის 2014 წლის 26 ნოემბერს ინიშნება (იხილეთ სურათი #2. – მ.ნ.).

ახლა კი ჩავიხედოთ ზაზა დოლიძის 2014 წლის დეკლარაციაში (იხილეთ სურათი #3. – მ.ნ.): პირველივე გვერდზე ნახავთ, რომ ის შევსებულია 20 აგვისტოს, ანუ სურსათის უვნებლობის სააგენტოში დანიშვნამდე 3 თვით ადრე. ახლა კი დააკვირდით, რა წერია გრაფაში – სამსახური დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა. გაგიკვირდებათ და... – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი. ანუ სამსახური, სადაც ის 3 თვის შემდეგ დანიშნება (?! – მ.ნ.)...

აქვე მკითხველი იმასაც ნახავს, რომ სამსახურის მისამართად მითითებულია ძველი, ანუ ჯანდაცვის სამინისტროს მისამართი.

რასაკვირველია, ჩვენც, მკითხველის მსგავსად, გვიჩნდება ეჭვი და მასზე ოფიციალურ კომენტარს ვითხოვთ. უფლებამოსილ პირად უწყებამ საკუთარი იურისტი წარმოგვიდინა:

მაკა შუბლაძე:

– როდესაც ზაზა დოლიძემ შეავსო ეს დეკლარაცია, ის არ მუშაობდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში. ის იყო ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურში. მაშინ მან შეავსო ის მონაცემები, რაც იმ დროისთვის რეალურად არსებობდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც სურსათის ეროვნულ სააგენტოში დაინიშნა, მოხდა შესაბამისი ცვლილება დე-

#236 2014 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი

ო. დანელიას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე დაინიშნოს **ოთარ დანელია** საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად 2014 წლის 22 ივლისიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

სურათი N1

N 444 2014 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

ზ. დოლიძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ზაზა დოლიძე** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსად.

ირაკლი ღარიბაშვილი

სურათი N2

სურათი N3

საჯარო სამსახურის ბიური
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი: **ზაზა დოლიძე** #950311

თანამდებობის პირის დეკლარაცია შეტანილია: 20/08/2014

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი

სამსახურის მისამართი, ელფოსტა: საქართველო, თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144.

დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, თბილისი, 29/04/1981

თქვენი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, (გვარი), თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირი) მონაცემები

სახელი	გვარი	დაბადების ადგილი	დაბადების რიცხვი, თვე, წელი	ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი
ქეთევან	თავდგირიძე	საქართველო, თბილისი	21/10/1983	მეუღლე
ალექსანდრე	დოლიძე	საქართველო, თბილისი	07/01/2006	შვილი
ანასტასია	დოლიძე	საქართველო, თბილისი	11/04/2010	შვილი

სურათი N4

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც ნინა ლოლ პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი	სამუშაოს შესრულებით ნინა ლოლ პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი
ზაზა დოლიძე	შპს საფეხბურთო კლუბი მეტალურგი რუსთავი	დირექტორი	16875.00 GEL
ზაზა დოლიძე	შპს ქართული ფოლადის სამკურნალო ცენტრი	დირექტორი	16875.00 GEL
ქეთევან თავდგირიძე	სს თი-ბი-სი ბანკი	რეგიონალური დირექტორის მოადგილე	45450.00 GEL
ზაზა დოლიძე	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	მრჩეველი	1408.70 GEL
ზაზა დოლიძე	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	დირექტორის მოადგილე	10292.73 GEL
ზაზა დოლიძე	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	უფროსი	8407.50 GEL

„კორუფციის მამად“ მონათლულ ლევან მამალაძეს საბოლოოდ სახელმწიფო მხოლოდ დეკლარაციის დარღვევაში ედავება. რა ხდება „ახალი ჩინოვნიკების“ შემთხვევაში?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...რეგული ახალი ...ის სამინისტროში

– ამ თანამდებობაზე რამდენი გაქვთ ხელფასი? – 2900 ლარი. – დანამატი? – დანამატიც მაქვს 70 პროცენტი...

კლარაციაში. თუმცა, ახლა როცა ვნახეთ, პროგრამულ ხარვეზს აქვს ადგილი.

– ეს პროგრამული ხარვეზი, ალბათ, დეკლარაციების ბიუროს შეეხება და არა თქვენ, არა?

– დიახ.

– თქვენ უკვე დააზუსტეთ იმ ბიუროში, რომ ეს პროგრამული ხარვეზია?

– თქვენგან ამ ფაქტის შესახებ პარასკევს სამუშაო დღის ბოლოს შევიტყვეთ. ჩვენ დავრეკეთ საჯარო ბიუროში. უკვე გვიანი იყო. ორშაბათს დღის პირველივე ნახევარში ეს ხარვეზი გასწორდება...

– იქნება და სულაც არ გვაქვს საქმე პროგრამულ ხარვეზთან? თქვენ შეგიძლიათ, ის დეკლარაცია მოგვაწოდოთ, რომელიც, თქვენი თქმით, ზაზა დოლიძემ სწორად შეავსო?

– სამწუხაროდ, ხელი არ მიმიწვდება. ბატონი ზაზა კი მივლინებაში იმყოფება. როცა დაბრუნდება, ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, გავაკეთებთ...

შესაბამისად, უწყებას კიდევ აქვს დრო, ჩამოყალიბდეს და მომზადებული პასუხით წარდგეს თუ სამართალდამცველების არა, საზოგადოების წინაშე. მანამდე კი დეკლარაციაში ჩვენი ყურადღება კიდევ ერთმა გრაფამ მიიპყრო. ამჯერად საუბარი გვაქვს 2015 წლის დეკლარაციაზე (იხილეთ სურათი #4. – მ.ნ.): გრაფაში, სადაც მითითებულია წინა წლის 31 დეკემბრამდე მიღებული შემოსავლები დაკავებული თანამდებობიდან, დოლიძეს უწერია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე მან მიიღო 8407.5 ლარი. ანუ, თუ გვიმტკიცებენ, რომ ის მართლაც 2014 წლის 26 ნოემბრიდან შეუდგა თავის მოვალეობას ამ სამსახურში, გამოდის, რომ მას ერთი თვის მუშაობით დაუმსახურებია ეს თანხა. ახლა კი ვნახოთ, რას ეუბნებოდა ის „პრაიმტაიმს“ საკუთარი ხელფასის შესახებ:

– ამ თანამდებობაზე რამდენი გაქვთ ხელფასი?

– 2900 ლარი.

– დანამატი?

– დანამატიც მაქვს 70 პროცენტი.

აქ უკვე ჩემი მათემატიკა ძალიან „დაიბნა“. იმედია, მკითხველი მოგვეხმარება ამ „რთული ამოცანის“ ამოხსნაში. ან კიდევ, უწყება უფრო ჩამოყალიბებულად წარმოგვიდგენს საკუთარ პოზიციას ახალი სამუშაო კვირის დაწყების შემდეგ.

„თავისუფალი თაობა“ დაიშალა?

მირიან ბოქოლიშვილი

ახალგაზრდა აქტივისტების გაერთიანება, რომელმაც საზოგადოებას თავი არაერთი აგრესიული პიარ-კამპანიითა და საპროტესტო აქციით დაამახსოვრა, დაშლის პირას არის. ყოველ შემთხვევაში, ასე გვიყვება ჩვენი წყარო, რომელიც ირწმუნება, რომ ბოლო დღეებში ორგანიზაცია „თავისუფალი თაობა“ რამდენიმე პირმა დატოვა. მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან დაახლოებული ორგანიზაცია „თავისუფალი ზონაა“. ტელეეკრანიდანაც, ალბათ, ხშირად გინახავთ „ნაციონალებისა“ და „ზონის“ ოფისებთან კვერცხებით, ცოცხებითა და სხვა ატრიბუტიკით შეიარაღებული „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლები.

როგორც ინკოგნიტო წყარო გვიყვება, უთანხმოებამ თავად „თავისუფალი თაობის“ შიგნით იხეთქა, ორგანიზაცია ზოგმა ფინანსებთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, ზოგმაც კი სადღობელაშვილის პოლიტიკური ამბიციების გამო დატოვაო.

„ეს ორგანიზაცია პრაქტიკულად დაიშლა. მგონი, ლადო სადღობელაშვილი დარჩება მარტო. გიორგი ყუფარაძე, ანი დარსალია და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ღიად გაემიჯნა სადღობელაშვილს“, - გვიყვება ჩვენი წყარო.

ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ პირადად ლადო სადღობელაშვილს დავუკავშირდით. მან ორგანიზაციის დაშლა არ დაადასტურა და აღნიშნა, რომ „თავისუფალ თაობა“, პირიქით, რამდენიმე წევრით გაიზარდა. სამომავლო პოლიტიკური გეგმების შესახებ საუბრისას კი განმარტა, რომ „შესაძლოა ორგანიზაციამ მომავალ არჩევნებზე რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთად იბრძოლოს მანდატების მოსაპოვებლად“.

ლადო სადღობელაშვილი, „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი:

- ერთი ორი ადამიანი წავიდა, მაგრამ მაგას თუ დაშლას ეძახი, არ ვიცი. ყოველდღე მიდიან და მოდიან ადამიანები.

- არადა გვითხრეს, რომ არაერთი აქტივისტი შემოგაკლდათ. მაგალითად, გიორგი ყუფარაძე, ანი დარსალია და სხვები...

- გიორგი ყუფარაძე სხვა სამსახურში მოეწყო. დრო აღარ ჰქონდა. ასე გვითხრა თავად.

- ამბობენ, რომ რეალურად, წასვლის მიზეზი გარკვეულ საკითხებზე შეუთანხმებლობა გახდა...

- არა, ყუფარაძესთან მიმართებაში უთანხმოება არ ყოფილა. ერთადერთი ანიმ მითხრა, რომ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის გაკეთებას ვაპირებო. ყუფარაძემ სხვა სტრუქტურაში დაიწყო მუშაობა და ამიტომ არ სურდა „თაობასთან“ გაიგივება.

- ინფორმაცია, რომ ოფისში ფინანსური გარჩევები იყო, სიმართლეს არ შეესაბამება?

- არა, ეგ არის ტყუილი. ფინანსებთან საერთოდ არანაირი კავშირი არ გვაქვს. ჩვენ საკუთარ ფულს ვკრიბავთ ყოველდღიურად, ისე ვიხდით ოფისის ფულს. ეს რაღაც კუდების მობმას უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ინფორმაციას. „თავისუფალი თაობა“ იმაზე უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე აქამდე ყოფილა. ორგანიზაცია სამი-ოთხი კაცის გამოკლებით არ იშლება, ამის საპირწონედ უნდა ნახოთ რამდენი ადამიანი შემოგვემატა.

- რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

- სექტემბრის ბოლოს ვგეგმავთ კონფერენციის ჩატარებას. ვაპირებთ კახეთის მიმართულებით ოფისის გახსნას. ამასთან გვინდა მოვემზადოთ წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ვინაიდან ჩვენ თავიდანვე გაცხადებული გვქონდა, რომ პოლიტიკური ამბიციებიც გვაქვს. შესაბამისად, არჩევნებისთვის, როგორც ახალგაზრდული ჯგუფი ისე მოვემზადებით. ჩვენ არ გარდავიქმნებით პოლიტიკურ ორგანიზაციად, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში რომელიმე ეროვნული ღირებულების პარტიას შევუერთდებით. ეს იქნება „პატრიოტთა ალიანსი“, ბურჯანაძის პარტია, თუ „ოცნება“, ამაზე ჩამოვყალიბდებით.

- ანუ შესაძლებელია, მომავალ არჩევნებზე რომელიმე პარტიის საარჩევნო სიაში გიხილოთ?

- კი, რატომაც არა.

სადღობელაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შსს სანაპირო დაცვა

ინტერვიუ სასაზღვრო პოლიციის უფროსთან

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს შავიზღვისპირეთში აქტიური ტურისტული სეზონი ნელ-ნელა სრულდება, თუმცა ტრაგედიების გარეშე არც ამ ზაფხულს ჩაუვლია. ჩვენს მკითხველსაც, ალბათ, ხშირად სმენია, ბათუმში, ქობულეთში, ურეკსა თუ ფოთში ადამიანების დახრჩობის შესახებ.

მხოლოდ აგვისტოს თვეში დამსვენებლების ზღვაში დახრჩობის რამდენიმე ათეული ფაქტი დაფიქსირდა. ეს ფაქტები საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, განსხვავებით იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრაგედია თავიდან იქნა აცილებული, მათ შორის დახრჩობას გადაარჩინეს მცირეწლოვანი ბავშვებიც. სანაპირო დაცვის სამსახურში ასეთი არაერთი ფაქტია აღრიცხული. უწყების თანამშრომლებმა გასულ სეზონზე ჯამში 31 ადამიანის გადარჩენა მოახერხეს.

უწყებაში ამბობენ, რომ მომავალ სეზონს სანაპირო დაცვის სამსახური კიდევ უფრო მობილიზებული შეხვდება. ამის საშუალებას კი განახლებული და მოდერნიზებული ინფრასტრუქტურა იძლევა.

უწყებაში ამის მკაფიო მაგალითად გასულ კვირას ბათუმში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამედროვე ნავმისადგომის გახსნა მოჰყავთ. ნავმისადგომი პირადად პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან და ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად გახსნა. საზეიმო ღონისძიებას სხვა მაღალი რანგის სტუმრებიც ესწრებოდნენ.

როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბრისას შს მინისტრის მოადგილემ, სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ გამეზარდაშვილმა აღნი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცვას აძლიერებს

შნა, თანამედროვე სტანდარტების სტრატეგიული ობიექტი აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით აშენდა და მიზნად ისახავს სანაპირო დაცვის შესაძლებლობებისა და ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას.

ზურაბ გამეზარდაშვილი, შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

- ნავმისადგომი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სანაპირო დაცვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ამერიკული მხარის დაფინანსებით განხორციელდა სასაზღვრო პოლიციის საპატრულო კატარღა „P-103"-ის სრული მოდერნიზება, რომელსაც მიენიჭა სახელი „ბათუმი". ამ ნავმისადგომს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს სანაპირო დაცვის მხრივ. ეს არის საერთაშორისო სტანდარტების ნავმისადგომი, რომელიც ამერიკული მხარის დაფინანსებით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად გაკეთდა.

- რა დაჯდა ამ ნავმისადგომის მშენებლობა?

- ნავმისადგომის მშენებლობაში 12 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

„მშენებლობაში 12 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ობიექტი გათვლილია 6 ბალიან შტორმზე. ასი წლის განმავლობაში რა მაქსიმალური საფრთხეც კი ყოფილა იმის გათვალისწინებით მოხდა შესწავლა და დაპროექტება"

ზურაბ გამეზარდაშვილი: „ბათუმში გახსნილი სტრატეგიული ობიექტი მიზნად ისახავს ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას"

ობიექტი გათვლილია 6 ბალიან შტორმზე. ასი წლის განმავლობაში რა მაქსიმალური საფრთხეც კი ყოფილა იმის გათვალისწინებით მოხდა შესწავლა და დაპროექტება. ნავმისადგომს ერთდროულად შეუძლია 12 მცურავი საშუალების მიღება და საჭიროების შემთხვევაში სამოქალაქო პორტებსაც მოემსახურება.

- ამ დრომდე რა მდგომარეობა იყო?

- გვქონდა ნავმისადგომი, რომელიც ბევრ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მცურავი საშუალებები შტორმის დროს არ იყო დაცული. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო სტანდარტების ნავმისადგომი გვაქვს.

- სამოქალაქო უსაფრთხოების თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია ეს ობიექტი?

- მნიშვნელოვანია რამდენადაც აქ თავისუფლად შეიძლება სამოქალაქო გემის შემოყვანა და უსაფრთხო ბაზირება, თუმცა ძირითადად გამოიყენება სანაპირო დაცვისთვის. ჩვენი სანაპირო დაცვის კატარღები და პირადი შემადგენლობა მონაწილეობს ძებნა-გადარჩენის სამუშაოებში. თითქმის დღე არ გავა, რომ რამდენიმე ადამიანი არ გადაარჩინონ დახრჩობას. მაგალითად, მოტონავები, რომლებიც გადიან ზღვაში და მოულოდნელი შტორმი იწყება, მათ უსაფრთხო გამოყვანას სწორედ ჩვენი სანაპირო დაცვის კატარღები უზრუნველყოფენ.

- გეთანხმებით, რომ ამ ადამიანებს ხშირად უწევთ სარისკო ოპერაციებში მონაწილეობა, აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორია მათი სოციალური გარანტიები?

- სანაპირო დაცვის თანამშრომლებისთვის ფოთში ვიწყებთ 10 ახალი საცხოვრებელი კოტეჯის აშენებას, თანამშრომლების ბავშვებისთვის ასევე ვფიქრობთ საბავშვო ბაღის მოწყობაზეც. ეს საჭიროა, რათა არ მოხდეს ჩვენი კადრების მიგრაცია. მოგეხსენებათ კერძო სექტორი ისრუტავს პროფესიონალ კადრებს. მაგალითად, გემთსარემონტო სამუშაოების სპეციალისტები ბევრი არ გვყავს ქვეყანაში, ამიტომ, რომ არ მოხდეს კადრების გადინება, ჯერ კიდევ გასულ წელს, ვახტანგ გომელაურის მინისტრობის პერიოდში, სანაპირო დაცვის საინჟინრო სპეციალისტებს 250 ლარით გავუზარდეთ ხელფასები. ახლა კი უნდა შევუქმნათ საცხოვრებელი პირობები, რათა მათ ჰქონდეთ ყველა პირობა, რომ იყვნენ სახელმწიფო სამსახურში. მნიშვნელოვანია, რომ ახლანდელი მინისტრი, ბატონი გიორგი მღებრიშვილი აქტიურად უდგას გვერდით სასაზღვრო პოლიციას და ეს თითოეული თანამშრომლისთვის, თითოეული მესაზღვრისთვის ძალიან დიდი სტიმულია.

- რამდენად თანამედროვეა ის მცურავი საშუალებები, რომელსაც სანაპირო დაცვა იყენებს?

- ჩვენ მაქსიმალურად განვაახლეთ ეს მიმართულება. ამასთან, მომავალი წლისთვის ამერიკიდან ჩამოგვყავს ორი თანამედროვე ტიპის კატარღა. ამერიკული მხარე ამას საჩუქრად გადმოგვცემს. მათ მიერ ამ სამი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები სანაპირო დაცვის მიმართულებით, ნამდვილად დასაფასებელია. ნახეს, რომ მათი ნაშრომი ძალიან კარგად არის ათვისებული და მოვლილი, ამიტომაც ამერიკული მხარე მზად არის ამ განვითარების პროგრამის ფარგლებში დამატებით 10 მილიონი დოლარი დახარჯონ.

- აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გკითხოთ, ზოგადად რა მდგომარეობაა საქართველოს საზღვრებზე? რა პირობებში უწევთ ქართველ მესაზღვრეებს საზღვრების დაცვა?

- მოგეხსენებათ გასულ წელს 10 ახალი სექტორი გავხსენით, წელს ვგეგმავთ კიდევ 5 ახალი სექტორის აშენებას, კერძოდ, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. ევროკავშირთან უკვე მიღწეული გვაქვს შეთანხმება და დედოფლისწყაროს მონაკვეთიდან ვიწყებთ ამ პროცესს. სწორედ ევროკავშირის დაფინანსებით აშენდება ეს ხუთი ახალი სექტორი. ეს საერთაშორისო სტანდარტების იქნება.

- და წინა წლებში ეს ინფრასტრუქტურა არ არსებობდა?

- დიახ, შემიძლია გადაჭარბების გარეშე გითხრათ, რომ ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არ არსებობდა. ერთი პალატკისა და ცუდი საკვების გარდა არაფერი იყო. ახლა საკვების ყოველკვირეულ მონიტორინგს პირადად ვანარმოებ და განსაკუთრებულ კონტროლზე მყავს ეს საკითხი აყვანილი. საზღვრის განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის დროს. არ არსებობდა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა, მოძველებული იყო კატარღები, რომელთა მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავიაციის განვითარება. რომ არა ირაკლი ღარიბაშვილის მონდომება, დღეს სტიქიური უბედურებისა და გაჭირვების დროს ჩვენი ავიაცია ვერაფერს გააკეთებდა. თუნდაც, ორი კვირის წინ მთა-თუშეთში მომხდარი სტიქიის შედეგად ერთ დღეში 620 ადამიანი გადმოვიყვანეთ სტიქიური უბედურების ზონიდან.

- საზღვრის უკანონო კვეთაზე რამდენად აისახება გაუმართავი ინფრასტრუქუტრა?

- რა თქმა უნდა, ეს რისკი არსებობს, როდესაც მოშლილია სასაზღვრო ინფრასტრუქტურა. ახალი სექტორები ჩვენ აღვჭურვეთ სპეციალური ფოტოხაფანგებით, თანამედროვე აპარატურით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ყოველგვარი ასეთი მცდელობა. ყველაფერი არის ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობაში, რადიოტექნიკური საშუალებები იქნება ეს, თუ სხვა ტექნიკა. ჩვენ მიერ დანერგილმა თანამედროვე სტანდარტებმა საშუალება მოგვცა, რომ 4-ჯერ უფრო ეფექტური გაგვეხადა ბრძოლა საზღვრის უკანონო კვეთასთან დაკავშირებით. ეს განპირობებულია არა იმით, რომ დღეს უფრო მეტმა ადამიანმა მოინდომა საზღვრის უკანონო გადაკვეთა, არამედ იმით, რომ მესაზღვრეებს არ ჰქონდათ სათანადო პირობები და ტექნიკური აღჭურვილობა, ამ ფაქტების სრულფასოვანი აღკვეთის მიზნით. ახლა საზღვრებზე განლაგებულია ფოტოხაფანგები, თანამედროვე „კვადროციკლებით" აღვჭურვეთ ეს პუნქტები და სხვა დამატებითი თანამედროვე ტექნიკური საშუალებები გადავეცით.

- დაბოლოს მინდა გკითხოთ, თქვენ ამ დრომდე სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებთ... იგეგმება ამ თანამდებობაზე თქვენი გამწესება, თუ დროებით ხელმძღვანელობთ ამ უწყებას?

- საბოლოოდ, ალბათ, ჩემი რეგალია ასე განისაზღვრება - შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

SOS! დევნილის ყოფილი

მარიამ ნადირაძე

ამ ერთი ისტორიის გაცნობის დროს ჩვენს მკითხველთა შორის ბევრი, ალბათ, საკუთარ პრობლემასაც ამოიცნობს. ამიტომაც ამჯერად ვიბლიანებისა და ციციშვილების ოჯახების გასაჭირზე გიამბობთ. განზოგადება კი მკითხველის გემოვნების, ინფორმაციულობის, ან გამოცდილებისთვის მიგვინდვია.

„აქ არის სხვა დაინტერესება, რაშიც მინისტრის მოადგილე, შოთა რეხვიაშვილს ჩათრეული ჰყავს ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“

EXCLUSIVE

ხვიჩა ვიბლიანი ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მონაწილეობდა. მისი ოჯახის მტკიცებით, მან იქ სერიოზული ტრავმები მიიღო, ტვინის ტუბერკულოზიც გადაიტანა. ბოლოს მაინც მოუხდა დევნილობაში ყოფნა. ვერ გეტყვით, როგორ, მაგრამ ოჯახმა მოახერხა საკუთარი საცხოვრებელი სახლი ჰქონოდა – სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ვარკეთილის დასახლებაში. 2010 წელს ხვიჩას და, ინდირა ვიბლიანი დაიჭირეს, რომელიც მანამდე მერიაში მუშაობდა. ოჯახს მის დასახსნელად ბინის იპოთეკით დატვირთვა მოუხდა. მერე კი მოხდა ის, რაც ხშირად ხდება ხოლმე – ბინა აუქციონზე გაიყიდა. იპოთეკარებმა საკუთარი თანხები ამოიღეს. თუმცა, საკუთრების შემძენი, ქალბატონი ქეთევან ციციშვილი დღემდე ვერ ახერხებს საკუთრებაში შესვლას. როგორც თავად აცხადებს, თვითონ უწევს ქირით ცხოვრება, სასამართლოს ხარჯებისთვის ვალების აღება, რის გამოც ახლა მას მოუწია ამ ბინის იპოთეკით დატვირთვა და თავად იხდის პროცენტებს...

ერთი შეხედვით, ჩვენი რეალობისთვის ბანალური სურათია. თუმცა, თუ თემას ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფოს პატრონაჟსა და დაწერილ კანონებს შორის უზარმაზარი უფსკრულია, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში იძლევა საშუალებას, შელახოს ერთი მოქალაქის უფლება მეორის დაცვის ხარჯზე.

იმისთვის, რომ თემას უფრო კომპეტენტურად შევეხოთ, ბუნებრივია, მხარეებს უნდა მოვუსმინოთ. ქეთევან ციციშვილის ადვოკატი, ინგა შარაშენიძე ამბავს ასე გვიამბობს:

– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ხვიჩა ვიბლიანისა და მისი ოჯახის გამოსახლების თაობაზე. ხვიჩა ვიბლიანი იძულებით გადაადგილებული პირია. თავისი ბინა იპოთეკით ჰქონდა დატვირთული. ვერ შეძლო ბინის გამოსყიდვა. როგორც წესი, იპოთეკარმა აღსრულებას მიმართა. მოეწყო აუქციონი, სადაც ბინა კეთილსინდისიერმა მყიდველმა, ქალბატონმა ქეთევან ციციშვილმა შეიძინა. მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია. ცხოვრობდა ქირით და ეს ბინა სწორედ ამ პრობლემის მოხსნის მიზნით შეიძინა. ეს ამბავი 2013 წელს მოხდა. 2014 წლის 1-ელ ოქტომბერს აღსრულების ეროვნულ ბიუროს უამრავი ქონება ციციშვილისთვის უნდა გადაეცა. სწორედ ამ თარიღს დაასწრო დევნილთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა შოთა რეხვიაშვილმა. აღსრულებას მისწერა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ვინაიდან ხვიჩა ვიბლიანი იძულებით გადაადგილებული პირია, სოციალურად დაუცველთა ფენას მიეკუთვნება, სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია, ჰყავს სამი შვილი, გთხოვთ, შეჩერებულიყო აღსრულება სამი თვით. ვადის გასვლის შემდეგ აღსრულების ეროვნულ ბიუროში მინისტრის მოადგილე რეხვიაშვილისგან მორიგი წერილი შევიდა ანალოგიური შინაარსით და ამჯერად 6 თვით მოითხოვა აღსრულების გადავადება. ამ წერილის საფუძველზე ბიუროს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოსცა განკარგულება და შეაჩერა აღსრულება ოღონდ 6 თვის ნაცვლად, სამი თვით. წერილი მესამედაც დაიწერა და მესამედაც შეჩერდა აღსრულება. ერთი სიტყვით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სამივეჯერ ერთი და იგივე პირს, მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილს დაუკმაყოფილა მოთხოვნა და არც ერთმა სახელმწიფო მაღალი თანამდებობის მქონე პირმა არ გაითვალისწინა კეთილსინდისიერი მესაკუთრეს ინტერესები. მართალია, ხვიჩა ვიბლიანი იძულებით გადაადგილებული პირია, მაგრამ ვინ არის ქეთევან ციციშვილი? რა პირობებში უხდება მას ყოფნა, სანამ სახელმწიფო მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს იცავს, ეს არავის შეუსწავლია. ახლა ეს ქალბატონი თავად იხდის ქირას საცხოვრებელში, იმის გამო, რომ ორი ჩინოვნიკი მისი უფლებების დარღვევის ხარჯზე იცავს მეორე პირის უფლებას. თანაც, თუ სახელმწიფოს ინტერესშია, რომ დააკმაყოფილოს იძულებით გადაადგილებული პირი საცხოვრებლით, ეს ვერ უნდა გააკეთოს სხვა პირის საკუთრების უფლების შელახვის ხარჯზე. ხომ არ შეიძლება, გაწიროს ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც, მიუხედავად საკუთრებისა, უწევს ხარჯების გაღება, ქირის გადახდა, სანამ სახელმწიფო მასაც მოწყალე თვალით გადმოხედავს. თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რა ზომებს მიმართა ვიბლიანმა აღსრულების შეჩერების კვალდაკვალ, თავადაც დარწმუნდებით, რომ დიდი ალბათობით წინასწარ კარგად გათვლილ გეგმასთან გვაქვს საქმე. პირველივე აღსრულების შეჩერების შემდეგ მინისტრის მოადგილის წერილის საფუძველზე, ხვიჩა ვიბლიანმა მიმართა სასამართლოს და ამ უკანასკნელმა ის ქმედუუნაროდ აღიარა. ეს აბსურდული გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ყველა გარიგებას იპოთეკარებთან, ნოტარიუსთან ის თავად ესწრებოდა. ამასობაში, პარალელურად იწყებს დავას იპოთეკარებთან ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

– თუ მოხდება ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რა მოხდება?

– ვიბლიანი დარჩება თავის ბინაში, იპოთეკარები – თავის ფულთან, ქალბატონ ქეთევანს კი მოუწევს სასამართლო-სასამართლო სიარული საკუთარი უფლებების დასაცავად, სანამ არ აღმოაჩენენ დამნაშავეს... ეს ყველაფერი კი იმიტომ, რომ ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა კანონიერად გამოცხადებულ აუქციონში კანონიერად გადაწყვიტა მონაწილეობა. თუ იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სახელმწიფო იჩენს კეთილ ნებას და არ ასახლებს, მაშინ აუქციონის ჩატარების პირობებში მიუთითონ, რომ ქონების ყოფილი მესაკუთრე დევნილია და მყიდველი აღარ შევა შეცდომაში და არ შეიქმნის ილუზიას, რომ აუქციონის მოგებით ის რეალური მესაკუთრე გახდება. სახელმწიფოს თუ ასე ძალიან შესტკივა გული ვიბლიანზე, თავად დააკმაყოფილოს საცხოვრებლით, ან ქირით გაიყვანოს. ამას არ აკეთებენ, ვინაიდან აქ არის სხვა დაინტერესება, რაშიც მინისტრის მოადგილე, შოთა რეხვია-



„ამ ჯგუფმა, მალხაზ ველიჯანაშვილის ხელმძღვანელობით, ახლა ახალაიას ინტერესებს რომ იცავს, გააუბედურა ჩემი ოჯახი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საკუთრების შეძენა სარისკოა

რა კავშირში არიან „თაღლითურ სქემასთან“ დევნილთა სამინისტროსა და აღსრულების ჩინოსნები?

შვილს ჩათრეული ჰყავს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე. მართალია, ამ უკანასკნელს აქვს უფლება, შეაჩეროს აღსრულება, მაგრამ ეს არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიხსენით, რა ქნას ჩვეულებრივმა მოქალაქემ, რომელმაც კეთილსინდისიერად შეიძინა ბინა, რაც მანამდე ვინმე ვიბლიანმა ჩადო იპოთეკაში და ფული ვეღარ დააბრუნა. როდესაც ფულს იღებდა ვიბლიანი, მაშინ ქმედუნარიანი იყო და ახლა გახდა ქმედუუნარო?

ქეთევან ციციშვილი:

– ეს ბინა აუქციონზე 32 ათას დოლარად შევიძინე (ეკვივალენტი ლარში). რეალურად ის მამამ იყიდა. აღსრულებაში გადავიხადე თანხა. სამჯერ გადამიდეს. ხან რას იმიზეზებენ, ხან – რას. ხან დევნილიაო, ხან მეურვე უნდა დაენიშნოსო. ეს ვიბლიანი მინისტრის მოადგილესთან არის შეკრული და ამით ახერხებს აღსრულების შეჩერებას. ამასობაში კი მე ორი წელია ქირით ვცხოვრობ. თუ ვერ გამოასახლებდნენ მას, მაშინ საერთოდ რატომ გაიტანეს ეს ბინა აუქციონზე? ჩემი იმედი ჰქონდათ? მე რატომ უნდა დავზარალდე ვიღაცის გულისთვის? იმან ფული წაიღო, დახარჯა და გამოდის, მე გადამიხდია მისთვის ეს ვალები. ამის გარდა, სხვა ქონებაც ჰქონია ჩადებული. როცა პოლიციაში მივედი, მათ მითხრეს, რომ ხვიჩა ვიბლიანზე სხვა განცხადებებიც იყო შესული. მესამე მასივში ვცხოვრობ ქირით. მაშინ მეც ავიღებ ვალს, გავხდები ქმედუუნარო და ვიჩუქებ ამ თანხას სახელმწიფოს დახმარებით კერძო მესაკუთრის ხარჯზე. ახლა მე მაქვს ეს ბინა ჩადებული იპოთეკაში, ქვეყანა ხარჯს მაწევინებენ, ახლა მე ვიხდი პროცენტებს. რატომ, ამიხსენით...

„დევნილთა პარტიის“ თავმჯდომარე, ქალბატონი ლელა გულედანი მიიჩნევს, რომ აქ საკანონმდებლო ხარვეზთან გვაქვს საქმე. როდესაც აღსრულება ეხება კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს, არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია და ეს პრობლემა გვარდება, ვინაიდან სამინისტროს ამ კანონის საფუძველზე ბიუჯეტშიც აქვს გაწერილი სახსრები დევნილთა უფლებების დასაცავად და მათ დასაკმაყოფილებლად ღირსეული საცხოვრისით, მაგრამ, თუკი საქმე შეეხება დევნილს, რომელიც კერძო სექტორშია, ამ შემთხვევაში სამინისტრომ აღარ იცის, რა ქნას: „ინყება ქულების თვლა და მისი სოციალური მდგომარეობის შესწავლა. თუ საკმარისი ქულა არ უგროვდება, დევნილს რიგში ჩადგომა უწევს. არადა აღსრულება არ იცდის... ასე რომ, ასეთი შემთხვევები კარგად უნდა იქნას აღრიცხული და შესწავლილი და უნდა ჩაიდოს ფულადი სახსრები ბიუჯეტში, იმისთვის, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს“.

სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელმა „პრაიმტაიმს“ უარი განუცხადა კონკრეტული საქმის შესახებ საუბარზე მანამ, სანამ არ წარვადგენთ მხარის მიერ ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობას. განზოგადებულად კი საუბარი ამგვარად წარიმართა:

პაატა შამუგია:

– რამდენჯერ შეიძლება სხვა სამინისტროს მოთხოვნით გადაიდოს აღსრულება?

– გააჩნია სამინისტროს და მოთხოვნის საფუძველს...

– (ვუკონკრეტებთ. – მ.ნ.)

– თითოეული გადადება თანხმდება მხარეებთან.

– რაკი მხარე აპროტესტებს, ეს ნიშნავს, რომ მას არავინ შეთანხმებია... შეიძლება ეს დაუსრულებლად გაგრძელდეს?

– ვერ გეტყვით... მთავარია, რომ მოდავე მხარესთან შეთანხმების გარეშე არ მოხდება... თუ ეს ასეა, მაშინ შეუძლია, უჩივლოს აღსრულების ბიუროს, თუ თვლის, რომ რამე პროცედურები დავარღვიეთ...

ბატონ ხვიჩა ვიბლიანთან საუბარი ვერ მოხერხდა. მისი და, ინდირა ვიბლიანი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ბატონი ხვიჩა მძიმედ ავადაა:

– ხომ იცით, რასაც ნიშნავს ქმედუუნარო. ფსიქოლოგიური პრობლემებიც აქვს. იმ თაღლითების ჯგუფმა ისარგებლა ჩემი ძმის ამ მდგომარეობით და მოტყუებით ჩაადებინეს ბინა. მე მაშინ ციხეში ვიყავი. საპროცესოსთვის ითხოვდნენ თანხას. ჰოდა, ამ ჯგუფმა, მალხაზ ველიჯანაშვილის ხელმძღვანელობით, ახლა ახალაიას ინტერესებს რომ იცავს, გააუბედურა ჩემი ოჯახი. ის ფული არც მე და არც ჩემს ძმას თვალად არ გვინახავს.

– მაგრამ ქალბატონმა ქეთევანმა რა დააშვა. მან ხომ ეს ბინა კეთილსინდისიერად იყიდა? ახლა კი თავად ცხოვრობს ქირით და პროცენტებსაც იხდის...

– ქირით ვცხოვრობო იტყვის, აბა, რა... 3750 ლარად რომ იყიდა, იმ ბინაზე საუბრობს ეს ქალბატონი?

– თუ 32000 დოლარად?

– რას ამბობთ? ეს იყო თაღლითების ჯგუფი, რომლებმაც ჩემს ქმედუუნარო ძმას თავბრუ დაახვიეს. ქალბატონს კი ერთი თეთრიც არ გადაუხდია. ის იმ იპოთეკარების ახლობელია. ამ ბანდას მთელი სქემა აქვს შემუშავებული, როგორ ჩაეგდოთ ხელში სხვისი ქონება და ასე 40 ოჯახი ჰყავთ გაუბედურებული. აუქციონზეც იღებენ მონაწილეობას და ერთმანეთშიც იყოფენ წილებს. ახლა დადის და ჩივის თქვენთან? როდესაც ვურეკავდი, შეხვედრაც არ მოისურვა ჩემთან.

– ამბობენ, რომ თქვენ მინისტრის მოადგილე, შოთა რეხვიაშვილი გპატრონობთ...

– შოთა რეხვიაშვილი ერთხელ მყავს ნანახი. ცხელი ხაზით ჩავენერე მიღებაზე. სულ ეს იყო. ახლა სასამართლოები გვაქვს და როცა ყველაფერს მორჩები, ამ ჯგუფს მთლიანად გამოვიყვან სააშკარაოზე...

დევნილთა სამინისტროში „პრაიმტაიმს“ იურისტი შეახვედრეს:

ლევან ბარდაველიძე, სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსი.

– დევნილები ჩვენი ბენეფიციარები არიან. სპეციფიკური და მოწყვლადი ჯგუფია. შესაბამისად, როდესაც მათ მიმართ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს, არსებობს საშიშროება, რომ ეს ადამიანები ქუჩაში დარჩნენ, მათზე ზრუნვა და დახმარება ჩვენი კანონით დაკისრებული მოვალეობაა.

– ციციშვილები ამტკიცებენ, რომ ვიბლიანების ოჯახს მინისტრის მოადგილე, შოთა რეხვიაშვილი მფარველობს...

– ბატონი შოთა ასეთ თემებზე რეაგირებას რომ ახდენს, ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. სამინისტროში სწორედ ის უწევს დევნილების საკითხს კურატორობას...

– რამდენჯერ შეიძლება მისი წერილის საფუძველზე აღსრულება გადაიდოს?

– სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონით ეს შეიძლება მოხდეს ორჯერ 6 თვით, ერთხელ კი სამი თვის ვადით. შემდეგ სასამართლოსაც აქვს ერთჯერადად აღსრულების გადავადების უფლება... ეს ხდება მაშინ, თუ აღსრულების გადგილზე განსაკუთრებული ვითარებაა შექმნილი. ამასობაში კი უნდა მოხერხდეს საკითხის დარეგულირება...

– ამასობაში კეთილსინდისიერი მყიდველი თუ ზარალდება?..

– ის ქალბატონი თავის საცხოვრებელს მიიღებს. გარკვეული შეფერხება იქნება, მაგრამ ეს მაინც მოხდება. მე რამდენადაც ვიცი, ვიბლიანის ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მძიმე დაავადებებსაც აქვს ადგილი, სიღარიბის ზღვარს მიღმა არიან.

– მაშინ ასეთ შემთხვევებში აუქციონის პირობებში უნდა მიეთითოს ყოფილი მეპატრონის სტატუსი და მდგომარეობა იმისთვის, რომ მყიდველი შეცდომაში არ შევიდეს და თავად არ გახდეს დაზარალებული...

– ეს საკითხი ჩვენს უფლება-მოვალეობებს სცილდება. ჩემთვის გაუგებარია, სახელმწიფომ რატომ არ უნდა გაითვალისწინოს ისეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ინტერესები, როგორიც ვიბლიანის ოჯახია.

– მესაკუთრის ინტერესები ვინ უნდა დაიცვას?

– თუ ეს ქალბატონი თვლის, რომ მისი უფლებები შეილახა, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს.

– თქვენი მინისტრის მოადგილის დახმარებით ვიბლიანების ოჯახმა დრო მოიგო. ქმედუუნარობა ხვიჩა ვიბლიანს სასამართლომ დაუდასტურა. ახლა ამის საფუძველზე იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობას ითხოვს. სასამართლომ ის ბათილად რომ ცნოს, საბოლოოდ ყველა კმაყოფილი რჩება, მხოლოდ ქალბატონმა, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე არ ყოფილა, უნდა დაიწყოს სირბილი სასამართლო-სასამართლო...

– როგორც ჩანს, ბატონმა ხვიჩამ იურისტებთან გაიარა კონსულტაცია.

– ამ სქემაში წინასწარგამიზნულად ხომ არ მიენიჭა გარკვეული როლი თქვენს სამინისტროს?

– მე საერთოდ არ მინახავს ბატონი ხვიჩა და ვერაფერს გეტყვით მის ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, მეეჭვება, ვინმეს ჰქონდეს მოლოდინი, რომ აუქციონზე შეძენილი ბინიდან მოხდეს მოქალაქის დაუყოვნებლივი გამოსახლება, მნიშვნელობა არ აქვსმ ეს დევნილია თუ არადევნილი. უამრავი სამართლებრივი საშუალება არსებობს იმისა, რომ ძალაში შესული აღსრულების პროცედურა დროში გაიწელოს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო დევნილობა. შესაბამისად, როდესაც ადამიანები ამგვარ ქმედებაზე მიდიან და აუქციონზე საკუთრებას იძენენ, შინაგანი მოლოდინიც აქვთ იმისა, რომ გამოსახლება გაჭიანურდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე კი გეტყვით, რომ აღსრულება აუცილებლად მოხდება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დევნილს მისცემს თავშესაფარს.

ამბავს კი ორივე მხარისთვის სასიამოვნო ინფორმაციით დავასრულებთ: „პრაიმტაიმმა“ სამინისტროში შეიტყო, რომ სულ მალე ხვიჩა ვიბლიანის ოჯახს თბილისის ზღვის ქალაქში დააკმაყოფილებენ გარემონტებული ბინით. ქალბატონ ქეთევანს კი შესაძლებლობა მიეცემა, თავის საკუთრებაში იცხოვროს.

ეს ფინალი კი ჰგავს ზღაპრის დასასრულს, მაგრამ ეს ისტორია იმ საკანონმდებლო ხარვეზზე მიგვითითებს, რომლის გამოც სახელმწიფოს დიფერენცირებული მიდგომა უხდება ერთნაირად დაცავი საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

„დიდი ალბათობით, წინასწარ კარგად გათვლილ გეგმასთან გვაქვს საქმე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩემი კლინიკა
სამედიცინო კორპორაცია ევექსი

სიახლე!

სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ახალი ამბულატორიული ცენტრი ახლა უკვე შარტავას ქუჩაზე!

7 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე

მიიღეთ შემდეგი მომსახურებები უფასოდ:

- პირადი ექიმის კონსულტაცია;
- ენდოკრინოლოგის კონსულტაცია;
- კარდიოლოგის კონსულტაცია;
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება;
- სისხლის საერთო ანალიზი;
- გლუკოზის განსაზღვრა სისხლში.

წარმოებს წინასწარი ჩაწერა, დაგვიკავშირდით: 2 55 05 05

შარტავას ქ. 14

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიპლომატიურ კორპუსში

იციკ მოშე: „საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის გასაღები ელჩების ხელშია“

მირიან ბოქოლიშვილი

ემოციურ-სოლიდარული გაუგებრობის შედეგად საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშნული თამარ ბერუჩაშვილი, ასეთივე გაუგებარ ვითარებაში თანამდებობიდან გადააყენეს და საგარეო უწყება ეკონომიკის აწ უკვე ყოფილ მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს ჩააბარეს. თავის მხრივ, კვირიკაშვილი მისმა ყოფილმა მოადგილემ და მოგვიანებით თბილისის ვიცე-მერის თანამდებობაზე დანიშნულმა დიმიტრი ქუმსიშვილმა შეცვალა.

გასულ კვირას მედიასა და პოლიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილებოდა, თუ რა გახდა ზემოხსენებული საკადრო ცვლილებების მიზეზი? ამბობენ, რომ პრემიერ-მინისტრი საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მაჩვენებლით უკმაყოფილოა, რის გამოც საგარეო საქმეთა მინისტრს მთავრობის დახურულ სხდომაზე, რამდენჯერმე კოლეგების თანდასწრებით უსაყვედურა - დიპლომატები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ და ტყუილად ვინახავთო. საგარეო უწყებაში ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლის გადაყვანა, ალბათ, სწორედ ინვესტიციების მოზიდვაზეა გათვლილი. ფაქტია, რომ ევროინტეგრაციასა და დეოკუპაციასთან ერთად ქვეყანას სასიცოცხლოდ სჭირდება ინვესტიციები, რომელიც პირდაპირ განაპირობებს ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდასაც და ვალუტის კურსის მდგრადობასაც.

ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, საგარეო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის დანიშვნა ლოგიკურიც არის და მართებულიც, თუმცა ცხადია, მხოლოდ მინისტრი ვერ შეძლებს უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთიობების გაღრმავებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მისია აკისრიათ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

მთავრობის კულუარებში ამბობენ, რომ სამთავრობო ცვლილებების შემდეგ დიდი წმენდა სწორედ დიპკორპუსში დაიწყება. უკვე სახელდება რამდენიმე ელჩის გვარიც, რომელსაც პირველ ეტაპზე შეცვლიან, მათ შორის გახლავთ ირანსა და პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკებში საქართველოს ელჩი იოსებ ჩახვაშვილი და საქართველოს ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური. გავრცელებული ინფორმაციით, დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის შეცვლა იგეგმება ევროპის რამდენიმე ქვეყანაშიც.

ქართული დიპლომატიის სუსტ წერტილებზე საუბრობს საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტი იციკ მოშეც, რომელიც მთავრობას ურჩევს ეკონომიკური კავშირების გასამყარებლად იმუშაონ საკუთარ ელჩებთან და არა - სხვა ქვეყნების ელჩებთან. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის გასაღები ელჩების ხელშია.

„საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების დროულად გადაჭრისა და ეროვნული ვალუტის - ლარის სიმყარის შენარჩუნების მიზნით, საჭიროა ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. ამისთვის კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესსექტორთან აქტიური მუშაობა და მათი დარწმუნება, რომ საქართველოში ამჟამად არსებობს ყველანაირი პირობა წარმატებული ბიზნესის წარმოებისთვის. ამ საქმეში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს განსაკუთრებულ როლს ვანიჭებ, რადგან მიმაჩნია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ ყველაზე წარმატებულად ანარმოონ ეს კამპანია.

ამასთან დაკავშირებით, მივმართავ საქართველოს მთავრობას შემდეგი წინადადებებით: პირველ ეტაპზე, ეკონომიკურ კავშირებზე იმუშაონ საკუთარ ელჩებთან და არა სხვა ქვეყნების ელჩებთან. ელჩებს დაევალოთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში ბიზნეს წრეებთან აქტიური მუშაობა და ყოველთვიურად თითო ინვესტორის მოზიდვა“, - აცხადებს იციკ მოშე.

ელჩების პასიურ საქმიანობაზე მიუთითებს საელჩოების ვებ-გვერდებიც, სადაც წესით ასახული უნდა იყოს ყველა ის სიახლე, რაც კონკრეტულ ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის აქტივობას უკავშირდება. ოფიციალური ვებ-გვერდების უმრავლესობა კარგა ხანია არ განახლებულა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და შესაბამისად, უცნობია, უცხო ქვეყნის ინვესტორებთან, მთავრობებთან, თუ ბიზნეს ჯგუფებთან, რაიმე სახის მოლაპარაკებების შესახებ. მაგალითად, ბოლო ინფორმაცია, რომელიც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ეს არის სამძიმრის წერილი. საქართველოს საელჩო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო. მას შემდეგ საიტზე არანაირი ცნობა საელჩოსა, თუ პირადად ელჩის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ არ მოიპოვება.

ერთ წელზე მეტია არ განახლებულა სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ვებ-გვერდიც. აქ, ბოლო ორი ინფორმაცია 2014 წლის აგვისტოში განთავსდა. ერთ შემთხვევაში ვებ-გვერდი გვატყობინებს, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გზამკვლევი ნარედგინათ, მეორე შემთხვევაში კი ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგებაზეა საუბარი.

ძირითადად ანალოგიური სიტუაციაა თითქმის ყველა საელჩოსთან მიმართებაში. საზოგადოებისთვის და შესაბამისად ჩვენთვისაც უცნობია, თუ რა სახის საქმიანობას ეწევიან ელჩები ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ექსპერტები ამბობენ, რომ დღეს ელჩები პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენლებად იქცნენ, რომელთა ფუნქციაც, ძირითადად, მთავრობის ნარმომადგენლების თვითმფრინავის ტრაპთან დახვედრაა.

სერგი კაპანაძე: „საელჩოები არ არიან ეკონომიკურ დიპლომატიაზე ორიენტირებულნი. რამდენიმე ელჩის გარდა, ამისი არც გამოცდილება, არც ცოდნა და არც მოტივაცია არც ერთს არ გააჩნია“

სოსო ცინცაძე, ექსპერტი:

- ერთი მხრივ, კვირიკაშვილის დანიშვნა საგარეო საქმეთა მინისტრად კარგია, რადგან ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს დღეს ისეთი სერიოზული საკადრო ცვლილებე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიდი წმენდა იწყება



„გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ინიშნებოდნენ ელჩები მაია ფანჯიკიძის მინისტრობის დროს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შემთხვევითი ადამიანი გვყავს უცხოეთში ელჩის თანამდებობაზე“

საქართველოს საელჩო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო. მას შემდეგ საიტზე არანაირი ცნობა საელჩოსა, თუ პირადად ელჩის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ არ მოიპოვება...

ბი სჭირდება, რომ ამ სფეროდან მოსულ ახალ მინისტრს ამის გაკეთება გაუჭირდებოდა. ქართული დიპლომატია უკვე მივიდა იმ ზღვარზე, რომ თერაპიული ჩარევა აღარ უშველის, საჭიროა ქირურგიული ჩარევები. ვგულისხმობ მასობრივ საკადრო ცვლილებებს და არა თითო-ოროლა კაცის გათავისუფლებას. ის, რომ ქართულმა დიპლომატიამ უკანასკნელ წლებში (იქნება ეს ფანჯიკიძის, თუ ბერუჩაშვილის მინისტრობის პერიოდი) ვერ შეძლო საზღვარგარეთ ქვეყნის მეგობრების გამრავლება, რასაკვირველია, ეს სერიოზული ნაკლია.

ამიტომ, მგონია, რომ გარედან მოსული ადამიანი უფრო ეფექტური იქნება საკადრო მიმართულებით. გარდა ამისა, მოდის ადამიანი, რომელსაც პრემიერის მხრიდან აქვს ნდობის მანდატი. საქართველოს ისტორიის ახლო წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი, ამავდროულად იყო ვიცე-პრემიერი. ეს იყო ალექსანდრე ჩიკვაიძე. თუ ეს პრაქტიკა აღდგა კვირიკაშვილის დანიშვნით, რა თქმა უნდა, ეს გაზრდის საგარეო უწყების მნიშვნელობას.

- თქვენი აზრით, საგარეო უწყების ხელმძღვანელად ეკონომიკის მინისტრის დანიშვნა რაზე მეტყველებს?

- როგორც ჩანს, უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ეკონომიკურ დიპლომატიას. საუბარია ქვეყნის ეკონომიკური კავშირების გაზრდაზე, გასაღების ბაზრების გაფართოებაზე და ა.შ. ამ სფეროში კვირიკაშვილს გამოცდილებაც აქვს და ცოდნაც. რაც მთავარია, მას ნდობის უფრო დიდი მანდატი ექნება, ვიდრე ეს ჰქონდა ფანჯიკიძეს, ან ბერუჩაშვილს. კარგი იქნება თუ რამდენიმე მინისტრიც მიყვება ბერუჩაშვილს, მათ შორის განათლების მინისტრი. მე მგონი გენდერული ბალანსი დიდად არ დაირღვევა თუ ქალბატონი სანიკიძეც დატოვებს პოსტს.

- ბატონო სოსო, რამდენად აქტიურები არიან ელჩები ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით?

- ამ კითხვაზე პასუხი პირდაპირ ზედაპირზე დევს - ქვეყანაში არ შემოდის ინვესტიციები, ეკონომიკური ურთიერთობები სულს ღაფავს. ფაქტია, რომ ელჩები არ გვივარგა. ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ მთავარ ფუნქციას. ახლო მომავალში პრემიერი მიდის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შეერთებულ შტატებში. მას ექნება შეხვედრები და მიეცემა საშუალება თვითონ შეაფასოს, რამდენად ეფექტურად მზადდებოდა ეს შეხვერები საქართველოს საელჩოს მიერ.

- არსებობს თუ არა ყველაზე სუსტი რგოლი დიპლომატიურ კორპუსში?

- კონკრეტულად ვერავის გამოვყოფდი. უკანასკნელ პერიოდში, ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, დიპლომატიურ სფეროში გარღვევა არ ყოფილა. გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ინიშნებოდნენ ელჩები მაია ფანჯიკიძის მინისტრობის დროს. მე არ მინდა პერსონიფიცირება, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შემთხვევითი ადამიანი გვყავს უცხოეთში ელჩის თანამდებობაზე. ამაზე, პირველ რიგში, პასუხს აგებს ფანჯიკიძე, და ასევე ბერუჩაშვილი. პრინციპში, ორივემ უკვე აგო კიდეც პასუხი. ახლა იხსნება ახალი პერსპექტივები, განსაკუთრებით ირანთან, რომელიც სანქციებიდან გამოდის. ამ ქვეყანასთან ძალიან აქტიური მუშაობაა საჭირო, ისევე როგორც ჩინეთის მიმართულებით. ვფიქრობ, ქართულ დიპლომატიაში ახალი სისხლია საჭირო. იმედი მაქვს, კვირიკაშვილი არ იქნება გარდამავალი ფიგურა და ექნება საშუალება თავისი გემოვნებით შეარჩიოს და განაახლოს დიპლომატიური კორპუსი.

სოსო ცინცაძე: „ქართული დიპლომატია უკვე მივიდა იმ ზღვარზე, რომ თერაპიული ჩარევა აღარ უშველის“

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, „გრასის“ თანადამფუძნებელ სერგი კაპანაძის განცხადებით კი, მხოლოდ საელჩო ინვესტორს ვერ მოიზიდავს. მისი თქმით, არაფერია ცუდი იმაში, რომ ეკონომიკური დიპლომატია იყოს პრიორიტეტი და პირიქით, 2008-2012 წლებში ასეც იყო: ეკონომიკური დიპლომატია მუდმივად იყო პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკისთვის, უფრო მეტად, ვიდრე 2008 წლამდე.

„პრობლემა, როგორც წესი, ის არის, რომ საელჩო მხოლოდ თავისით ვერ იზიდავს ინვესტორს. ამას ვინც ასე თვლის - მიამიტია. საელჩომ შეიძლება პირველ ეტაპზე დააინტერესოს ინვესტორი, მაგრამ მერე უნდა ჩაერთოს ეკონომიკის სამინისტრო, სხვა შესაბამისი უწყებები და ა.შ. ჩვენი პრობლემა ამ ბოლო წლებში სწორედ ეს სხვა უწყებები უფრო იყო, ვიდრე საელჩოები. თავისი არსით, საელჩოები არ არიან ეკონომიკურ დიპლომატიაზე ორიენტირებულნი.

რამდენიმე ელჩის გარდა, ამის არც გამოცდილება, არც ცოდნა და არც მოტივაცია არცერთს არ გააჩნია. ამ უკანასკნელს შეიძლება უშველოს მინისტრის პრიორიტეტებმა, მაგრამ პირველ ორს ვერ უშველის. ამიტომ, გამოსავალი, როგორც წესი, არის სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნა და ბიზნესი-ბიზნესზე ურთიერთობების წახალისება და ანყობა. ასევე, ქვეყნის შიგნით ხელსაყრელი გარემო. როცა ინვესტორები „რიგში დგანან“ და გართულებულ რეგულაციებს და ბიუროკრატიას უყურებენ, როცა სავიზო რეგულაციები ხელს უშლის ყველას, როცა მიწა არ იყიდება და ა.შ. მიამიტურია დიპლომატებს მიანდო ინვესტიციების მოზიდვა“, - მიიჩნევს სერგი კაპანაძე.

მისივე თქმით, დიპლომატიაში ახალი პრიორიტეტის გამოჩენის შემდეგ, აუცილებელია მივიწყებას არ მიეცეს დღემდე არსებული და არანაკლებ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრიორიტეტი. საუბარია ქვეყნის დეოკუპაციასა და ევროინტეგრაციის პროცესზე.

„როცა ახალი პრიორიტეტი ჩნდება საგარეო უწყებაში, ასევე ჩნდება საფრთხე, რომ რამდენიმე არსებული, მაგრამ „გაცვეთილი“ პრიორიტეტი იქნას მივიწყებული.

კვირიკაშვილის დილემა ის იქნება, რომ არ მოადუნოს ყურადღება არაღიარების, დეოკუპაციის, ევროინტეგრაციის, ნატოს და ა.შ. მიმართულებით. ამის ცდუნება იქნება. თუ ეს მოხდა, მაშინ უნდა სერიოზულად „ავყვირდეთ“! ევრაზიული კავშირი, მე მგონია, რომ ამ კაცს არ უგულისხმია (მედიასთან გაკეთებულ განცხადებაში). მე გავიგე, როგორც ევრაზიაში მიმდინარე პროცესები და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩინეთი, აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ირანში და ასე შემდეგ, მიმდინარე პროცესები იგულისხმა. შთაბეჭდილება სწორედ ასეთი დამრჩა. თუ საგარეო უწყება იქნება ირანთან ვიზების გაუქმების ინიციატორი, მხოლოდ მივესალმები! ევრაზიაზე აქცენტი, ჩემი აზრით, გამოუცდელობა უფრო იყო, ვიდრე ევრაზიული კავშირზე აქცენტი. თან ნატოს და ევროკავშირის მერე თქვა. ამ მიმართულებით თუ რამე ცუდად ქნეს, მერწმუნეთ, ერთ-ერთი პირველი დავიწყებ ყვირილს. კადრები ნყვეტენ ყველაფერს, მათ შორის, საგარეოში. მე მგონი, ეს უნდა გაითვალისწინოს. ბოლო წლებში საგარეო ძალიან დასუსტებულია კადრების მუდმივი გადინების გამო, მათ შორის, და განსაკუთრებით პოლიტიკური მოტივით“, - ამბობს სერგი კაპანაძე.

მოკლედ, წინ გაეროს მაღალი დონის დებატებია, ასევე ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ეუთოს და ნატოს მინისტერიალები. კვირიკაშვილის პირველი ტესტი საერთაშორისო დიპლომატიაშიც სწორედ ეს ღონისძიებები იქნება. როგორც სერგი კაპანაძე ამბობს, კარგ საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა ჰქონდეს სამი თვისება: მენეჯერული ალღო, მოლაპარაკებების უნარი და ქარიზმა.

„აქედან რომელი აქვს და რომელი არა, სულ მალე გამოჩნდება“, - მიიჩნევს კაპანაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

გურანდა გაბუნ

ნინო მჭედლიშვილი

თეატრის კულისებში გაიზარდა. სცენაზეც მალე დადგა. ჯერ ცეკვა დაიწყო, მალევე მშობლების კვალს გაჰყვა და ცხოვრებაც დიდ მსახიობს დაუკავშირა. გურანდა გაბუნიასა და ოთარ მელვინეთუხუცესის სიყვარულზე ქალაქში ლეგენდები დადიოდა. ოთარის მძიმე ხასიათზეც ბევრს საუბრობდნენ. ახლა, როცა ოთარი აღარ არის, ქალბატონი გურანდა თავისი ცხოვრების ყველაზე ძვირფას თანამგზავრს ცრემლების გარეშე ვერ იხსენებს.

დღეს ჩემს რესპონდენტს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრე.



„ვუთხარი, ძვირფასო, ჩვენ ხომ შენ გამო ვერ გავიყრეებით, ხომ გესმის, რომ ოთარი შენ ცოლად ვერ შეგირთავს, ჭკვიანი ქალი ხარ, აბა დაფიქრდი-მეთქი“

ჭორიკანა ბავშვები

- სოხუმში გავიზარდე. ჩემი მშობლები სოხუმის თეატრში მუშაობდნენ. მამა, გიორგი გაბუნია, სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი გახლდათ, დედა - წამყვანი მსახიობი. ფაქტობრივად თეატრში ვიზრდებოდი. ხან როიალზე მეძინა, ხან როიალის ქვეშ და ხან კულისებში. მარტო ვერ მტოვებდნენ, რამდენჯერმე დამტოვეს და კინაღამ გადავდექი ჭკუიდან. იმ დროიდან მეზიზღება მარტოობა.

- ცელქი იყავით?

- საშინლად. ფაქტობრივად, ბიჭი ვიყავი. ჩემი ბანდა მყავდა. გორგაძეები ცხოვრობდნენ ჩემს მეზობლად. მათი მამა ორკესტრის დირიჟორი და მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი იყო. ექვსი შვილი ჰყავდა. მე მარტო ვიზრდებოდი. მე და ჩემი ბანდა ერთად ვთამაშობდით ეზოში.

- რას აფუჭებდით?

- არც არაფერს, მაგრამ ვიცოდით ვინ ვისი საყვარელი იყო. სიტყვა საყვარლის მნიშვნელობა არც ვიცოდით მაშინ. ერთ მსახიობ ქალს განსაკუთრებით გადავეკიდეთ. ვიცოდით ვისი საყვარელიც იყო. ერთ-ერთ სპექტაკლში პარტნიორს ეუბნებოდა ფრაზას, - უტუ, დაიგვიანე და ჩვენ დარბაზიდან შვიდივე ერთად ენის მოჩლექით ვიმეორებდით, უტუ, დაიგვიანე. ამის გამო ბევრჯერ დავისაჯეთ, ხან გვცემეს, დაგვაბეს, მაგრამ ჩვენსას მაინც არ ვიშლიდით.

„შპარგალკის“ გამო ნაცემი კლასელი და ოცდაოთდღიანი სასჯელი

- ერთი გენიოსი კლასელი მყავდა. მამამისი სინოპში მუშაობდა ქალაქგარეთ. ვიცოდით, რომ ამ დაწესებულებაში მინისქვეშა სამუშაოები სრულდებოდა და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან იყო კავშირში. ნაგლი იყო ეს ჩემი კლასელი. ყველაფერი იცოდა და არავის გვეხმარებოდა. დაწერდა და დახურავდა რვეულს. ერთხელ ვუთხარი, გაფრთხილებ, თუ „შპარგალკას“ არ მომცემ, ძალიან ცუდი რამ დაგემართება-მეთქი. გაეცინა, შენ თავს მიხდეო, მითხრა. არ გადმომიგდო „შპარგალკა“. ზამთარი იყო, სამი პალტო დავაფარეთ და მაგრად ვცემეთ. როგორც გინდათ ურტყით-მეთქი, ვუთხარი ბიჭებს. გდია ეს ბიჭი იატაკზე ნაცემი. ჩემს ბანდას ვუთხარი, მაინც ქიმიის კაბინეტია, მოუშვით ონკანი, გავავსოთ კლასი წყლით-მეთქი. მოუშვეს. ჩავრეცხეთ ქვედა სართული. ჩვენ ვზივართ სკამებზე და მუხლებამდე წყალში ფეხებს ვაჭყაპუნებთ. აი, ასეთი საშინელი ბავშვი ვიყავი. სკოლიდან ვერ გაგვაგდეს, დამამთავრებელ კლასში ვიყავით, 24 დღით გაგვათავისუფლეს. ეს ჩვენთვის ბაირამობა იყო, 24 დღე კინოში ვისხედით.

- რა გითხრეს მშობლებმა?

- მამაჩემმა მითხრა მაშინ, როგორ არ მითხარი, სხვისგან რატომ უნდა გამეგო ეს ამბავიო...

დედინაცვალთან გადატეგული ერთი წელი

- დამამთავრებელ კლასში ვიყავი, ჩემი მშობლები რომ ერთმანეთს დაშორდნენ. დედამ თეარტი მიატოვა და თბილისში წამოვიდა, მთხოვდა მასთან ერთად წამოვსულიყავი, მაგრამ მამას შევპირდი მენთან დავრჩები-მეთქი. მთხოვა, ეს ერთი წელი ჩემთან იყავი, სკოლა აქ დაამთავრეო. კი ვერ მივხვდი, რომ ცუდად იყო. ვიგრძენი, ალბათ, და დავთანხმდი. დედას არ ესიამოვნა, ეწყინა კიდეც, მაგრამ კიდევ კარგი, რომ დავრჩი, წამოვედი და მალევე გარდაიცვალა, 47 წლის ასაკში.

- თქვენი მშობლების დაშორება, ალბათ, ტრავმა იყო თქვენთვის...

- რა თქმა უნდა, თან მიზეზიც არ იყო მარტივად გასაგები. მესამე გაჩნდა მათ ცხოვრებაში. ეს იყო პატარა ტანის მრგვალი ქალი. რომ გენახათ, გული გაგიჩერდებოდათ. თან მათთან ვცხოვრობდი, პატარა ბავშვი ჰყავდათ, რომელსაც ყოველ დილით, სკოლაში წასვლამდე, ვასეირნებდი.

- არ გქონდათ პროტესტი?

- არა, მამა მიყვარდა ძალიან. ვგავდი კიდეც. ძალიან კარგი კაცი იყო, ნიჭიერი. ლენინს თამაშობდა სპექტაკლში, სტალინს - მიშა გელოვანი. მამასთან მეგობრობდა და ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან, ფოთშიც, სოხუმშიც, ზუგდიდშიც, სადაც დგამდა სპექტაკლს.



„ისეთი შვილი გავაჩინე, რომელსაც არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. ის იყო ოთარის შვილი, თავიდან ბოლომდე მამას ჰგავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ოთარისთან ერთად უნდოდა სეირნობა ქალაქში და საერთოდ, ოთარი უნდოდა“

EXCLUSIVE

როგორ აჩვენა მამას რჩეული მამაკაცი

- მსახიობ მშობლებს, ხშირ შემთხვევაში, არ უნდათ ხოლმე მათი შვილები მათ გზას გაყვნენ. თქვენ შემთხვევაში როგორ იყო?

- მამა არ იყო წინააღმდეგი, არც დედა. სპონტანურად მოხდა ჩემი მსახიობობა, არც მიფიქრია. მთელი ბავშვობა ვცეკვავდი, საბალეტო სტუდიაშიც ვსწავლობდი. ჩემი ცეკვის კაბა ვიპოვე ამას წინათ გარდერობში. მე რომ აღარ ვიქნები და ამ სახლში მუზეუმს გააკეთებენ, ამ კაბასაც დაკიდებენ კედელზე. ოთარის მხოლოდ ერთი ყაბალახი დარჩა. თუთაშხიასი აღარაფერი დარჩა, ეს ყაბალახიც „მთვარის მოტაცებიდან“ არის... მოკლედ, დავამთავრე სკოლა... ფიზიკის მასწავლებელმა მითხრა, ძალიან მიყვარხარ და არ მინდა სამიანი გყავდეს ჩემს საგანში, გამოცდაზე ბილეთს დაგინიშნავ, ისწავლე და გამოასწორეო. თქვენ თუ გინდათ, გამოვასწორებ, თორემ მე სამიანზეც თანახმა ვარ-მეთქი, ვუთხარი. ისე კარგად ვისწავლე ის ბილეთი, დღემდე მახსოვს... ფოთში მამაჩემს „ოტელოს“ დადგმა უნდოდა, რამდენჯერმე სოხუმის თეატრში დადგმული ჰქონდა ეს სპექტაკლი. დედაჩემი ემილიას თამაშობდა. მერე როცა თემურ ჩხეიძემ დადგა ეს სპექტაკლი და ოთარი ოტელო იყო, მე დედაჩემის როლს, ემილიას ვთამაშობდი. მერვე კლასში ვიყავი ამ სპექტაკლის გმირების ესკიზები რომ ვნახე. ოტელო მაღალი იყო, მხარბეჭიანი, შავი პირი-სახით. დეზდემონა პატარა ტანის გოგო იყო. იქვე ეწერა, პატარა გოგოსავით უნდა იყოსო. მამას რომ ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა, პატარა ასაკის უნდა იყოსო. მამას უნდოდა დეზდემონა მე მეთამაშა, მერე მითხრა, როცა სკოლას ვამთავრებდი. მაგრამ მერე აღარ დაუდგამს ეს სპექტაკლი, რატომღაც გადაიფიქრა. ძალიან ადვილია აქედან დასკვნის გამოტანა. არანაირი წინააღმდეგობა მამას ჩემს მსახიობობაზე არ ჰქონია. სკოლა დავამთავრე, წავედი თბილისში დედასთან. იქიდან დავურეკე და ვუთხარი, მსახიობობას ვაპირებ-მეთქი. მომიწონა არჩევანი. ჩამოვიდა კიდეც ჩემთან თბილისში. ოთარის სპექტაკლზე წავიყვანე და ვანახე, ისე, ძორიდან. ახლოს გაცნობა არ მოინდომა, თვითონ შეხედე და თავად გადაწყვიტე, მთავარია ერთმანეთი გიყვარდეთო, მითხრა.

ოთარის თაყვანისმცემელი ქალები

- არსებობს რეცეპტი იმისთვის, რომ სიყვარული არ გახუნდეს, არ განელდეს?

- ალბათ, ამისთვის ძალიან კარგად უნდა ესმოდეთ ერთმანეთის. მით უფრო მაშინ, როცა ერთი პროფესიის არიან. საქმის სიყვარული ოთარმა მასწავლა. ის რომ არა, ასეთი არტისტი ვერ ვიქნებოდი. მას სხვა თვისებები ჰქონდა. ადამიანი ასეთი იბადება, შეუძლებელია ეს შეიძინო. ეს გენი იყო, ოთარს ასეთი გენები ჰქონდა...

- და მძიმე ხასიათი...

- რაც ამ ბინაში გადმოვედით მე და ოთარი (30 წელია), თითქოს სხვა ცხოვრება დავიწყეთ. სულ დაკავებულები ვიყავით, გასტროლები გვქონდა, არაერთი წარმატება ვიზეიმეთ ერთად. ეს ყვალაფერი გვაძლევდა დიდ სტიმულს იმისთვის, რომ ურთიერთობაც დაგველაგებინა.

- ყოფილა სიტუაცია, როცა გიფიქრიათ, რომ აქ დამთავრდა, ვეღარ ვიცხოვრებ მასთან?

- არასდროს. უბრალოდ, ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა, რომ რაღაც შემეცვალა ამ მხრივ.

- რა გააკეთეთ?

- არც ვიცი. ვხუმრობდი, იუმორში გადამქონდა... ერთხელ სამზარეულოში ვტრიალებდი, სადილი მივართვი, რაღაც ვუთხარი ცოტა ხმამაღლა, კარგი რა, ოთარ. გამიბრაზდა, როგორ მელაპარაკები, ხომ არაფერი გეშლებაო. გამოვედი ოთახიდან. მეორე დღეს დიდი პოდნოსი ავიღე, დავაწყვე ზედ სასმელ-საჭმელი და მივუტანე, თქვენო უდიდებულესობავ, დიდო მეფეო, მიირთვით-მეთქი, ვუთხარი. შემომხედა და სიცილი აუტყდა. აი, ასე ვანეიტრალებდი მის მძიმე ხასიათს.

- თავად ფიქრობდა იმაზე, რა მოგწონდათ, რა გსიამოვნებდათ?

- თუ რამე მომეწონებოდა, ეს მისთვის დიდი სიხარული იყო. მაშინვე მიყიდიდა.

- ცნობილია, რომ ეჭვიანი იყო ბატონი ოთარი, თქვენ თუ ეჭვიანობდით მის თაყვანისმცემლებზე?

- არა. ახლოს არავინ მოსულა. ერთი გიჟი ჩამოვიდა მოსკოვიდან, ნამდვილი გიჟი, საწყალი ქალი, ავადმყოფი, უშნო, უშნო, მსუქანი. ოთარი ამბობდა, არ მინდა, კაცო, დანახვაც არ შემიძლია, ვერ ვუყურებ, წავიდეს, რატომ მოდის ჩემს სახლში, აქ რა უნდაო.

- სახლში მოვიდა?

- ჰო, დედა მოჰყვა საწყალი, ბოდიშებს იხდიდა თავის შვილის გამო. მეხვეწებოდა გვაპატიეთო.

- რას ამბობდა, რა უნდოდა?

- ოთართან ერთად უნდოდა სეირნობა ქალაქში და საერთოდ, ოთარი უნდოდა.

- რა უთხარით თქვენ?

- ვუთხარი, ძვირფასო, ჩვენ ხომ შენ გამო ვერ გავიყრებით, ხომ გესმის, რომ ოთარი შენ ცოლად ვერ შეგირთავს, ჭკვიანი ქალი ხარ, აბა დაფიქრდი-მეთქი... ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ახლა გიამბობთ. ერთი რუსი კონომსახიობი იყო, ოთარი მოსწონდა. ბიჭვინთაში ვისვენებდით ერთად. ძალიან ლამაზი ქალი იყო. ერთხელ მითხრა, გურანდა, ნუთუ სულ არ მოვწონვარ ოთარსო. ძალიან მოსწონხარ, მაგრამ რა ქნას, ხომ არ მომკლავს, ცოლი ჰყავს უკვე. რა ქნას, ერთგულია-მეთქი, ვუთხარი. ძალიან ვწუხვარ, თქვენ გამო, მაგრამ ვერაფერს ვცვლიმეთქი, ვუთხარი. ძალიან სასაცილო იყო, დათვრა მერე ის ქალი, მომაკვდავი გედის ცეკვა უნდა ვიცეკვოო, თქვა. იცეკვა, წაიქცა, ათრიეს კაცებმა. არ ვიცი მერე იქ რა მოხდა.

> **„ძალიან ლამაზი ქალი იყო. ერთხელ მითხრა, გურანდა, ნუთუ სულ არ მოვწონვარ ოთარსო“**

„არ შემიშვეს ექიმებმა. მინდოდა მეთქვა, რომ...“

- თავად რა გამოცდილება გაუზიარეთ შვილს, რა იყო მთავარი პრონციპი აღზრდის მეთოდებში?

- მე ისეთი შვილი გავაჩინე, რომელსაც არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. ის იყო ოთარის შვილი, თავიდან ბოლომდე მამას ჰგავს. ისე ესმოდათ ერთმანეთის, ასეთი რამ არ მინახავს. ბედნიერი იყო ოთარი, რომ ასე ჰგავდა მას შვილი. თავადაც ამბობს ჩემი შვილი, რომ მასზე კარგი მამა არავის ჰყავდა, რომ არაფერი აკლდა.

- დასასრულ შეცდომებზეც უნდა გკითხოთ. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი წილი შეცდომები დაშვებული... ერთი და მთავარი, რომელიც ყველაზე ხშირად გახსენდებად, ნანობთ...

- ცუდად რომ გახდა, ბოლოს, არ შემიშვეს ექიმებმა. მინდოდა მეთქვა მისთვის, რომ ყველაზე მეტად ის მიყვარდა, დედაზე, მამაზე, ყველაზე მეტად. იმიტომ რომ, ჩვენ ერთნი ვიყავით, როგორც პატრიარქმა მითხრა. ერთხელ ვიყავით მასთან, ხშირად დავდიოდით პატრიარქთან. ციოდა. მობუზული ვიჯექი. ოთახიდან თეთრი ჟაკეტი გამოიტანა და მომახურა. გადავირიე სიხარულით. სხვა საჩუქრებიც მაქვს მისგან და ესეც ძალიან გამიხარდა. ცოტა ხანში, მომიბრუნდა და მითხრა, აბა გაიხადე და ოთარს ჩააცვიო. ოთარს კარგად ჰქონდა. ამას კარგად აქვს, შენ დიდი გქონდაო, მითხრა. როგორ, მაჩუქეთ და ახლა მართმევთ-მეთქი, მეწყინა. გურანდა, თქვენ ხომ ერთნი ხართო, მითხრა. მაშინვე გავჩუმდი. ყოველთვის იცის რა თქვას პატრიარქმა. მას რომ ვუგდებდეთ ყურს...

- გული მწყდება, რომ არ ვუთხარი ყველაზე მეტად რომ მიყვარდაო. მანამდე არ გითქვამთ?

- არასდროს. არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ერთად არ ვიქნებოდით, რომ ან ის წავიდოდა ამ ქვეყნიდან და ან მე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ მოიგებს

„ინაშვილმა გაყიდა ოპოზიცია. ყველამ ბოიკოტი გამოუცხადა ამ არჩევნებს, რაღა ეგ ყოფს აქ ცხვირს“

მირიან ბოქოლიშვილი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები 31 ოქტომბერს დანიშნა. პარლამენტის შუალედური არჩევნები მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საგარეჯოს და მარტვილის ოლქებში ჩატარდება. როგორც წესი, შუალედური არჩევნების დროს ამომრჩეველთა აქტივობა ისედაც დაბალია ხოლმე, თუმცა 31 ოქტომბრის არჩევნები შესაძლოა ამ მხრივ რეკორდულად დაბალიც კი აღმოჩნდეს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს „პრაიმტაიმის“ მიერ საგარეჯოს რაიონში ჩატარებული ერთგვარი გამოკითხვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯო ერთ-ერთი ის რაიონია, სადაც ადგილობრივები მომავალს საკმაოდ ნიჰილისტურად უყურებენ. პოლიტიკოსებით მრავალგზის იმედგაცრუებული მოსახლეობა არჩევნებზე წასვლას საერთოდ არ აპირებს, უფრო მეტიც, მათმა უმრავლესობამ არც კი იცის, ან უბრალოდ, არ აინტერესებთ, თუ ვინ იყრის კენჭს საგარეჯოში.

სანამ საზოგადოების განწყობებს გადმოგცემთ, მკითხველს გავაცნობ, რომ მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი საგარეჯოში თამარ ხიდაშელი იქნება, მისი ერთადერთი კონკურენტი კი „პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი გახლავთ. ერთადერთი იმიტომ, რომ დანარჩენმა ოპოზიციურმა სპექტრმა 31 ოქტომბრის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მათ შორისაა „ნაციონალური მოძრაობაც“. ასე რომ, საგარეჯოელებს ახლა არჩევანის გაკეთება ორ ქალბატონს შორის მოუწევთ - სახელისუფლებო გუნდის სახელით „რესპუბლიკელი“ თამარ ხიდაშელი იბრძოლებს, „პატრიოტთა ალიანსიდან“ კი ირმა ინაშვილი.

სწორედ ამიტომ ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არჩევნები გარკვეულწილად იქნება ტესტი პროდასავლურ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის. თუმცა მძიმე სოციალური ფონი ამომრჩევლებს პოლიტიკურ ორიენტირებზე დაფიქრების შესაძლებლობას ართმევს. მათ მიერ მოყვანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, მაგალითად, ყურძენზე ფასები მცირდება, იმპორტირებულ პროდუქტებზე კი, მათ შორის შხამ-ქიმიკატებზე, პირიქით, იზრდება.

ამიტომაც მოსახლეობის უმრავლესობა იმედგაცრუებულია, როგორც მოქმედი ხელისუფლებით, ისე მთლიანად პოლიტიკური სპექტრით... თითქმის ყველა სოფელში გაიგონებთ ფრაზებს - „მაგათ მხოლოდ საკუთარი თავი ანაღვლებთ“, „გლეხობისთვის არავინ არაა“, „ქირსაც წაუღია პოზიციაც და ოპოზიციაც“ და ა.შ.

„პრაიმტაიმი“ საგარეჯოს თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობას ესაუბრა და ზოგადი სურათი ყველგან ერთია. როგორც ირკვევა, სახელისუფლებო კანდიდატისგან განსხვავებით, ირმა ინაშვილმა საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო და, შესაბამისად, ადგილობრივებში მისი ცნობადობის მაჩვენებელიც გაცილებით მაღალია.

„ერთი ვიცი, რომ ის გოგო, ირმა რომ ჰქვია, ეგ იყრის კენჭს. მეტი ვინ არიან, არ ვიცი. თამარ ხიდაშელი ვინ არის, საერთოდ არც ვიცი. ირმა კი იყო ჩვენს სოფელში მოსული, შეხვდა ხალხს და რა ვიცი, ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა. ვნახოთ, მე მგონი მაგას მივცემ ხმას, თუ საერთოდ წავალ არჩევნებზე“, - გვითხრა სოფელ პატარძეულის მცხოვრებმა, 62 წლის ნინო ბროლაშვილმა.

სავარაუდოდ, ირმა ინაშვილის ამომრჩეველია ბროლაშვილის მეზობელი, 47 წლის ქალბატონიც, რომელიც გვეუბნება, რომ მრავალი დაპირებიდან მხოლოდ პატარძეულის საჯარო სკოლის გარემონტება მოხერხდა, დანარჩენი დაპირებები კი „თინა ხიდაშელის დეპუტატობასთან ერთად, წარსულს ჩაბარდა“.

„სიმართლე გითხრათ, მე ამ ხელისუფლებით არც უკმაყოფილო ვარ და არც კმაყოფილი. არ მივსულვარ მათთან, რომ რამე მეთხოვა. არ დამჭირვებია და ღმერთმა არც დამაჭირვოს, მაგრამ ხომ ვიცი რეებს ჰპირდებოდნენ სოფელს და იმასაც ვხედავ რა გაკეთდა. სკოლის გარდა არც არაფერი გაკეთებულა“.

„გზას გადავკეტავთ და არ ჩავაბარებთ. პირდაპირ ასე დაწერეთ“

რაიონში ირმა ინაშვილს ნამდვილად მოუგროვებია მხარდამჭერები, თუმცა მისით უკმაყოფილოთა რიცხვიც არანაკლებია. საგარეჯოს ცენტრში ჩვენ რამდენიმე მოხუცს გავესაუბრეთ, რომლებიც ე.წ. ბირჟაზე თითქმის ყოველდღიურად არჩევენ პოლიტიკურ ამბებს. მათი უმრავლესობა არჩევნებზე წასვლას არ გეგმავს, რადგან პოლიტიკოსების იმედი უკვე გადაეწურათ, ნაწილი კი მაინც თვლის, რომ „ამ ორი კანდიდატიდან ისევ „ოცნებას“ უნდა მისცენ შანსი“.

„ინაშვილმა გაყიდა ოპოზიცია. ყველამ ბოიკოტი გამოუცხადა ამ არჩევნებს, რაღა ეგ ყოფს აქ ცხვირს. რად მინდა ინაშვილი, ყველა პარტია იძახის კანონი შეცვალეთო და ეგ ამბობს - არა, მე ამ კანონით უნდა გავიმარჯვო. არც „ოცნება“ მინდა და არც ეგ ქალი. ის თინა ხიდაშელი რომ იყო, დეპუტატი, ხომ აგვაშენა. აქ მოდიოდა, გამგებელთან იქეიფებდა და წავიდოდა, არჩევნების შემდეგ აქ არავინ გვინახავს. 150 ლარი პენსია მაქვს და იმასაც მაყვედრის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საგარეჯოს?

პოლიტიკოსებით იმედგაცრუებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე წასვლას საერთოდ არ აპირებს

„რესპუბლიკელები“ VS ირმა ინაშვილი

ხადურს მოაკლდა ეტყობა ციკნის ფული“, - გვითხრა 75 წლის ავთო ივანიაშვილმა.

აქ, საუბარში კიდევ ერთი მოხუცი გვერთვება, რომელიც დარწმუნებულია, რომ ისევ „ოცნების“ კანდიდატს უნდა დაუჭირონ მხარი. ამას კი საკმაოდ პრაგმატულ ახსნას უძებნის.

„მე თუ მკითხავ, არც ერთი არაფრის გამკეთებელი არ არის, მაგრამ, ალბათ, ისევ „ოცნების“ კანდიდატს უნდა მივცეთ ხმა. აბა, ინაშვილი თუ შევა პარლამენტში რას გააკეთებს, ერთით მეტი მოღლიცინე ეყოლება პარლამენტს. მთავრობის კანდიდატს თუ ავირჩევთ, პასუხს მაინც მოვთხოვთ, სხვა თუ არაფერი. ინაშვილს რა უნდა მოვთხოვოთ, გეტყვის, ნადი ხელისუფლებას ჰკითხეო. მასეთი ოპოზიციონერები ბლომად ჰყავთ პარლამენტში და კიდევ ერთი მოლაპარაკე კი არა, საქმის გამკეთებელი გვჭირდება, საქმის“, - ამბობს 71 წლის თენგიზი პაპა.

„ვინ ავირჩიოთ? აფერისტები? ვინც ავირჩიეთ ყველამ თითო პალო გვკრა. ამიტომ არ მივდივარ არჩევნებზე. თავში ქვა უხლია ყველა პარტიას. რა დასაქმებაზეა ლაპარაკი. აგერ ახალგაზრდები სხედან, სეკას და დომინოს თამაშობენ“, - ამბობს საგარეჯოელი პენსიონერი, 69 წლის კაკო უსტიაშვილი.

ამომრჩეველთა ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური პრობლემების მოგვარება რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობებზეა დამოკიდებული. ძალლს, რომ გააბრაზებ გამოგიდგებაო - ასეთ შედარებას აკეთებს საგარეჯოელი გივი ლაფერიშვილი და

„აქ ხიდაშელები არ ახსენო, თორემ შეიძლება გცემონ“

გვიმტკიცებს, რომ რუსეთს ტკბილი ენით უნდა ვესაუბროთ.

„არც კი ვიცი ვინ იყრის კენჭს. ცოტა ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს, რომ გლეხობას მოგვხედოს. რომ გაიძახიან ევროპაო, რა ევროპა გვინდა, ხალხს საარსებო არა გვაქვს. ძალიან კარგად ვიყავით რუსეთთან. ყველაფერი ძვირდება, ყურძნის გარდა. ყურძენზე 70 კაპიკს გვაძლევენ. ასე როგორ შეიძლება“, - ამბობს გივი ლაფერიშვილი.

ჩვენ საგარეჯოს ცენტრში, სასურსათო მაღაზიასაც ვესტუმრეთ. მაღაზიის მეპატრონე ნისიების რვეულს გვაჩვენებს და ამბობს, რომ ხალხს იმდენად უჭირს, რომ ელემენტარული საკვები პროდუქტიც კი ნისიად მიაქვსო.

„აგერ უკვე მთავრდება ეს რვეული, იმდენი ნისიაა. ძალიან უჭირს ხალხს, ელემენტარულ ხუთ თეთრსაც კი მნიშვნელობა აქვს აქ. დისტრიბუცია ყოველდღიურად გაძვირებულ ფასში გვაწვდის პროდუქტს, ფასები იმატებს და რა უნდა ქნას ხალხმა, არ ვიცი. არჩევნებზეც, ალბათ, წავალ, მაგრამ ვის მივცემ ხმას ჯერ არ ვიცი. ხელისუფლების კანდიდატი არც ვიცი ვინ არის. ვიცი, რომ ქალბატონი ირმა იყრის კენჭს, მეორე ვინ იქნება, არ ვიცი“, - გვიყვება მაღაზიის მეპატრონე, რომელიც ცენტრალურ ქუჩაზე უკვე ოთხი თვეა ელის გარე განათების დაყენებას, თუმცა უმედეგოდ.

მოკლედ, მმართველი გუნდის კანდიდატის, თამარ ხიდაშელისგან განსხვავებით საგარეჯოს ამმრჩეველი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია ირმა ინაშვილის შესახებ. ცნობადობის გარდა, ინაშვილის სასარგებლოდ თამაშობს დროც, რადგან წინ ყურძნის მოსავლის აღება და მასთან დაკავშირებული ტრადიციული პრობლემებია. ადგილობრივები, როგორც ყოველთვის, ქარხნების მიერ შემოთავაზებული ფასით უკმაყოფილონი არიან. მაგალითად, სოფელ მანავში, რომელიც სახელგანთქმული „მანავის მწვანეს“ სამშობლოა, გვითხრეს, რომ წელს ღვინის ქარხნებმა რეკორდულად დაბალი ფასი - 1კილოგრამ ყურძენზე 70 თეთრი შესთავაზეს, რაც გასულ წელთან შედარებით ორჯერ ნაკლებია.

„აქ ხიდაშელები არ ახსენო, თორემ შეიძლება გცემონ. აი, შვილო, შეხედე ჩემს მუხლს, რაც მაგას საარჩევნოდ ვდიე, ხან თელავში და ხანაც რომელ ქალაქში, მაგის მერე მუხლი აღარ მივარგა. ჩვენი სალიარკით დავდიოდით ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, მაგათ აქციებზე. ვფიქრობდი, ესენი მოვლენ და აგვაშენებენ-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად. არაფერი არ გაუკეთებიათ, პირიქით. სოფელში ელემენტარულად წყალი არ გვაქვს. ახლაც ორი საათი წყლის რიგში ვიდექი. 70 კაპიკში რომ ჩაიბარონ, გზას გადავკეტავთ და არ ჩავაბარებთ. პირდაპირ ასე დაწერეთ. ისიც თუ ვერ ამოვიღეთ, რაც დავხარჯეთ, ნამდვილად არ ჩავაბარებთ და გზას გადავკეტავთ. ლარნახევრად ვაბარებდით და ახლა თურმე 70 თეთრზე მეტი აღარ ღირს, როცა უფრო ძვირი გვიჯდება მოყვანა. შხამ-ქიმიკატებს დოლარებში გვასყიდებენ. შარშანდელი ჩაბარებული ყურძნის ფული ხალხს ისევ ასაღები აქვს. დღეში ერთ ლარსაც ვერ ვმოულობთ, რომ პური ვიყიდოთ. პოლიტიკოსები რას გვარგებენ, ბანკებში ინახავენ ფულებს. ხალხს 1000 და 2 000 ლარები აქვს მაღაზიის ვალი, ელემენტარულად საჭმელი რომ იყიდონ. ყურძნის მოსავალს ელოდება ყველა, რომ ვალები დაფარონ“, - გვეუბნება სოფელ მანავის მკვიდრი, ნათელა ავაფიშვილი.

სოფლის მეურნეობაში საშემოდგომო ციებ-ცხელებას დაემატა კომუნალური გადასახადების მოსალოდნელი გაზრდაც. ცხადია, ეს ყველაფერი მძიმედ აისახება ადგილობრივების სოციალურ მდგომარეობაზე და ამასთან, პირდაპირ ურტყამს მმართველი გუნდის კანდიდატის რეიტინგს. შესაბამისად, წინასწარ იმის თქმა, მოახერხებს თუ არა „ქართული ოცნება“ საგარეჯოში არჩევნების ხელახლა მოგებას, ძალიან რთულია. მით უმეტეს, რომ წინა მაჟორიტარი დეპუტატის და მოქმედი თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის მიმართ კეთილგანწყობა არც თუ ისე მაღალია. ამიტომ მის მოგვარეს და თანაპარტიელ თამარ ხიდაშელს დარჩენილ დროში დიდი შრომა დასჭირდება, რომ საგარეჯოელების გული „რესპუბლიკელებმა“ კიდევ ერთხელ მოიგონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვე რჩება. არჩევნები 3 ოქტომბერს ჩატარდება, კანდიდატად წარდგენის ვადა კი 7 სექტემბერს იწურება. ამ დრომდე, ოფიციალურად, რეგისტრირებული მხოლოდ სამი კანდიდატია - უეფას მედია ოფიცერი მამუკა კვარაცხელია; სფფ-ს გენერალური მდივანი, რევაზ არველაძე და ლევან კობიაშვილია.

ძველი და სკანდალური კანდიდატები

ვინ წარადგენს სფფ-ს ყოფილ პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტის პოსტზე და იყრის თუ არა კენჭს ის საერთოდ. - „პრაიმტაიმი“ დეტალებით.

მამუკა კვარაცხელია

მამუკა კვარაცხელია პირველია, რომელმაც ოფიციალურად დაარეგისტრირა პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა. კვარაცხელია, კანდიდატად, საფეხბურთო კლუბმა „გაგრამ“ წარადგინა და საკუთარი მოტივიც განმარტა.

„გაგრას“ წარმომადგენლის, მიხეილ აფხაზავს განმარტებით, კვარაცხელია ღირსეული კანდიდატია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელიც.

მიხეილ აფხაზავა:

„ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კვარაცხელია ღირსეული კანდიდატია. ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ, უეფაშიც დიდი ნდობა აქვს, ახლა კი ევროპის სუპერმატჩის შეხვედრას თავისი კუთხით ჩინებულად გაართვა თავი. ამის გამო მიგვაჩნია, რომ კვარაცხელია არჩევნებში მონაწილეობას იმსახურებს. ვიცით, რა პრიორიტეტები აქვს, რაზე აკეთებს აქცენტს და ეს ყველაფერი ჩვენთვის მისაღებია“.

მამუკა კვარაცხელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე მესამედ მონაწილეობს. 2008 წელს, საკუთარ ტყავზეც იწვნია რეპრესიები, სასიკვდილოდაც გასწირეს, თუმცა გადარჩა. სხეულზე მიყენებული უამრავი დაზიანებით, მოტეხილი ლავიწის ძვლით კვარაცხელია ვაშლიჯვრის ტყეში იპოვეს და რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაშინ კვარაცხელია გადარჩა და ახლა უკვე მესამედ ცდის საკუთარ ბედს არჩევნებში. მოტივს კი იმით ხსნის, რომ 1990 წელს გამოცხადებული იდეალები აღადგინოს და განახორციელოს.

კვარაცხელია უკვე წლებია ევროპის მმართველი ორგანოს მედიაოფიცერია, ამ პოსტზე დღემდე მუშაობს და პარალელურად, „დინამო არენას“ მედიაოფიცრის თანამდებობასაც ითავსებს.

მონაწილეობა აქვს მიღებული საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ დაფინანსებაში და ფეხბურთის ფედერაციაში, წლების წინ, თითქმის ყველა პოსტზე უმუშავია, გარდა გენერალური მდივნისა და პრეზიდენტისა.

სხვები თვლიან, რომ კვარაცხელია ამ არჩევნებშიც არანაირი შანსი არა აქვს, თუმცა კანდიდატი თავად უფრო იმედიანადაა განწყობილი.

მერაბ ჟორდანია

იყრის თუ არა მერაბ ჟორდანია მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს, ეს ვადის ამოწურვამდე, ბოლო წუთებში გახდება ცნობილი. სავარაუდო იყო, რომ ლანჩხუთის „გურიაში“ გატარებული წლების შემდეგ, გურიის ფეხბურთის ფედერაცია პრეზიდენტობის კანდიდატად, სწორედ მერაბ ჟორდანიას წარადგენდა, მაგრამ გურიამ მხარი არველაძეს დაუჭირა. თუმცა, კარიერის საუკეთესო წლები ჟორდანიამ, სწორედ „ლანჩხუთში“ გაატარა.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ჟორდანია თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი იყო, 1998 წელს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე უფროსი ნოდარ ახალკაცი შეცვალა. ჟორდანია, მეორე ვადით, პრეზიდენტის პოსტზე 2002 წელს აირჩიეს. სწორედ მის დამსახურებაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღეს სფფ-ს შენობა აქვს. ეროვნული ნაკრების ტექნიკური ბაზის, „ბასას“ აშენების იდეაც ჟორდანიას ეკუთვნის, თუმცა მისი დასრულება მხოლოდ ზვიად სიჭინავამ მოახერხა.

პრეზიდენტობის პერიოდში, რამდენიმე პრინციპული გადაწყვეტილებაც აქვს მიღებული ჟორდანიას, გარიგებულ თამაშებში მონაწილე გუნდებთან დაკავშირებით, თუმცა, საპრეზიდენტო ვადა მას ბოლომდე არ ამოუწურავს. 2005 წელს, მან დატოვა პრეზიდენტის პოსტი, მანამდე კი სამართალდამცავებთან არკვევდა ურთიერთობას. 2002-2003 წლებში ის რამდენჯერმე დააკავეს, თბილისის „დინამოში“ არსებულ ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებით საბოლოოდ კი, 70 ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

ჟორდანია ჰოლანდიაში გადაბარგდა, სადაც 2010-2013 წლებში „ვიტესის“ პრეზიდენტი იყო, მაგრამ შემდეგ კლუბი, წარმოშობით ქუთაისელ რუს-ებრაელ ჩიგრინსკის მიჰყიდა და სკანდალები იქაც არ მოჰკლებია. როგორც გაირკვა, ჟორდანია კლუბის დირექტორს, იოსტ დე ვიტის ემუქრებოდა, რის გამოც ჰოლანდიის სასამართლომ მას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიუსაჯა. ჟორდანია დე ვიტს თითების მოჭრით დაემუქრა, დე ვიტმა კი ეს ამბავი გაასაჯაროვა. მერაბ ჟორდანიას, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კლუბის საწვრთნელ ბაზასა და სტადიონზე შესვლა სამი წლით აეკრძალა. ჟორდანიას ბოდიშის მოხდა მოუხდა და განმარტა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. შემდეგ იყო მალტური „ვალეტა“ და სპორტული დირექტორის პოსტი ბაქოს „ინტერში“, თუმცა, მერაბ ჟორდანიამ, როგორც ჩანს, მოგზაურობა უცხოეთში დაასრულა და ქართულ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა.

ახლა ჟორდანიას პრობლემა ის არის, რომ ვერ გამოიძებნა სუბიექტი, რომელიც მას პრეზიდენტის პოსტზე წარადგენს.

ვადა 7 სექტემბრამდეა უახლოს რამდენიმე დღეში, გადაწყდება, მიიღებს თუ არა ჟორდანია არჩევნებში მონაწილეობას.

არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო რჩება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე სკანდალური კანონი პარლამენტში

რატომ ეშინია ოპოზიციას ეროვნული ბანკის შესახებ კანონის და რატომ გამოიყენა ვეტო პრეზიდენტმა მხოლოდ მაშინ, როცა საფრთხე პოლიტიკოსებს შეექმნათ

„რატომ უნდა ეშინოდეს ოპოზიციას ამ პროცესის, თუკი გამჭვირვალე ფინანსურ სისტემას უჭერს მხარს?“

ქეთი ხატიაშვილი

ეროვნული ბანკის შესახებ კანონი ყველაზე სკანდალური აღმოჩნდა. საარჩევნო ციკლში მიღებულ ამ ცვლილებებს არც პრეზიდენტი უჭერს მხარს.

მსფ (სავალუტო ფონდი) აპროტესტებს, რომ ხელისუფლება არ ასრულებს თავის ვალდებულებას, რაც ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაძლიერებას ეხება.

ოპოზიცია აპროტესტებს, რომ ტრანზაქციების კონტროლს ამიერიდან ხელისუფლებაც შეძლებს. ეს კი არჩევნების ციკლში ყველაზე მეტად ოპოზიციას არ აწყობს.

ექსპერტ ლევან ალაფიშვილის განმარტებით, სავალუტო ფონდი წინააღმდეგი იყო ზედამხედველობის სისტემიდან გატანისა მხოლოდ იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული ბანკის გაძლიერების ვალდებულება ოფიციალურად ჰქონდა აღებული.

ექსპერტების ნაწილი ელის, რომ კანონის მიღების შემდეგ ჯერ მსფ, შემდეგ ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი ხელისუფლებას ფინანსურ დახმარებას შეუწყვეტენ, თუმცა, ექსპერტების მეორე ნაწილი ასეთ პესიმისტურ განწყობებს არ იზიარებს. მიიჩნევენ, რომ მსფ პოლიტიკურ ველზე არ გადავა.

კანონი კი სწორედ პოლიტიკურ ველს ნაღმავს. ოპოზიციას ეშინია, რომ არჩევნების წელს ხელისუფლება მათ ფინანსურ რესურსებს გააკონტროლებს.

ოპოზიციისთვის ეს სულაც არ არის სიახლე. სააკაშვილის ხელისუფლებაც აკონტროლებდა ოპოზიციის ფინანსებს. აკონტროლებდა არაოფიციალურად. კანონი ამის უფლებას არ აძლევდა, მაგრამ იმიტომ, რომ ეროვნულ ბანკში მის მიერ დანიშნული პირები ისხდნენ, ინფორმაცია ყოველთვის ჰქონდა.

როგორც ახლა იხსენებენ, „გაერთიანებული ოპოზიციის“ დროს, გია გაჩეჩილაძეს ბანკში ანგარიშიც კი არ ჰქონდა გახსნილი. ოპოზიციას ფულის ხელიდან ხელში გადაცემა უნევდა.

მაშინდელი ხელისუფლების დროს დააკავეს მანქანა, რომლითაც მაშინ ოპოზიციის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ფული გადაჰქონდა. მაშინ ხელისუფლებას ამ ოპერაციის ჩაშლა მოუნია და მანქანაც დააბრუნა და ფულიც.

ახლა ხელისუფლებას უფლება ექნება, ოფიციალურად აკონტროლოს პოლიტიკაში ფულის მოძრაობა. ლევან ალაფიშვილისთვის გაუგებარია, რატომ უნდა ეშინოდეს ამ პროცესის ოპოზიციას, თუკი გამჭვირვალე ფინანსურ სისტემას უჭერს მხარს. თუმცა, მისი აზრით, საქართველოში პოლიტიკური სისტემა და ინფრასტრუქტურა განვითარებული არ არის. შესაბამისად, ქართულ პოლიტიკაში არალეგალური ფინანსები მოძრაობს და ხელისუფლება ცდილობს, მათ შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს.

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ ოპოზიციას ერთადერთი რამ დარჩა, ფინანსები, გია გაჩეჩილაძის მსგავსად, ხელით ატაროს. მაგალითისთვის, სკანდალიც კი მოჰყავთ, რომელიც რამდენიმე ხნის წინ აგორდა. მაშინ ითქვა, თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“ ორ დეპუტატს საზღვარზე დიდი ოდენობის არადეკლარირებული ფინანსები შემოჰქონდა.

ლევან ალაფიშვილი კი მიიჩნევს, რომ საქართველოში პოლიტიკური სისტემა და ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს და ყველა რესურსი, მათ შორის ფინანსურიც, გამჭვირვალე უნდა გახდეს, როგორც ეს დასავლეთშია.

თუმცა, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელსაც დასავლეთშიც კი აკრიტიკებდნენ, მაგრამ საქართველოში მაინც მუშაობდა. ეს არის კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, სადაც დაფინანსების კუთხით განისაზღვრა ლიმიტები, თანაც დაბალი ლიმიტები. ექსპერტების ახსნით, ეს მიშამ იმისთვის გააკეთა, რომ საქართველოში რუსულ და ოლიგარქიულ ფულს არ ემოძრავა.

იმ ფულით, რომელიც შეიძლება პოლიტიკაში ლეგალურად ჩაიდოს, არათუ რევოლუციის დაფინანსება, არჩევნების მოგებაც კი შეუძლებელია. მაშინ ოპოზიცია ამბობდა, რომ რეალურად ამ ლიმიტებით სააკაშვილმა ოპოზიციას განვითარების საშუალება არ მისცა.

თუმცა, ხელისუფლების მოტივაცია მაშინ სწორედ რუსული ფინანსების საქართველოში შემოსვლა გახლდათ. რამდენად შეიძლება ამ ხელისუფლებამაც იმართლოს თავი რუსული ფულის გაკონტროლებით? არასაპარლამენტო ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ამით თავს ვერ იმართლებს, თუმცა მას უჭირს, ახსნას, რატომ.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით კი, რუსული ფული საქართველოში უკვე შემოტანილია და რუსული რესურსები საჭადრაკო დაფაზეა განლაგებული.

ოპოზიციაში შიშობენ, რომ ხელისუფლებას რუსული ფულის კი არა, ოპონენტების გაკონტროლება სურს რეალურად.

ამ თემებზე მხოლოდ მინიშნებები კეთდება და ეროვნული ბანკის სიძლიერესა თუ დამოუკიდებლობაზე აპელირება მხოლოდ ოპოზიციის ხრიკია – დაფაროს მთავარი ინტრიგა.

ეკონომიკის ექსპერტის რომან გოცირიძის განმარტებით:

„ეს არის, ფაქტობრივად, მთავრობის მხრიდან მთელი ბიზნესის კონტროლი, რაც ძალიან სახიფათოა. ეს არის კომერციული ბანკების გაკონტროლების მცდელობა. ეროვნული ბანკი არის კონსტიტუციით დაცული ორგანო და ამ სამსახურის გაუქმებით დაიწყება ხელის ფათური არა მარტო საბანკო ოპერაციებში, არამედ ბანკის მთელი სურათი ექნებათ რენტგენივით. კონსტიტუციურად კი ეს გაუმართლებელია. ეს კანონპროექტი შესაძლოა, გახდეს ადამიანებისა და ბიზნესის დევნის მიზეზი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი პირადი ანგარიშებისა და ანაბრების კონფიდენციალურობა გაუქმდა და საგადასახადო ინსპექცია უკვე უყურებს მას, ხოლო ფინანსური მონიტორინგი გამოვიდა ეროვნული ბანკის ფუნქციებიდან, გამოდის, რომ ყველაფერი მთავრობის კონტროლქვეშ გადავიდა. მთავრობა არის პოლიტიკური ორგანო, რომელიც ყოველთვის გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს. არ ვამბობ, რომ დღეს გამოიყენებს ამ ბერკეტს, მაგრამ ეს ძალიან სახიფათოა...“

ამ კომენტარში რომან გოცირიძე ერთ საინტერესო ფაქტს შეეხო. სანამ პარლამენტი ეროვნული ბანკის შესახებ კანონს მიიღებდა, პოლიტიკაში ფულის მოძრაობაზე ინფორმაციის მიღების უფლებას მოიპოვებდა, მანამდე პარლამენტმა მიიღო კანონი და საგადასახადოს ჩვენი, ანუ ჩვეულებრივი მოქალაქეების ანგარიშებზე წვდომის უფლება მისცა. ეს კანონი მშვიდად გავიდა და პრეზიდენტმა მარგველაშვილმაც ისე მოაწერა ხელი, რომ ვეტო არც გახსენებია.

გამოდის, ვეტო პრეზიდენტმა მაშინ გამოიყენა, როცა საფრთხე პოლიტიკოსებს შეექმნათ და არა მოქალაქეებს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოპოზიციას გორში გეგმები ბურჯანაძის პარტიის გამო ჩაეფუშა

ნინო გაბინაშვილი

ის, რაც გორიდან უნდა დაწყებულიყო და მთელი საქართველო უნდა მოეცვა, გორშივე მოკვდა. ოპოზიცია, რომელიც გორის ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობაზე საუბრობდა, თავად აღმოჩნდა უუნარო. საკრებულოში ოპოზიციამ ჯერ იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრა მოითხოვა და ეს ამაყადაც გააპიარა, შემდეგ კი საკუთარი მოთხოვნა უკანვე გაიწვია...

„ამას მომავალშიც გავაკეთებთ. იმპიჩმენტების მოხსნის ამბავი ტრაგედია არ არის“

გორში ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობაზე ოპოზიცია ბევრს ლაპარაკობს, თუმცა, ახლა მათ ხელისუფლებას იგივეს მტკიცების საბაბი მისცეს. ექსპერტები იძულებული არიან აღიარონ, რომ ოპოზიციაც მოიკოჭლებს.

იმპიჩმენტის მოთხოვნა ოპოზიციას რომ ახლა არ გაეწვია და მარცხი ღიად არ დაეფიქსირებინა, ამ პროცესის წამოწყების უფლებას სამი თვით პარლამენტის თავმჯდომარის შემთხვევაში და 6 თვით მერის შემთხვევაში კარგავდა.

არადა, მხოლოდ გორში შეძლო ოპოზიციამ იმპიჩმენტის დაყენებისთვის საჭირო ხმების მოგროვება. ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მათი რიგები შეივსო და საკმარისი გახდა საკითხის დაყენებისთვის. თავად პროცედურის წამოწყებისთვის მათ სულ ორი ხმა აკლდებათ.

გორის საკრებულო 15 კაცისგან შედგება. 6 დეპუტატი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია, 4 წევრი ჰყავს ირაკლი ოქრუაშვილის „ქართულ პარტიას“, 2 – „თავისუფალ დემოკრატებს“, 1 – „ნაციონალურ მოძრაობას“, 1 – „ნინო ბურჯანაძის ერთიან ოპოზიციას“ და 1 - ლეიბორისტულ პარტიას. ჯამში, ოპოზიციას 8 ხმა აქვს.

ოპოზიციის რვა ხმა სრულიად საკმარისი იყო იმპიჩმენტის დასაყენებლად.

მაგრამ, უეცრად ეს გრანდიოზული გეგმები მხოლოდ და მხოლოდ „მცირე ტექნიკური მიზეზის“ გამო ჩაიფუშა. ტექნიკური მიზეზი კი ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი ზურაბ როსებაშვილია, რომელიც მივლინებით ოსლოში გაემგზავრა. სწორედ ამის შემდეგ მოექცა ოპოზიცია ჩიხში.

ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ საკითხი საკრებულოში 4 სექტემბერს სხდომაზე გავიდოდა, თუმცა, საკრებულომ რეგლამენტით იხელმძღვანელა და იმპიჩმენტის მოთხოვნა ბიუროზე გაიტანა, რისთვისაც მას 10 დღის ვადა ჰქონდა განსაზღვრული. და სწორედ ამ რეგლამენტში ვერ ჩაეტია ოპოზიცია, ისინი იმედოვნებდნენ, რომ საკითხი სხდომაზე 4 სექტემბერს დადგებოდა.

გია ხუხაშვილი: „ჩვენთან პოლიტიკური პროფესიონალიზმი მოიკოჭლებს“

გორში ოპოზიციის ჩაფლავება არ უკვირს ექსპერტ გია ხუხაშვილს, მისი აზრით, პოლიტიკური პროფესიონალიზმი საქართველოში მოიკოჭლებს.

გია ხუხაშვილი:

- თუ იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილება არსებობს, ბუნებრივია, ეს რაღაც დროის შემდეგ შეძლება გაფორმდეს კიდეც. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რას ნიშნავდა რეალურად იმ ერთი წევრის არყოფნა. ეს შეგნებულად თავის არიდება იყო თუ უბრალოდ, ვერ ჩამოვიდა და ტექნიკური საკითხია, გაირკვევა.

- ხელისუფლებას ხშირად ადანაშაულებენ უუნარობაში, როგორ ფიქრობთ, ასეთი ტექნიკური ხარვეზის გაუთვალისწინებლობა ხომ არ მიუთითებს ოპოზიციის უუნარობაზეც?

- ჩვენთან პოლიტიკური პროფესიონალიზმი მოიკოჭლებს, ეს არ ეხება მარტო ხელისუფლებას, ჩვენი პოლიტიკური ელიტა არის ღრმა კრიზისში, ვინც არ უნდა იყოს. ყველა ერთი და იმავე უბედურებაში არიან, საქართველოში ამაზე უარესებიც ხდება და არაფერი არ გვიკვირს.

იმპიჩმენტუკანნაღებული ოპოზიციის წევრები თვლიან, რომ იმპიჩმენტი მხოლოდ გადაიდო და ეს არსებითად არაფერს შეცვლის.

„ამას მომავალშიც გავაკეთებთ. იმპიჩმენტების მოხსნის ამბავი ტრაგედია არ არის. კანონი არ გვზღუდავს. იმ შემთხვევაში ვეღარ შევძლებდით 3 თვის განმავლობაში იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას, თუკი კენჭისყრა გაიმართებოდა და ხმების რაოდენობა დაგვაკლდებოდა“, - აცხადებს თამარ თედლიაშვილი, თავისუფალი დემოკრატების წევრი.

ამავე აზრს იზიარებს – „ნინო ბურჯანაძის ერთიან ოპოზიციის“ წევრი გიორგი ახლედიანი:

- გორში არასახარბიელო სიტუაციაა, მძიმე სოციალური პრობლემები, ეს ყველაფერი კი ამ მთავრობის მიერ იქნა შექმნილი.

იმპიჩმენტი დადგა და ოპოზიციამ უნდობლობა გამოვუცხადეთ მმართველ პარტიას და აღმოჩნდა ისე, რომ ერთი ჩვენი წევრი, ზურაბ როსებაშვილი, მივლინებით წასულია უკვე ერთი კვირაა ნორვეგიაში. 4 სეტემბერს უნდა დამდგარიყო საკითხი, მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო ეს არ გამოვიდა. ხელისუფლება ამას სათავისოდ იყენებს, მაგრამ თავს მაინც ვერ გადაირჩენს, იმპიჩმენტმა უბრალოდ გადაიწია, ოპოზიცია ერთსულოვანია და ცვლილებები გარდაუვალია.

- როგორ ფიქრობთ, როცა დღის წესრიგში ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი დგება, ეს ტექნიკური ხარვეზი არ უნდა გათვალისწინებულიყო?

- რა თქმა უნდა, კარგი იყო ეს არ მომხდარიყო, მაგრამ ეს ძირეულად არაფერს შეცვლის.

2 სექტემბერს თავისუფალი დემოკრატების ორმა წევრმა: თამარ თედლიაშვილმა და დავით წეწვაძემ, ხოლო „ქართული პარტიის“ ოთხივე წარმომადგენელმა: ილია მეტრეველმა, ლერი ლაფაჩმა, რამაზ იოსელიანმა და გიორგი ამბოკაძემ, ქალაქ გორის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის იმპიჩმენტების დაყენების საკითხი უკან წაიღო.

ილია მეტრეველი: „ქართული პარტია“ თვლის, რომ 2 სექტემბრის რიგგარეშე სხდომა „ქართულმა ოცნებამ“ სპეციალურად დაგეგმა, რათა ოპოზიციას ხმები დაკლებოდა.

„როდესაც ჩვენ იმპიჩმენტის საკითხები დავსვით, ეს იყო 26 აგვისტო. საკრებულოს რიგითი სხდომა კი 4 სექტემბერს იყო ჩანიშნული, ზურაბ როსებაშვილი 4 სექტემბერს გამთენიისას ბრუნდებოდა და აპირებდა 4 სექტემბრის სხდომაზე დასწრებას. პირველ სექტემბერს მოულოდნელად ჩანიშნეს რიგგარეშე სხდომა“, - აცხადებს ილია მეტრეველი.

გიორგი ახლედიანი: „ტექნიკური ხარვეზის გამო იმპიჩმენტი არ გამოვიდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილმა გაეროში მსოფლიო უსაფრთხოების კონფერენციის მონაწილეებს მიმართა

„ჩვენ შევეცდებით ჩვენი ხმა მივაწვდინოთ მსოფლიოს“

„ვიღებთ დაპირებას, რომ სახელმწიფოები არ შექმნიან ხელოვნურ დაბრკოლებებს ევროინტეგრაციის პროცესში“

„პრაიმტაიმი“ ნიუ-იორკიდან

ნანა შონია,
ალექსანდრე ჩხეიძე

ევროინტეგრაცია, საქართველოს ნატოში გაწევრიანება და არაღიარების პოლიტიკა იყო პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების პარლამენტის თავმჯდომარეებთან შეხვედრის მთავარი თემები.

„მსოფლიო მხოლოდ იმ დღეს გადარჩება, როდესაც ის გაჯერებული იქნება ურთიერთპატივისცემის, ურთიერთსიყვარულისა და გადაცდომის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საჭიროებით“. ფრედერიკ პასკის ამ სიტყვებით მიმართა დავით უსუფაშვილმა საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ ორგანიზებულ, პარლამენტის სპიკერების მე-4 მსოფლიო კონფერენციის მონაწილეებს.

„მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ სამი ძირითადი ფაქტორი, რაც არსებითია ისეთი სამყაროს ასაშენებლად, როგორში ცხოვრებასაც ისურვებდნენ ადამიანები.

პირველი ფაქტორი არის ის, თუ როგორ განვსაზღვრავთ სიტყვას - „ადამიანი“? ვის ვგულისხმობთ, როდესაც ადამიანებზე ვსაუბრობთ? ვფიქრობთ, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც გვგვანან ჩვენ, იზიარებენ ჩვენს ღირებულებებს და გვაძლევენ ხმას? თუ ამ სიტყვაში ნებისმიერ ადამიანს მოვიაზრებთ? ამ საკითხის საპასუხოდ, დაახლოებით ერთი წლის წინ, საქართველოს პარლამენტმა ახალი კანონი მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე“, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერი ადამიანის ჩართულობის, მონაწილეობის უზრუნველყოფას - მათ შორის უმცირესობებისა, იმ ადამიანებისა, რომლებიც განსხვავებულად ფიქრობენ, განსხვავებულად გამოიყურებიან და განსხვავებული მიზნები აქვთ ცხოვრებაში. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ასპექტია, როდესაც განვმარტავთ სიტყვას - „ადამიანი“. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, შევთანხმდეთ იმაზე, თუ როგორ ვახდენთ ადამიანების სურვილების იდენტიფიცირებას? რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ ადამიანების სურვილებზე? ვსაუბრობთ მათზე, ვინც უმრავლესობაშია? ვსაუბრობთ არჩევნების შედეგებზე და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის პროგრამებზე? თუ ვსაუბრობთ სამოქალაქო საზოგადოებისა და მოქალაქეების მუდმივ მონაწილეობაზე ხელისუფლების ყოველდღიურ ფუნქციონირებაში? ამ მნიშვნელოვანი თემის განსახილველად, სექტემბერში, საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო ღიაობის საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც ჩვენ მსოფლიოს ყველა პარლამენტის წარმომადგენელი მოვიწვიეთ. აღნიშნული კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებულია, განისაზღვროს ის, თუ როგორ აღვჭურვოთ მოქალაქეები იმ საჭირო მექანიზმებით, რაც მათ არა მარტო პარლამენტის ფუნქციონირების შესახებ მიაწვდიან მეტ ინფორმაციას, არამედ ინფორმირებულნი იქნებიან იმ საკითხებზეც, რომლებიც პარლამენტში განიხილება. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ დამატებითი საშუალებები და მექანიზმები იმისთვის, რომ განვსაზღვროთ იმ ადამიანთა სურვილები, რომელთაც ნაკლები წვდომა აქვთ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან; რომლებიც არიან ღარიბნი; რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა იმოგზაურონ მსოფლიოს დედაქალაქებში და ეწვიონ საკანონმდებლო ორგანოებს. ეს ყველაფერი უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ განიმარტოს თუ რა სურთ რეალურად ადამიანებს. მესამე, ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც იმ მსოფლიოს აშენებაში გვეხმარება, როგორშიც ჩვენ ყველას გვსურს ცხოვრება, ჩვენი ვალდებულებების პატივისცემაა. სახელმწიფომ უნდა შეასრულოს საკუთარი ხალხისადმი მიცემული დანაპირები. სწორედ ასე იბადება ნდობა ინსტიტუტებსა და მოქალაქეებს შორის. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელ მსოფლიოში ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეებისთვის ვიღწვით, არამედ ანგარიშვალდებულნი ვართ ფართო საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. უდავოა, რომ დღევანდელ მსოფლიოში აგრესია, ძალადობა და გასაჭირი დიდწილად არის გამოწვეული სახელმწიფოების მხრიდან საერთაშორისო სისტემით დადგენილი ნორმების იგნორირებით. იქნება ეს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების, უკრაინისა თუ ნებისმიერი სხვა მაგალითი, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სისტემა უხეშად ირღვევა“, - აღნიშნა უსუფაშვილმა.



ვიზიტის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, ან ბრასერს და ეუთოს საპარლამეტო ასამბლეის პრეზიდენტს, ილკა კანერს შეხვდა.

დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:

„ყველა ძირითად თემაზე, რაც საქართველოს აინტერესებს, არის პოზიტიური განწყობა. ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ბრიტანეთის, ნორვეგიის, შვეიცის თავმჯდომარეებთან დეტალური საუბრები გვქონდა. ვიღებთ დაპირებას, რომ სახელმწიფოები არ შექმნიან ხელოვნურ დაბრკოლებას ჩვენი ინტეგრაციის პროცესში. უსაფრთხოებისა და ახალი იდეების საკითხები განვიხილეთ ირანის პარლამენტის თავმჯდომარესთან. ვხვდებით ისეთ ქვეყნებსაც, რომლებმაც ცოტა იციან საქართველოზე. მსოფლიოში ბევრია ქვეყანა, რომელთანაც ჯერ კიდევ დიპლომატიური ურთიერთობებიც არ გვაქვს და ვცდილობთ მათთან ურთიერთობის აწყობას. ეს მნიშვნელოვანია, რათა არავინ შეიყვანოს შეცდომაში არაღიარების საკითხების განხილვისას. პარლამენტის სპიკერების კონგრესი, ეს არის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ნიუ-იორკში მთელი მსოფლიოს პარლამენტის პირველმა პირებმა მოიყარეს თავი. ერთადერთი ვინც ამ ღონისძიებას ვერ დაესწრო, ეს რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარეა. მოგეხსენებათ, რუსეთ-ამერიკის დღევანდელი მდგომარეობის გამო, მას მეერთებულ შტატებში ვიზა არ მისცეს. ჩვენ გამოვიყენეთ ეს ტრიბუნა და შევხვდებით იმ ქვეყნებსაც, რომელთაგანაც გვინდა მხარდაჭერა რეზოლუციისთვის, ეს ნიშნავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მსოფლიოს მხარდაჭერის უზრუნველყოფას. ჩვენ შევეცდებით ჩვენი ხმა მივაწვდინოთ მსოფლიოს. ჩვენ ამას გამოვიყენებთ“.

კახა იმნაძე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში:

„ყველა ასეთ შეხვედრას საქართველო იყენებს იმ ძირითადი პრიორიტეტების გასახმოვანებლად, რომელიც ჩვენი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დგას. ეს ეხება, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას თუ სხვა მნიშვნელოვან თემებს. გაეროში ჩვენი მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხია და ჩვენი რეზოლუციაც სწორედ ამას ემსახურება. ყველა ასეთი დონის შეხვედრის დროს ჩვენ ამაზე ვსაუბრობთ. ეს ფორუმი მნიშვნელოვანი ფორუმია, წელს ეს შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც განვითარების დღის წესრიგის სამიტს უძღვის წინ და აქ პარლამენტსაც, რა თქმა უნდა, მისი სიტყვა ეთქმის“.

პარლამენტის თავმჯდომარეების პირველი მსოფლიო კონფერენცია ნიუ-იორკში 2000 წელს ჩატარდა და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ აღნიშნულ ფორუმში წელს მესამედ მიიღო მონაწილეობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიშა ყაველაშვილი

თათუკა ნატროშვილი

მაგდა კლდიაშვილი

ლორიამ გე

მას შემდეგ, რაც საქართველოს ერ-ოვნული ნაკრების კი-პერი, გიორგი ლორია „ოლიმპიაკოსიდან“ წა-მოვიდა, მისი მომავალი არა ერთ გუნდს დაუკავშირეს.

ბოლო ინფორმაცია, რომე-ლიც ლორიასთან დაკავშირებ-ით გავრცელდა, რუსეთის პრემ-იერლიგის კლუბში გადასვლაა.

როგორც ჩანს, ლორიას აგ-ენტებმა ბერძნულ „ლევადიაკ-

ნიკა საბანაძემ „ეთნიკოსი“ დატოვა

ახალგაზრდა ქართველმა ფორვარ-დმა, ნიკოლოზ საბანაძემ კვიპროსული „ეთნიკოსი“ ისე დატოვა, რომ გუნდის შე-მადგენლობაში თამაშიც კი ვერ მოახერ-ხა.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნ-ობილი, კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდში კიდევ ერთი ფორვარდი მოიყვანა, საბანაძემ კი სეზონის დაწყების წინ მიკროტრავმა მი-იღო, „ეთნიკოსის“ მმართველობამ კი მისთ-ვის ხელფასის შემცირება გადაწყვიტა.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა თავდამსხმელმა, კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და სამშობ-ლოში დაბრუნდა, სადაც უგუნდოდ დიდი ხანი არ დარჩენილა. საბანაძე უკვე ფოთის „კოლხეთში“ ჩაირიცხა და დეკემბრის ბო-ლომდე ფოთელების ღირსებას დაიცავს.

სპორტული ტელევიზია TVS

დიდი ხანია მიდის საუბრები იმაზე, რომ სპორტული ტელევი-ზია TVS მალე პოლიტიკური გა-ხდება. არასპორტული ამბების გაშუქება არხზე დიდი ხნის წინ დაიწყო, თუმცა, ოფიციალურად არხს პროფილი არ შეუცვლია.

ტელეკომპანია ფლობს შესა-ბამისი მაუწყებლობის ლიცენზ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზი რუსეთისკენ აიღო

bazarr SPORT

ოსთან“ ვერ მოილაპარაკეს, მაგრამ, რუსეთში არსებული კონტაქტები გამოიყენეს და მეკარე „კრილია სოვეტოვში“ მიჰყავთ.

მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ბაზარი უკვე დაიხურა, რუსულ კლუბებს მაინც შეუძლიათ ტრანსფერის განხორციელება, თუ მოთამაშე მათთან თავისუფალი აგენტის სტატუსით მივა. როგორც ცნობილი გახდა, გიორგი ლორია ახლა სავიზო საკითხებს აგვარებს და მალე კარიერას რუსეთში გააგრძელებს.

გიორგი დარასელიას უშვებენ?

ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი, გიორგი დარასელია, შესაძლოა უმუშევარი დარჩეს.

ქუთაისელებმა ზაფხულში ბევრი ხარჯი გასწიეს და საგრძნობლად გაძლიერდნენ, თუმცა ახალი სეზონის დაწყებიდან სამი ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვთ და ლიდერ თბილისის „დინამოს“ 5 ქულით ჩამორჩებიან. სეზონის წინ ცნობილი იყო, რომ „ტორპედო“ ევროსაგზურისთვის იბრძოლებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი ახლა იწყებს გახურებას, დარასელიათი უკმაყოფილონი ყოფილან კლუბის ხელმძღვანელები.

უკანასკნელ ტურში, გორის „დილასთან“ საკუთარ არენაზე 2:0 წაგების შემდეგ, დარასელიას გულშემატკივრები შემოსწყრენ და მის მიმართ უცენზურო გამონათქვამებიც არ დაიშურეს. არსებული ინფორმაციის თანახმად, თუკი დარასელიას გუნდი მომდევნო ტურში, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართება, ვერ მოიგებს, მას თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

სხვათა შორის, ქუთაისელებს არც ისე იოლი მეტოქე ჰყავთ - ბათუმის „დინამო“, რომელმაც გასულ სეზონში მეორე ადგილი დაიკავა და ევროსარბიელზეც იასპარეზა, „ტორპედოს“ საკუთარ მოედანზე მასპინძლობს.

bazarr SPORT

პროფილს და სახელს იცვლის

ია, ამიტომ მათთვის პროფილის შეცვლა პრობლემას არ წარმოადგენს.

18 სექტემბრიდან, ტელეკომპანია TVS ეთერში ახალი სახელწოდებით, „პირველი“, გავა. როგორც კულუარებში საუბრობენ, არხის მფლობელს არხზე ინგა გრიგოლიას მიყვანაც სურდა, თუმცა თავად გრიგოლიამ ეს ამბავი არ დაადასტურა.

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ქეთი დოლიძე

ალეკო მალხაზიშვილი და ნიკა ხაჩიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაპირისპირება „ვოისის“ გადაღებაზე -

my View
ნინო მჭედლიშვილი

რუსა მორჩილაძე: „თუ ქართველი მომღერალი ქართულად ვერ მღერის, ძალიან რთული იქნება ის მუსიკოსად შედგეს და ამ ქვეყანაში დაიმკვიდროს სახელი“

„ყოველთვის ჩასაფრებულის პოზიციიდან ვაფასებ კონკურსანტებს, ვნერვიულობ, მომეწონება, არ მომეწონება“

სამწლიანი პაუზის შემდეგ „ახალი ხმა“ „იმედის“ ეთერში ბრუნდება. ახალი სახელით, ახალი მენტორებითა და ახალი პროდიუსერით. „ახალ ხმას“ ახლა „The voice საქართველო“ ერქმევა. პროექტის აღმასრულებელი პროდიუსერი კი გვანცა კილასონია იქნება. სამი მენტორის ვინაობა გვანცამ უკვე გაამხილა. ესენი იქნებიან: ანრი ჯოხაძე, ნუცა შანშიაშვილი და ნოდიკო ტატიშვილი. რაც შეეხება მეოთხე მენტორს, როგორც გვანცამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ის ყველასთვის საყვარელი მომღერალი ქალია. პროექტი ოქტომბრის დასაწყისში აიღებს სტარტს. მანამდე კი გადაცემის აღმასრულებელ პროდიუსერს, გვანცა კილასონიას და მუსიკალურ პრუდიუსერს, რუსა მორჩილაძეს გავესაუბრეთ.

გვანცა კილასონია:

- ჩემთვის ეს მეორე პროექტია „იმედზე“. ამ არხზე პროექტის „ერთი ერთში“ გასაკეთებლად მოვედი. პროექტი რომ დამთავრდა „ვოისის“ პროდიუსერობაც შემომთავაზეს. მანამდე ამ პროექტის მაყურებელი ვიყავი. ვგიჟდები მუსიკალურ პროექტებზე. რაღა დაგიმალოთ და ცოტათი მშურდა კიდეც იმ საპროდიუსერო გუნდის, რომელიც ამ პროექტს აკეთებდა. სულ მინდოდა „ვოისი“ გამეკეთებინა და ეს იღბლიანი დღეც დადგა ჩემს ცხოვრებაში. დიდი აზარტით მივუდექი ამ პროექტს, რადგან ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტია მთელ მსოფლიოში.

- როცა ამ პროექტმა საქართველოში აიღო სტარტი, ძალიან ბევრი კრიტიკოსი გამოჩდა. ამბობდნენ, რომ ძალიან მაგარი პროექტი გააფუჭეს ქართველებმა. შენც ასე თვლიდი?

- ძალიან მარტივია მაყურებლის პოზიციიდან კრიტიკა. როცა არც ერთი ღამე არ გაგითენებია, არც ერთი დღე არ გიწვალია ამ პროექტის მოსამზადებლად, იოლია თქვა, გააფუჭეს ან გააკეთეს. ამ ყველაფერში ძალიან დიდი შრომაა ჩადებული. თუმცაღა, მიფიქრია იმაზე, მე რას შევცვლიდი, როგორს გავაკეთებდი. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა. მომეცა შანსი და უნდა ვაჩვენო რისი გაკეთება შემიძლია. ვცდილობ არც ერთი ნიუანსი არ გამომეპაროს.

- რა არის შენი, როგორც პროდიუსერის მთავარი კოზირი ამ პროექტში?

- ეს არის ოთხი მწვრთნელი. სამის ვინაობა უკვე გავამხილეთ. მეოთხეც ჯოკრად მყავს. რა თქმა უნდა, პროექტი მონაწილეებისგან შედგება, მაგრამ ყველაზე დიდი სიძლიერე მაინც მწვრთნელები არიან. თუკი გადახედავთ სხვა ქვეყნების „ვოისის“ მწვრთნელებს, მიხვდებით რა „ბომბებთან“ აქვს აუდიტორიას შეხება. თითოეული მწვრთნელი უნდა იყოს პერსონა, ფიგურა, რომელთანაც დამწყებ შემსრულებელს ყოფნა მოუნდება. ეს არის გუნდების ჭიდილი და არა თითო ადამიანის ბრძოლა გამარჯვებისთვის.

- რა პრინციპით შეირჩნენ ისინი?

- რთულია ზუსტად ის ადამიანი დასვა სკამზე, რომელიც ამ ოთხი თვის განმავლობაში შეძლებს იყოს გუნდის კაპიტანი. ამიტომ ის აუცილებლად უნდა იყოს პოპულარული, ყველასთვის საყვარელი, კარგი გამოცდილებით, მოტივირებული, უნდა მღეროდეს და უნდა იყოს შოუ მენი.

- როგორ დაითანხმეთ ნუცა შანშიაშვილი?

- ნუცა სპეციალურად „ვოისისთვის“ ჩამოვიდა საქართველოში და დიდი მადლობა მინდა მას ამისთვის ვუთხრა. უკვე რამდენიმე წელია ნუცა ნიუიორკში ცხოვრობს. სპეციალურად ამ პროექტისთვის აიკრა გუდა-ნაბადი და მეუღლესთან და შვილთან ერთად თბილისში დაბრუნდა. მიყვარს, როცა ცოტა მიუწვდომელი პერსონების დათანხმება მინევს, ამას სხვა აზარტი აქვს. ამ ყველაფერში დაგვეხმარა ნუცას მეგობარი, დავით ოქიტაშვილიც.

- ნუცას შოუვუმენობაში ეჭვი არ მეპარება, ანრიც გამოცდილია უკვე, ნოდიკო შეძლებს მენტორობას?

- ნოდიკო გამოუცდელია როგორც მენტორი, მწვრთნელი, ჟიურის წევრი. ესეც აზარტული ჩვენთვის და ასჯერ მეტად ნოდიკოსთვის, რომ იჯდეს ამ წითელ სკამზე. მერწმუნეთ, ძალიან ბევრ ადამიანს სურს იყოს „ვოისის“ მენტორი, ეს პრესტიჟულია მათთვის.

- გვანცა, ამ პროექტს ჰყავდა მწვრთნელები. არც ერთის დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ, როცა მენტორებს არჩევდით?

- არა, ჩავთვალეთ, რომ მთავარი განახლება მესამე სეზონზე სწორედ მწვრთნელების გამოცვლა იყო. გამოვცვალეთ პროექტის სახელიც. აპრობირებულია სხვა ქვეყნებში, რომ პროექტს ჰქვია „ვოისი“ და გვერდზე ეწერება იმ ქვეყნის სახელი, რომელშიც ტარდება. ამით შევუერთდით მსოფლიო მასშტაბს. ეს გავაკეთეთ იმ კომპანიასთან შეთანხმებით, რომლისგანაც თავის დროზე „იმედმა“ შეიძინა ეს პროექტი.

- პრომო გადაიღეთ უკვე...

- პრომოს დიდი ნაწილი გადაღებულია ბათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“, ახლა მიმდინარეობს მონტაჟი და ცალკეული დეტალების დამატება.

- ბათუმში მწვრთნელებს კამათი მოსვლიათ...

- თქვენამდეც მოაღწია ნოდიკოსა და ანრის ამბავმა? გადაღების პროცესში იყო პატარა ექსცესი. ზუსტად არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ არსებობს კადრი, რომლიდანაც ჩანს, რომ მათ შორის შელაპარაკება იყო. ნოდიკომ მუშტი გაუქანა ანრის სახეში.

- მართლა იკამათეს თუ ეს პრომოსთვის გაკეთდა?

- პრომოსთვის, რა თქმა უნდა. ძალიან მაგარი პრომო გამოვა, დარწმუნებული ვარ, ის იქნება ჰიტი ინტერნეტმომხმარებლისთვის. პრომოში არის ბრძოლა ხმისთვის. ერთი კონკრეტული ხმა ესმის მწვრთნელებს და უნდათ ამ ხმას პირველებმა მიუსწრონ. ამ ბრძოლაში ერთმანეთს საშინელებებს უკეთებენ. უწევთ ერთმანეთის დარტყმაც, გალახვაც, დაჭერაც, გადაგდებაც, სალტოების გაკეთებაც. სწორედ ამ გადაღების დროს ნოდიკომ ვერ მოზომა და ანრის მთელი ძალით გაარტყა მუშტი სახეში. გაჩერდა გადაღება, ანრის ყინულები დავადეთ.

- ანრი „რუსთავი 2“-ს წაართვით თუ დროებით „მოპარეთ“?

- დროებითია თუ არა ეს ყველაფერი, ამას დრო გვიჩვენებს. ვფიქრობ, არავისთვის წაგვირთმევია ანრი. მას იქ დაუმთავრდა კონტრაქტი, სხვა ვალდებულება ამ ტელევიზიასთან არ ჰქონდა და შესაბამისად არ თქვა უარი ჩვენ შემოთავაზებაზე.

- პროექტის ფაბულა შეიცვლება?

- არა. იქნება ისევ ბრმა ქასთინგი, შემდეგ რინგი, ნოკაუტი და ლაივები. ეთერში 6 ოქტომბერს გავალთ და ძველით ახალ წელს, 13 იანვარს დასრულდება.

- პრიზები უკვე ცნობილია?

- რამდენიმე პრიზი ცნობილია, რამდენიმე სპონსორი უკვე გვყავს. მთავარი პრიზი, ბინა თბილისში „არქი ჯგუფისგან“ უცვლელია, უცვლელია ასევე სიმღერის ჩაწერა „უნივერსალ მიუზიკში“. დანარჩენი პრიზების შესახებ ეტაპობრივად მოგაწვდით ინფორმაციას.

- ამბობენ, მეოთხე მწვრთნელად თეონა კონტრიძის კანდიდადურა განიხილებაო...

- არ დაგილამავთ, შეთავაზება თეონა კონტრიძესთან ნამდვილად გვქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო თეონამ ვერ მოახერხა ამ პროექტში მონაწილეობა.

- როდის გაგვიმხელთ მეოთხე მწვრთნელის ვინაობას?

- ინტერესი დიდია, შესაბამისად, დიდხანს, ალბათ, ვეღარ დავმალავთ. სექტემბრის შუა რიცხვებში გავამხელთ ჟიურის მეოთხე წევრის ვინაობასაც. ასე რომ, წინ საინტერესო „ვოისი“ გელოდებათ.

რუსა მორჩილაძე:

- რუსა, როგორი ნაკადია წელს, კმაყოფილი ხარ კონკურსანტებით?

- ყოველთვის ჩასაფრებულის პოზიციიდან ვაფასებ კონკურსანტებს, ვნერვიულობ, მომეწონება, არ მომეწონება. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ძნელია ყოველ წელს მუსიკალური პროექტები აკეთეო და თან პრეტენზია გქონდეს, რომ ის საუკეთესო გამოვა. ასეთი მეგაპროექტისთვის რიცხობრივად ბევრი მონაწილეა საჭირო. მახარებს, რომ საქართველოში არ იწურება ნიჭიერი ბავშვების, ახალგაზრდების კონტინგენტი. პროექტმა ერთი მომღერალიც რომ აღმოაჩინოს, დიდი წარმატებაა ასეთი პატარა ქვეყნისთვის. წლევანდელ ბავშვებს რაც შეეხება, არიან ისეთები, რომლებიც ძალიან მომწონს, არიან საშუალო დონის კონკურსანტები და სუსტებიც.

- ალბათ, ბევრი მსურველი იყო, ბევრისთვის მოგიწიათ უარის თქმა?

- „ვოისი“ კეთილი პროექტია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, უყვართ მომღერლებს. იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც უარის თქმა მოგვიწია, ვინც ბლაინდებზეც ვერ დავუშვით, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია, შედარებითია ყველაფერი.

- არიან, მაყურებლისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი შემსრულებლები, რომლებიც პროექტიდან პროექტში დადიან, ასეთ კონტინგენტს ვნახავთ წელს „ვოისში“?

- ასეთი კონკურსანტების მსგავს პროექტებში მონაწილეობის მომხრე არ ვარ. მაგრამ არ არის სწორი ჩემი დამოკიდებულება. ვიმეორებ, პატარა ქვეყანაა, პატარა ბაზარი, ცოტა შანსი აქვს მომღერალს გამოჩნდეს. რა

„მახარებს, რომ საქართველოში არ იწურება ნიჭიერი ბავშვების, ახალგაზრდების კონტინგენტი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნოდიკომ ანრის სახეში მუშტი დაარტყა“

„ნოდიკომ ვერ მოზომა და მთელი ძალით გაარტყა მუშტი ანრის სახეში. გაჩერდა გადაღება, ანრის ყინულები დავადეთ“

გვანცა კილასონია:

„ზუსტად არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ არსებობს კადრი, რომლიდანაც ჩანს, რომ მათ შორის შელაპარაკება იყო“

„ვეხვეწები ახალგაზრდებს, რომ ნუ იქნებიან „იუთუბის“ თაობა“

EXCLUSIVE

გააკეთონ, უნდათ გამოჩენა, კარიერის გაკეთება.

- სალომე ტეტიაშვილის სტატუსი გამახსენდა, „ვოისის“ პრექასტინგზეც არ დამიძახესო, წერდა.

- ეგ სხვა შემთხვევაა.

- რა შემთხვევაა?

- ძალიან საყვარელი გოგოა, პატივს ვცემ ბავშვსაც და მის მშობელსაც, უბრალოდ, სხვა შემთხვევაა. მე ჩემი გემოვნება მაქვს, ან მომწონს, ან არ მომწონს.

- ხომ არ არის ამის მიზეზი ის, რომ სალომე „იქს ფაქტორის“ მონაწილე იყო?

- ერთი რამ მინდა განვმარტო. ის რომ კონკურსანტი სხვა პროექტის მონაწილე იყო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ავტომატურად ამ კონკურსშიც მოხვდება და არც იმას, რომ ვერ მოხვდება. მათ მივეცით შანსი ჩვენამდე მოსულიყვნენ და მოგვესმინა. მერე გადავწყვიტეთ, შეეძლო თუ არა ამა თუ იმ მონაწილეს გამხდარიყო პოტენციური „ვოისელი“. მე, როგორც მუსიკალურ პროდიუსერს, ჩემი მოსაზრებები მაქვს, მომწონს და არ მომწონს კი არა, რატომ „კი“ და რატომ „არა“.

- რაც შეეხება რეპერტუარს, ხშირად აკრიტიკებენ ასეთ პროექტებს სწორედ იმის გამო, რომ ნაკლები ქართული სიმღერა ისმის. რა შეიცვლება ამ მხრივ წელს?

- მე, პირველ რიგში, ქართველი კომპოზიტორი ვარ და ჩემს ინტერესებშია ბევრი ქართული სიმღერა ჟღერდეს. თუ ქართველი მომღერალი ქართულად ვერ მღერის, ძალიან რთული იქნება ის მუსიკოსად შედგეს, და ამ ქვეყანაში დაიმკვირდოს სახელი. ძალიან ვეხვეწები ახალგაზრდებს, რომ ნუ იქნებიან „იუთუბის“ თაობა. კი, ესეც აუცილებელია, გმართავს ტექნიკურად, მაგრამ ის სული, გული, სიმდიდრე, რაც ქართულ სიმღერაშია, სხვაა.

- რუსა, როგორ გგონია, რომელი მენტორის გუნდში მოხვედრაზე იქნება ბრძოლა ამჯერად?

- ოთხივე ძალიან საინტერესო მენტორია, სხვადასხვა ფსიქოტიპების და სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენლები არიან. მე მომწონს ეს შემადგენლობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კობიაშვილი V

„მექნება შეხვედრები გულშემატკივართან. ფეხბურთი მათ გარეშე წარმოუდგენელია, მინდა იცოდნენ, რას ვგეგმავ, რას ვაპირებ

EXCLUSIVE

ჯესი სურმავა, გულშემატკივარი: „ვიცნობთ ამ პიროვნებას, ვიცით მისი წარსული, ვიცით, რას საქმიანობს. დიდი გამოცდილების პიროვნებაა და ძალიან გვეიმედება“

რომან ფიფია: „ცვლილებები უნდა მოხდეს. კობიაშვილის მჯერა და ვიცი, ის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს ქართული ფეხბურთისთვის“

ლევან კობიაშვილი: „თამაშის ის წესები, რაც დღეს ფედერაციამ შემოგვთავაზა და კონკრეტულმა მხარემ, ამ შემთხვევაში რეზო არველაძემ თუ მისმა მხარდამჭერებმა, მსგავსი რაღაც არ გვქონია არასდროს. მათ დაიწყეს ასეთი თამაში, და სამწუხაროდ, მეც მათ მოედანზე მიწევს ეს“

მაგდა კლდიაშვილი

ლევან კობიაშვილი საპრეზიდენტო მარათონში ოფიციალურად ჩაერთო. პრეზიდენტობის კანდიდატმა საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებისთვის სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში გამართა, შეხვედრის შემდეგ კი ჟურნალისტების შეკითხვებსაც გასცა პასუხი. ამ დღესვე გახდა ცნობილი, რომ პირველ სექტემბერს, კობიაშვილს ოფიციალურად, პრეზიდენტის პოსტზე „დინამო თბილისი“ წარადგენდა. ამ დღესვე დაიწყო პრეზიდენტობის კანდიდატმა აქტიური საარჩევნო კამპანია. კობიაშვილის განცხადებით, ის, კლუბების შემდეგ, სხვა სუბიექტებსაც შეხვდება. აქცენტი კი გულშემატკივრებზე გააკეთა, რომელთა გარეშეც, მისივე თქმით, ფეხბურთი წარმოუდგენელია.

უფრო ფართომასშტაბური იყო რევაზ არველაძის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ თავი არამარტო სპორტულმა სამყარომ, არამედ საზოგადოებისთვის სხვა ცნობილმა სახეებმაც მოიყარეს. საკუთარი ძმის საგულშემატკივროდ, თურქეთიდან „ტრანზონსპორის“ მთავარი მწვრთნელი, შოთა არველაძეც ჩამოფრინდა. შეხვედრაზე იყვნენ ის ადამიანებიც, რომლებიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები არიან და არჩევნებზე დელეგატებად უკვე მიავლინეს სხვადასხვა სუბიექტებმა.

საარჩევნო მარათონი გახურდა - როგორც აქამდე იყო ცნობილი, პრეზიდენტის სკამისთვის ორი ძირითადი კონკურენტი, კობიაშვილი და არველაძე იბრძოლებენ.

გულშემატკივრის გარეშე ფეხბურთი წარმოუდგენელია

ლევან კობიაშვილის კანდიდატურის დარეგისტრირებამ ფართომასშტაბიანი აქციის ფონზე ჩაიარა. ვეტერანი ფეხბურთელის, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის მხარდასაჭერად საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოვიდნენ გულშემატკივრები. კანდიდატურის დარეგისტრირების შემდეგ, კობიაშვილმა გულშემატკივრების მხარდაჭერა დააფასა და განაცხადა, რომ მათ გარეშე ფეხბურთი წარმოუდგენელია.

„მექნება შეხვედრები გულშემატკივართან. ფეხბურთი მათ გარეშე წარმოუდგენელია, მინდა იცოდნენ, რას ვგეგმავ, რას ვაპირებ, ჩემი პრინციპია გუნდური მუშაობა და მუდამ მექნება ეს პრინციპი“.

ჯესი სურმავა, გულშემატკივარი:

„ჩვენ მარტვილიდან ჩამოვედით, გულშემატკივრები და ფეხბურთში ჩართული ხალხი, ვინც ვსაქმიანობთ მარტვილში. გვინდა, დავესწროთ იმ მნიშვნელოვან პროცესს, როდესაც ლევან კობიაშვილი ოფიციალურად შეიტანს განაცხადს პრეზიდენტის პოსტზე. ვიცნობთ ამ პიროვნებას, ვიცით მისი წარსული, ვიცით, რას საქმიანობს. დიდი გამოცდილების პიროვნებაა და ძალიან გვეიმედება. გვინდა, ჩვენი გვერდში დგომით, მხარი დავუჭიროთ ამ ადამიანს და ვიმედოვნებთ, რომ ქართულ ფეხბურთს მომავალი აქვს“.

ნდობა

პირველი, ვინც ლევან კობიაშვილი პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი - „დინამო თბილისია“. როგორც კანდიდატმა და კლუბის მეპატრონემ განმარტეს, კანდიდატად წარდგენა მას შემდეგ მოხდა, რაც „დინამოს“ მესვეურებმა კობიაშვილის საარჩევნო პროგრამა გაიცნეს. „დინამო თბილისი“ პირველია, კობიაშვილი კანდიდატად სხვა კლუბებმაც წარადგინეს, „დინამოს“ მფლობელმა, რომან ფიფიამ კი განმარტა, რომ ის ლევან კობიაშვილს ენდობა.

რომან ფიფია:

„ცვლილებები უნდა მოხდეს. კობიაშვილის მჯერა და ვიცი, ის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს ქართული ფეხბურთისთვის. რაც შეეხება სახელმწიფო ჩარევას, კალაძემ ფინანსური ჩარევები იგულისხმა, რის გარეშეც ჩვენი ფეხბურთი წინ ვერ წავა“.

გუნდური მუშაობის პრინციპი და გერმანული მოდელი საქართველოში

ლევან კობიაშვილი:

- რაზე იყო საუბარი კლუბების წარმომადგენლებთან?

- კლუბებთან შეხვედრა რატომაც მოხდა, ეს პრინციპულად ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. იმიტომ, რომ ჩემს სტრატეგიაში ეროვნულ ჩემპიონატს უკავია წამყვანი როლი. დარწმუნებული ვარ, მსგავსი შეხვედრა არასდროს მომხდარა. პირველი და უმაღლესი ლიგის გუნდები, ყველანი იყვნენ აქ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს ხმის მიცემის უფლება საერთოდ არ აქვს. პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ზოგადად, მიმაჩნია და ასე ვხედავ, რომ გუნდური მუშაობის პრინციპი, ჩემს განვლილ კარიერაში, ჩემს განვლილ ცხოვრებაში, ყოველთვის გამორჩეული იყო. ყოველთვის გუნდური მოთამაშე ვიყავი და მქონდა ეს დადებითი მხარე. მინდოდა მათთვის გამეცნო, როგორ წარმომიდგენია და როგორ ვხედავ მათთან ერთად ამ კრიზისიდან გამოსვლის გზებს. ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა. დავპირდი და ვადასტურებ, რომ შვიდი სექტემბრის შემდეგ, სამ ოქტომბრამდე, სათითაოდ ჩავიდე ყველგან და დეტალურად ავუხსნა, მოვისმინო მათი მოსაზრებები, ის საკითხები, რომლებიც ღირს დაფიქრებად, ამაზე მუშაობად და აქცენტების გაკეთებად.

- რომ განმარტოთ საზოგადოებისთვის, როგორია ლევან კობიაშვილის ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოსვლის გზები?

- კრიზისიდან გამოსვლის გზები არის იმ ხედვით, სტრატეგიით, რაც წარმოვადგინე და ეს საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი, პირობას გაძლევთ, ყველანაირი ინფორმაცია ექნებათ მათ. საბოლოო ჯამში, დარწმუნდნენ ისინიც და მეც, რომ ის მესიჯები, რაც ბოლო პერიოდში მოდიოდა, რომ იყოს პროგრამების ჭიდილი და არა სხვა რამე. მსურს, რომ მათ დაინახონ, ჩემი პროგრამა, ჰქონდეთ ყველანაირი ინფორმაცია.

- რა იქნება თქვენი პროგრამის ძირითადი მესიჯები?

- ეს იქნება სისტემის ცვლა, იმიტომ, რომ დღევანდელი სისტემა ნამდვილად არ უნყობს ხელს ფეხბურთის განვითარებას, რასაც ვეცდები და აუცილებლად გავაკეთებ. იგივე გერმანიის მოდელის საქართველოში ჩამოტანა. იქ არის გუნდურ პრინციპზე აწყობილი, ალმასკომი, პრეზიდიუმი, გუნდური მუშაობაა, სადაც განევრიანებული იქნებიან, არამარტო რეგიონალური ფედერაციები, კლუბები, ყველა სეგმენტი. გადანაწილდება, რომ თანაბარ პირობებში იყოს ყველა. მთავარი მესიჯი მაინც ეს არის. სხვანაირად, რაც არ უნდა დაფინანსებაზე ვისაუბროთ, თუ სისტემა არ მოვარგეთ ამას, ხელს არ შეუწყობს იმის განხორციელებას, რაც გეგმაში გვაქვს. ასევე, ბავშვთა ფეხბურთი, ინფრასტრუქტურა, რაზეც შეთანხმებული ვარ, მქონდა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციაში შეხვედრები. ვიქნებით პარტნიორები, დიდი მხარდაჭერა გვექნება. შეიქმნება რეგიონალური ცენტრები, გერმანიაში ეს პროექტი უკვე 10 წელია წარმატებით მუშაობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲛᲔ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐᲨᲘ“

„ᲩᲔᲛᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲨᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ“

რეზი არველაძე: „ჩემთვის, როგორც რეზო არველაძისთვის, ყოფილი ფეხბურთელისთვის, ყოფილი მწვრთნელისთვის და დღეს საფეხბურთო ფუნქციონერისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია წარმატება. წარმატება არის ჩვენი ყველაზე მთავარი ლოზუნგი. საქართველოს ნაკრები, 2020 წელს, უნდა მოხვდეს ევროპის ჩემპიონატზე. განვითარება წარმატების გზით, ზუსტად ამას ნიშნავს“

ამ პროექტის ჩამოტანა გვინდა, ინფრასტრუქტურის კუთხით რეგიონებში, ბავშვების გადამზადებით, ფეხბურთის თამაშის პროფილი შეიქმნება ქვეყანაში. გვეცოდინება და ეცოდინება ყველას, რომელ ასაკამდე, როგორ იზრდებიან, რა წვრთნებს გადიან. ეს არის ძალიან დიდი პროექტი, რომელსაც ჩამოვიტან გერმანიიდან და ეს იქნება ძალიან წარმატებული მოდელი.

- უმაღლესი ლიგის 16 გუნდიდან, 7 ფედერაციის წევრი არ არის. იბრძოლებთ თუ არა იმისთვის, რომ არჩევნებამდე ამ გუნდებმა ხმების უფლებები მოიპოვონ?

- რასაკვირველია, ჩვენ მივაწოდებთ ყველანაირ ინფორმაციას. იგივე უეფაში, ფიფაში, ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს ჩავაყენებთ საქმის კურსში. ეს მიდგომა არის მიუღებელი. ბევრმა კლუბმა ევროთასებზე ითამაშა და იქიდან თანხებიც მიიღო, მიუღებელია უბრალოდ, რომ მათ არ აქვთ საშუალება პოზიციის დაფიქსირების, ითვლებიან ერთი საფეხბურთო ოჯახის წევრებად და ცუდი ტრადიციაა, რაც აუცილებლად შეიცვლება და მსგავსი მიდგომა, მერწმუნეთ, ფეხბურთის განვითარებას ხელს უშლის და არა - პირიქით.

- არჩევნებზე დელეგატებად ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები ინიშნებიან, რამდენად თანაბარ პირობებში არიან კანდიდატები?

- ეს აბსოლუტურად მიუღებელია. როდესაც ჩემი ოპონენტები, საუბრობენ ჩარევაზე, როდესაც მე უნდა მივიდე იმ ადამიანებთან, რომლებიც ფედერაციაში მუშაობენ, ხელფასებს იღებენ და ერთი გუნდი არიან, ვის სჯერა, რომ მათ დავარწმუნებ პროგრამაში და ისინი არჩევანს ამის მიხედვით გააკეთებენ. ეს წარმოუდგენელია. როდესაც 14 აგვისტოს საჯაროდ გაცხადდა, რომ არჩევნები დაინიშნა 3 ოქტომბერს, უკვე 17 ოქტომბერს, რადგან წინა დღეები შაბათ-კვირა იყო, პირველ სამუშაო დღეს უკვე მხარდამჭერი განცხადებები შევიდა, სვამენ დელეგატებს, როდესაც სხვა კანდიდატებს არავის შეხვედრიან. ამას ვებრძვით, მსგავსი რამ არის მიუღებელი და არასდროს განმეორდება. ცუდი წარსული, რაზეც ვსაუბრობთ, თუ ამ ადამიანებს უნდათ იგივე გზის გაგრძელება, ამას ნამდვილად მომავალი არ აქვს.

- ვდგებით თუ არა სახელმწიფო ჩარევის საჭიროების წინაშე?

- ყოველთვის ვამბობდი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირველი ვიქნები, ვინც წინააღმდეგი იქნება ჩარევებისა და მსგავსი ქმედებებისა, მაგრამ, თამაშის ის წესები, რაც დღეს ფედერაციამ შემოგვთავაზა და კონკრეტულმა მხარემ, ამ შემთხვევაში რეზო არველაძემ თუ მისმა მხარდამჭერებმა, მსგავსი რაღაც არ გვქონია არასდროს. მათ დაიწყეს ასეთი თამაში, და სამწუხაროდ, მეც მათ მოედანზე მიწევს ეს. ვეცდები, რომ მათ „შემტევი ფეხბურთი შევთავაზო“.

რეზი არველაძე

კობიაშვილისგან განსხვავებით, რეზი არველაძემ აქცენტი უფრო ფართო მასშტაბზე გააკეთა. პრეზენტაციის ვიზუალურ მხარეზეც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა. ფაქტია, რომ რევაზ არველაძის პიარი კარგად მუშაობს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტებმა დელეგატებად მიავლინეს მომავალ არჩევნებში. საინტერესო კი ისაა, რომ ვიდრე რევაზ არველაძე კანდიდატურას წამოაყენებდა პოსტზე, მათ ღია მხარდაჭერა გამოხატეს მის მიმართ, ასევე, დელეგატებადაც იმაზე მალე დაინიშნენ, ვიდრე არველაძე კანდიდატად დარეგისტრირდებოდა.

რევაზ არველაძის საფეხბურთო პროგრამის პრეზენტაციაზე აუცილებლად შესამჩნევი დეტალი იყო - მისი ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი, მის გვერდით იდგა ამ დღეს. მეუღლე, ბავშვები, ძმები - შოთა არველაძე სპეციალურად ამისთვის ჩამოფრინდა თურქეთიდან საქართველოში. როგორც მოგვიანებით განმარტა, მათი დედის დაბადების დღე იყო პრეზენტაციის დღეს, ამიტომ, ეს თარიღი მათი ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რევაზ არველაძის კიდევ ერთი ძმა, აჩი არველაძე, ამ არჩევნებში ხმას ძმის სასარგებლოდ მისცემს. ის სასკოლო ასოციაციების ხელმძღვანელია, ამიტომ, იმაში, რომ არჩევნებში დელეგატად არის წარდგენილი, არაკანონიერს ვერაფერს ხედავს.

აჩი არველაძე:

„ერთი რამე მინდა ხაზგასმით ვთქვა, თუკი ერთი საკითხი მაინც უკანონოა და კანონის დარღვევით გაკეთებული, რა თქმა უნდა, ამაზე ყველა ვართ პასუხისმგებელი, რომ უკანონოდ არაფერი გაკეთდეს. მეც, თქვენც და ყველამ ამაზე უნდა გავაკეთოთ რეაგირება. რაც შეეხება ჩემს ამბავს, არის სკოლების ასოციაცია, 6 წელია, დაახლოებით, რაც არსებობს და მე ვარ პრეზიდენტი დაარსების დღიდან. ორჯერ უკვე მივიღე არჩევნებში მონაწილეობა, როგორც დელეგატმა. გავაკეთე განცხადება, შოტლანდიის თამაშის შემდეგ გადავდგები არსებული თანამდებობიდან. პრეზიდენტი საქმის კურსშია. ამასთან, მინდა ყველამ იცოდეს, ჩემი მუშაობის პერიოდში, დაახლოებით ორი წელია, რაც ფედერაციაში ვმუშაობ და არც ერთხელ არ ამიღია ანაზღაურება. ვმუშაობდი უხელფასოდ. სხვა ინტერესი, გარდა ფეხბურთის სიყვარულისა, არ მქონია. ერთიც არის, ჩემი ძმაა. ფედერაციაში ვიქნებოდი თუ არ ვიქნებოდი, ალბათ, არავის გაუკვირდებოდა, რომ ჩემს ძმას დავუჭერდი მხარს, როგორც ამ ასოციაციის პრეზიდენტი. არ მგონია, ახლა ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიმუშავებ თუ არ ვიმუშავებ ფეხბურთის ფედერაციაში“.

არველაძის მთავარი საარჩევნო დაპირება - ნაკრები 2020 წელს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს

დიახ, ეს ხუმრობა არ გახლავთ. ეს განცხადება, საკუთარი პროგრამის პრეზენტაციისას ჟურნალისტებთან თავად პრეზიდენტობის კანდიდატმა გააკეთა. რევაზ არველაძის განცხადებით, მის პროგრამაში მთავარი ეროვნული ნაკრება და მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ეროვნული გუნდი 2020 წელს ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.

რეზი არველაძე:

„ჩემს პროგრამაშია ყველაფერი, რაც ფეხბურთის განვითარებას სჭირდება. საკმაო ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა იმისთვის, რომ ვთქვა, აუცილებლად ყველა საკითხი, რაც მნიშვნელოვანია ფეხბურთის განვითარებისთვის, ჩემს პროგრამაშია მოცემული. ამის განვითარების, ამ ღირებულებების ცხოვრებაში მოყვანის, ამ გეგმების შესრულებისთვის, შევეცდები, მაქსიმალურად გამოვიყენო ის დრო, რომელიც მომეცემა იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ამირჩიეს. დაწყებული საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან, დამთავრებული მასობრივი ფეხბურთის განვითარებით, ყველა საკითხი მნიშვნელოვანია. ჩემთვის, როგორც რეზო არველაძისთვის, ყოფილი ფეხბურთელისთვის, ყოფილი მწვრთნელისთვის და დღეს საფეხბურთო ფუნქციონერისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია წარმატება. წარმატება არის ჩვენი ყველაზე მთავარი ლოზუნგი. საქართველოს ნაკრები, 2020 წელს, უნდა მოხვდეს ევროპის ჩემპიონატზე. განვითარება წარმატების გზით, ზუსტად ამას ნიშნავს. ჩვენ არ შეგვიძლია, მარტო განვითარებაზე ვიფიქროთ და არ ვიფიქროთ შედეგებზე. შედეგი არის ზუსტად ის, რასაც მოჰყავს მაყურებელი სტადიონზე, რასაც მოჰყავს ბავშვები ფეხბურთზე, რაც გადააწყვეტინებს მშობელს, ბავშვი შეიყვანოს ფეხბურთზე. იმ შემთხვევაში, თუ მე გავხდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მინდა, 4 წლის თავზე, გვყავდეს უფრო მეტი ფეხბურთელი, უფრო მეტი მწვრთნელი, გვყავდეს უფრო განათლებული მენეჯმენტი, უფრო ძლიერი კლუბები და ამაში ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა. ყველაფერი, რაც ფეხბურთის განვითარებას სჭირდება, კლუბები, ეროვნული ნაკრებები, ბავშვები, მწვრთნელები, განათლებული მენეჯმენტი, სახელმწიფო და ტელევიზია, მაქსიმალურად მოცულია ჩემს პროგრამაში. ბუნებრივია, ამის შესრულებას ძალიან დიდი ენერგია დასჭირდება, მაგრამ მე მყავს ერთგული, განათლებული, ჭკვიანი გუნდი, რომელიც დამეხმარება ამის გაკეთებაში“.

აჩი არველაძე: „ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐᲐ. ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘ ᲗᲣ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲫᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲭᲔᲠᲓᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რით კაიფობს გია ჯაჯანიძე - „ჩე

my View

ნინო მჭედლიშვილი

დაიწყო ახალი სატელევიზიო სეზონი და ტელევიზიებში აფუსფუსდნენ გადაცემების შემოქმედებითი ჯგუფები. „პროფილმა“ თემატიკა შეცვალა, მისი ახალი პრომო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. პოლიტიკური თოქშოუების ნაწილი დაიხურა. ზოგი „ისტერიულობის“, ზოგიც წამყვანის ოჯახური მდგომარეობის გამო.

რა რაკურსი ექნება გია ჯაჯანიძის შოუს, ამას თავად წამყვანი მოგახსენებთ.

„მაიას დიდ პატივს ვცემ, ყოველ ხუთშაბათს ვუყურებ მის გადაცემას“

- გია, როგორ დაისვენე წელს?

- ჩემთვის მძიმე წელი არ არსებობს. ღამის 12 საათის მერე იწყება საოცარი დასვენების პროცესი. მთელი სერიოზულობით ვამბობ, ვნეტარებ ძილის წინ. ვასვენებ გონებას და ეს მყოფნის. უკვე ოცი წელია, ყოველ დილით ვსვამ 200 გრამ წყალს, ვჭამ ერთ ვაშლს, ვიწერ პირჯვარს და ვამბობ, ღმერთო, მომეცი ის, რაც მინდოდეს სხვისთვის და ყველა სხვას მიეცი ის, რაც უნდოდეთ ჩემთვის. ეს არის ჩემი ლოცვა და ვიწყებ ცხოვრებას. ასე რომ, წლის ბოლოს შვებულების დიდი ნოსტალგია არ მაქვს ხოლმე.

წელს შვებულების დიდი ნაწილი თბილისში გავატარე. ყველა წასული იყო, მგონი მარტო ვიყავი თბილისში და ყველასგან ვისვენებდი. მერე ავიკარი გუდა-ნაბადი, დავიწყე გურიიდან და ყველა ქალაქში თითო დღით ყველა ჩემი ახლობელი მოვინახულე. თუ სადმე ჩემი ახლობელი, მეგობარი ისვენებდა, ყველას ჩავაკითხე თითო დღით. ბოლოს ტკბილ ლუკმად ჩემი პროდიუსერი, მაია სტეფნაძე შემოვინახე და მასაც ჩავაკითხე. ოღონდ, არ მომნატრებია, დღეში ასჯერ ვურეკავდი. კიოდა, დამასვენეო... ეს იყო ჩემი დასვენება. მე ჩემოდნის ჩალაგება და სადმე 10 დღით წასვლა, მით უმეტეს სანაპიროზე მზის გულზე წოლა არ შემიძლია. არ მინდოდა თქმა, მაგრამ ვიტყვი. იცი რატომ არ მიყვარს ზღვის სანაპიროზე გასვლა? გავიხდი თუ არა მაისურს, მოდიან ფოტოს გადასაღებად. ასაკიდან გამომდინარე, გახდილი არ გამოვიყურები ესთეტურად. უზარმაზარ სითბოს ვგრძნობ ხალხისგან. სანაპიროზე ვერ ვისვენებ. ეს თან მახარებს, თან ცოტა მეუხერხულება. ცურვაც არ ვიცი.

- როდის იწყებთ სეზონს, რას ჰპირდებით ახალ სეზონზე მაყურებელს?

- 17 სექტემბერს გავდივართ ეთერში. ჩვენ სეზონებად არ ვყოფთ გადაცემებს. არავითარი ახალი სეზონი. ყველა ჩვენი გადაცემა არის სიახლე, ზეიმი და დღესასწაული მაყურებლისთვის, თავისი სიუჟეტებითა და ორიგინალურობით. რას ნიშნავს ახალი სეზონი? ყველა გადაცემა ისე უნდა აკეთო, თითქოს ახლა იწყებ.

- არის კატეგორია მაყურებლისა, რომელსაც არ მოსწონს შენი გადაცემა და მძაფრად გაკრიტიკებს...

- ჯანმრთელ კრიტიკას პატივს ვცემ. მე ვარ ადამიანი, რომელიც ყველასგან ყველაფერს სწავლობს, ეკითხება ადამიანებს როგორი არ უნდა იყოს, როგორ არ უნდა მოიქცეს. აქედან გამომდინარე, არგუმენტირებულ კრიტიკას ყოველთვის ვისმენ. არ ვბრაზდები, როცა ვიგებ, რომ ჩემი გადაცემა არ მოსწონთ. მეც არ მომწონს ბევრი რამ. თუ დააკვირდით ჩემს გადაცემებს, როცა ხალხში გავედი, პირველი კითხვა რასაც მათ ვუსვამდი იყო შემდეგი, რა არ მოგწონთ ჩემს გადაცემაში, როგორი გინდათ იყოს, რა თემების განხილვა გაინტერესებთ. ამბობენ, რომ არ უყურებენ ჩემს გადაცემას, და მერე ასეთი ციტატები მოჰყავთ, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ერთხელ კი არა, რამდენჯერმე აქვთ ნანახი. მოდაშია იმის თქმა, რომ გია ჯაჯანიძის შოუს არ უყურებენ.

„ მართლა არსებობს პატარა გოგო, რომლის ცოლად მოყვანასაც ვფიქრობდი. რამდენით პატარაა ვერ ვიტყვი, მრცხვენია“

„არ ვბრაზდები, როცა ვიგებ, რომ ჩემი გადაცემა არ მოსწონთ“

- განსაკუთრებით რის გამო გაკრიტიკებენ?

- ელგებეტე თემებზეა ხოლმე თავდასხმა. ძალიან უცნაურია, ელგებეტე პირებს რატომ იწვევო, მაკრიტიკებენ და ეს პირები მიჩივიან, რატომ არღვევ ჩემს უფლებებსო. ვეღარ გავიგე, რა გავაკეთო. ათეისტები მწერენ, რატომ მოგყავთ გადაცემაში მღვდლებიო. მორწმუნეები მწერენ, ურწმუნოებს რატომ იწვევო. სასაცილო გადაცემა გავაკეთე, რა დროს სიცილია, ვიღუპებითო. სატირალი გავაკეთე, კიდევ ტირილი გვინდაო. არაფერი არ მოსწონთ, მაგრამ მაინც უყურებენ.

- ია ფარულავას სტატუსი თუ წაიკითხე, შენი და მაია ასათიანის გადაცემის შესახებ?

- კი, წავიკითხე. ეს მისი დამოკიდებულებაა. ერთი კი ვიფიქრე, ნეტავ მეტი საქმე არ აქვს, ამისთვის რომ მოიცალა-მეთქი. ეტყობა არ აქვს. არ გავლიზიანებულვარ. უბრალოდ, ვერ გავიგე ამით რა გააკეთა, რა გამოასწორა. რა უნდა ვუპასუხო ისიც არ ვიცი. არ მინდა სეირი ვაყურებინო ხალხს.

- ია წერდა, გიას „ბროშკას“ მაგიური ძალა აქვს, მაყურებელს ნუსხავს და მაია ასათიანს ასუსტებსო.

- ახლა ამ „ბროშკას“ შემოვატრიალებ და თვალებს რომ დავუვსებ ია ფარულავას, მერე წეროს კიდევ (იცინის).

- როგორ გგონია, იას შენი „ბროშკების“ ეშინია?

- იას არაფრის არ ეშინია.

„ჩემს გადაცემასაც თუ დახურავენ, სარფიანი იქნება ჩემთვის. დღეს საქართველოში არ არიან ქუჩის არტისტები. შევკრებ 3-4 ადამიანს, ქუჩაში გავმართავ შოუებს“

„მოდაშია იმის თქმა, რომ გია ჯაჯანიძის შოუს არ უყურებენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ამ გადაცემასაც თუ დახურავენ...“

„ახლა, ამ „ბროშკას“ შემოვატრიალებ და თვალებს რომ დავუვსებ ია ფარულავას, მერე წეროს კიდევ“

„ია თავის თავის გარდა არავინ უყვარს“

- რა დასკვნა გამოიტანე, ვის მხარეს არის ია?

- არავის მხარეს არ არის. იას თავის თავის გარდა არავინ უყვარს. ის, უბრალოდ, ამით კაიფობდა და იკაიფოს. გულწრფელად გეუბნები, არანაირი გაღიზიანება მის წერილს არ გამოუწვევია ჩემში. იკაიფოს რაა.

- შენ რითი კაიფობ?

- ტყუილებით. ყველას ვატყუებ, თან ოსტატურად, მაგრამ მერე მალევე ვამხელ, რომ მოვიტყუე და მათ სახეებზე ვკაიფობ. მატყუარა კი არა, ფანტაზიორი ვარ. კიდევ ბაზრობაზე სიარულით ვკაიფობ, ვგიჟდები ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელზე, ნაჭრებზე, სამკაულებზე.

- აბა, დღეს რატომ გამომეცხადე შავებში?

- დავაგვიანე სამსახურში და სტეფნაძეს უნდა ვანახო, ვითომ სევდიანი ვარ.

- გია, ბოლო დროს შენზე ჭორი გავრცელდა, პატარა გოგოზე ქორწინდებაო...

- მივედი იმ ასაკამდე, რომ აღარ დავგეგმო, არც პირადი და არც სამსახურებრივი. არ ვიბრძვი არც ქალისთვის. მართლა არსებობს პატარა გოგო, რომლის ცოლად მოყვანასაც ვფიქრობდი.

- რამდენი წლით პატარაა?

- არა, ამას ვერ ვიტყვი, მრცხვენია... ახლა მე იმ ასაკში ვარ, არ მინდა ვინმეს ვაწყენინო. ყველას უნდა მოვეფერო, ბოდიში მოვუხადო. აი, მაგალითად, შემიძლია ია ფარულავას შევუთვალო, - მაპატიე ია, რომ ჩემმა გადაცემამ შენში უარყოფითი ემოცია გამოიწვია.

- წეღან ბროშის შემობრუნებით ემუქრებოდი...

- წეღან იმ ხასიათზე ვიყავი.

- გია ვოლსკისაც ხომ არ უპასუხებ (ხომ არ მოუბოდიშებ), ისტერიული გადაცემა აქვსო, თქვა...

- როგორ არ გამცინებოდა. მე და ისტერიკა? ლოყები მტკივა ღიმილისგან, სულ ვიღიმი, კარგით რაა. რაღაც ხომ უნდა ეთქვა...

„მაპატიე ია, რომ ჩემმა გადაცემამ შენში უარყოფითი ემოცია გამოიწვია“

- გია, ისეთი სისწრაფით იხურება გადაცემები... ხომ არ გეშინია?

- არც მაგაში ვხედავ ტრაგედიას. ჩემს გადაცემასაც თუ დახურავენ, სარფიანი იქნება ჩემთვის. დღეს საქართველოში არ არიან ქუჩის არტისტები. შევკრებ 3-4 ადამიანს, ქუჩაში გავმართავ თავს შოუებს და ვიქნები ჩემს ხალხთან ერთად. პურის ფულს ვიშოვნი, არ არის პრობლემა. მთავარია ცოცხალი და ჯანმრთელი ვიყო. იცი რამდენ გამწარებულ მდიდარს ვიცნობ?

- გია, „პროფილმა“ შეცვალა თემატიკა, - არანაირი სიყვითლე და შოუბიზნესის არც ერთი ვარსკვლავი სტუდიაში. როგორ გგონია, ეს როგორ აისახება შენს გადაცემაზე?

- ძალიან უცნაურია, მე და მაია კონკურენტები ვართ და თან არ ვართ. მაია ამბობს, რომ რეიტინგულია, მეც იმავეს ვამბობ. ნახეთ რეიტინგები და თავად განსაზღვრეთ. მაიას თავისი ნიშა აქვს, თავისი მაყურებელი ჰყავს, მე - ჩემი. არ მოიძებნება ადამიანი და არც პუბლიკაცია, სადაც მე მასზე ცუდად მითქვამს რამე. დიდ პატივს ვცემ, ყოველ ხუთშაბათს ვუყურებ მის გადაცემას, მერე გადავავლებ ხოლმე თვალს ჩემს გადაცემას. მეტი რა უნდა გავაკეთო? წარმატებას ვუსურვებ.

„ველარ გავიგე, რა გავაკეთო. ათეისტები მწერენ, რატომ მოგყავთ გადაცემაში მღვდლებიო. მორწმუნეები მწერენ, ურწმუნოებს რატომ ინვევო“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N35 (336) ორშაბათი, 7 სექტემბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

გვანცა კილასონია: „ზუსტად არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ არსებობს კადრი, რომლიდანაც ჩანს, რომ მათ შორის შელაპარაკება იყო“

დაპირისპირება „ვოისის“ გადაღებაზე

რუსა მორჩილაძე: „თუ ქართველი მომღერალი ქართულად ვერ მღერის, ძალიან რთული იქნება ის მუსიკოსად შედგეს და ამ ქვეყანაში დაიმკვიდროს სახელი“

exclusive

ბურანდა გაბუნიას ცხოვრებისეული გამოცდილება

„ისეთი შვილი გავაჩინე, რომელსაც არაფრის თქმა არ სჭირდებოდა. ის იყო ოთარის შვილი, თავიდან ბოლომდე მამას ჰგავს“

exclusive
ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

რით კაიფობს გია ჯაჯანიძე - „ჩემს გადაცემასაც თუ დახურავენ...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება